

UNECE

**მაასტრიხტის რეკომენდაციები გარემოსდაცვით საკითხებთან
დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ეფექტიანი
საზოგადოებრივი მონაწილეობის ხელშესაწყობად**

მომზადებულია ორჰუსის კონვენციის ფარგლებში

შენიშვნა

წინამდებარე დოკუმენტის დიზაინი და მასში წარმოდგენილი მასალები არ გამოხატავს გაეროს სამდივნოს პოზიციას რაიმე ფორმით რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან რაიონის თუ მათი ხელისუფლებების ლეგალურ სტატუსთან, ანდა მათ საზღვრებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ტექსტის მომზადებაში ჩართული ინდივიდების, ორგანიზაციებისა თუ მთავრობების მოსაზრებებს. გარდა ამისა, ტექსტში გაკეთებული ინტერპრეტაციები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ორჰუსის კონვენციის რომელიმე მხარის ოფიციალურ პოზიციას.

UNITED NATIONS PUBLICATION
Sales No.: E.15.II.E.7
ISBN 978-92-1-117089-4
e-ISBN 978-92-1-057408-2

არაოფიციალური თარგმანი ქართულად
ორიგინალი ინგლისურ ენაზე:

[Maastricht Recommendations on Promoting Effective Public Participation in Decision-making in Environmental Matters](#)

წინასიტყვაობა

აქტიური გარემოსდაცვითი მოქალაქეობის იდეა სწრაფად ვრცელდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. უფრო და უფრო მეტმა მოქალაქემ იცის, რომ მას აქვს უფლება, გამოთქვას აზრი თავისი საცხოვრებელი გარემოს შესახებ და მოითხოვოს ჩართულობა გადაწყვეტილებებში, რომლებსაც გავლენა აქვს მის და მისი შვილების ცხოვრებაზე. თუმცა, გარემოსდაცვითი დემოკრატია მოცემულობა სულაც არ არის. მისი მნიშვნელობის მზარდი გაცნობიერება არის პასუხი წარსულში განხორციელებულ იმ უამრავ პროექტზე, რომელთაც არსებითი გავლენა მოახდინეს გარემოსა და ადამიანების ცხოვრებაზე. აღნიშნული პროექტები ხორციელდებოდა საზოგადოების, კერძოდ კი, ისეთი მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგობის მიუხედავად, როგორებიც არიან ბავშვები, ქალები, სოფლად მცხოვრები და ღარიბი ადამიანები.

გარემოსდაცვითი დემოკრატიის განვითარებისაკენ სწრაფვაში წამყვან როლს ასრულებს კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ – იგივე ორჰუსის კონვენცია – და ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი. აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებები მომზადდა, რათა ემსახუროს ხალხის ინტერესებს და ხელი შეუწყოს მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებებში, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს მათ ცხოვრებაზე. ჯანსაღ და უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების პრინციპებსა და მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი დემოკრატიის ცნებებზე დაყრდნობით, ეს შეთანხმებები ქმნიან მექანიზმებს ამ იდეალების პრაქტიკაში განსახორციელებლად. აღნიშნულ ინსტრუმენტებში დეტალურადაა გაწერილი პროცედურები საზოგადოების ინფორმირებისა და მათ ცხოვრებაზე პოტენციურად გავლენის მქონე გადაწყვეტილებებში ეფექტიანი მონაწილეობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ინსტრუმენტი გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ფარგლებშია შემუშავებული, მასთან მიერთება თავისუფლად შეუძლია UNECE-ის არაწევრ სახელმწიფოებსაც. აღნიშნული ინსტრუმენტები ხელს უწყობს უნივერსალური პრინციპების გავრცელებას და მათდამი ინტერესი მზარდია როგორც რეგიონის ფარგლებში, ასევე გლობალურად.

საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც შემოხსენებული შეთანხმებების ფარგლებში ჩამოყალიბდა, მიზნად ისახავს, დაეხმაროს პოლიტიკოსებს, კანონმდებლებსა და საჯარო მოხელეებს ყოველდღიურ საქმიანობაში, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების ჩართულობისაკენ. ისინი ადგენენ ეფექტიან სახელმძღვანელო წესებს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვისათვის, რათა გაუმჯობესდეს პროგრამებსა და პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება, მათი დაგეგმვა და განხორციელება ყველა დონეზე. გარდა ამისა, რეკომენდაციები დაეხმარება მთავრობებს სიღარიბისა და უთანასწორობის პრობლემის გადაწყვეტის მცდელობებში, რამდენადაც ისინი ქმნიან გარანტიებს, რომ ყოველი ადამიანი, მათ შორის, საზოგადოების ყველაზე ღარიბი და პერიფერიებში მცხოვრები ნაწილი, ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც მათ ეხება, რის შედეგადაც, მათ შეეძლება, რომ ეკონომიკური აქტივობებისგან მიღებული შემოსავლით ისარგებლონ.

RIO+20 კონფერენციაზე საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა, რომ კარგი მმართველობა და ქუშმარიტად მდგრადი ეკონომიკა მოითხოვს საზოგადოების, როგორც ამომრჩევლების, მომხმარებლებისა თუ თანამონაწილეების ერთობის ეფექტიან ჩართულობას. ამიტომაც, ღრმად მწამს, რომ ეს რეკომენდაციები ასევე ხელსაყრელი იქნება ადამიანებზე ორიენტირებული 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის.

კრისტინ ფრის ბახი

აღმასრულებელი მდივანი

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია

შეჯამება

მაასტრიხტის რეკომენდაციები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ეფექტიანი საზოგადოებრივი მონაწილეობის ხელშესაწყობად, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში, მოამზადა გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობაზე მომუშავე სპეციალურმა კომისიამ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის ეგიდით. რეკომენდაციები მომზადდა კონვენციის მხარეთა შეხვედრის¹ საპასუხოდ, მას შემდეგ, რაც ოფიციალური პირები და საზოგადოების წარმომადგენლები წლების განმავლობაში ითხოვდნენ უფრო პრაქტიკულ მითითებებს გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ჩართვის შესახებ კონვენციის დებულებების იმპლემენტაციის გასაუმჯობესებლად.

მაასტრიხტის რეკომენდაციები შემუშავდა ღია და მაღალი ხარისხის ჩართულობის მქონე პროცესის შედეგად. გარდა კონვენციის საკანძო ორგანოებისა და მასში ჩართული დაინტერესებული მხარეებისა, რეკომენდაციების სამუშაო ვერსია შენიშვნების გასაკეთებლად გაეგზავნა ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციისა და ტრანსსასაზღვრო მდინარეებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების კონვენციის საკანძო ორგანოებსა და დაინტერესებულ მხარეებს.

მაასტრიხტის რეკომენდაციები არსებულ საუკეთესო პრაქტიკას ეყრდნობა და ჩაფიქრებულია როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით კონვენციის დებულებების იმპლემენტაციის გასაუმჯობესებლად ორი მთავარი მიმართულებით:

- ა) მხარეების დასახმარებლად კონვენციის ეგიდით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნისას;
- ბ) დაეხმაროს ოფიციალურ ორგანოებს ყოველდღიურ რეჟიმში, კონვენციის ეგიდით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებაში.

გარდა ამისა, რეკომენდაციები შესაძლოა ასევე სასარგებლო იყოს საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის, რომლებიც გარემოსდაცვით საკითხებში გადაწყვეტილებების მიღებაში არიან ჩართულები. რეკომენდაციები შესაძლოა საინტერესო იყოს კონვენციის ხელისმომწერი ან სხვა სახელმწიფოებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენენ კონვენციის მხარეს, ისევე როგორც პასუხისმგებელი პირებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც ჩართულები არიან გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობაში სხვა მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების ფარგლებში.

რეკომენდაციები ადგენენ დამხმარე წესებს კონვენციის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების შესასრულებლად, განსაკუთრებით კი, იმ მნიშვნელოვანი გამოწვევების გადასალახად, რომლებიც იდენტიფიცირებული აქვს ორჰუსის კონვენციის აღსრულებაზე ზედამხედველ კომიტეტსა თუ სხვებს. იგი არ არის არც შემკვრელი და არც ყოვლისმომცველი და რეკომენდაციებიდან გამომდინარე და კონვენციის მხარეთა ტერიტორიებზე სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, ისინი სულაც არ წარმოადგენენ კონვენციის აღსრულების ერთადერთ გზას. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციების დოკუმენტი არ გთავაზობს კონვენციის ოფიციალურ ინტერპრეტაციას, იგი წარმოადგენს ფასდაუდებელ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ექსპერტიზისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება და პოლიტიკოსების, კანონმდებლებისა და ოფიციალური ორგანოების დახმარება კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ საქმიანობაში.

კონვენციის ფარგლებში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების ეფექტიან განხორციელებაში ხელისუფლების დასახმარებლად, რეკომენდებულია მაასტრიხტის რეკომენდაციების თარგმნა შესაბამის ეროვნულ ენებზე და, რესურსებიდან გამომდინარე, ოფიციალური პირების მომზადება მისი გამოყენებისათვის.

¹ ECE/MP.PP/2010/2/Add.1, პარაგრაფი 2 (c); ასევე იხ. ECE/MP.PP/2011/2/Add.1, გადაწყვეტილება IV/6, დანართი I, აქტივობა V.

სარჩევი

ზოგადი რეკომენდაციები.....	4
A. განსაზღვრებები	4
B. ზოგადი საკითხები	5
C. გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება	5
C. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების შემუშავება.....	5
E. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების განხორციელება	7
F. საზოგადოების მონაწილეობა ნულოვან ვარიანტში	8
G. მრავალსაფეხურიანი გადაწყვეტილების მიღება.....	8
H. იმ საზოგადოების განსაზღვრა და იდენტიფიცირება, რომელსაც შეუძლია მონაწილეობის მიღება.....	9
I. ინდივიდუალური შეტყობინება.....	10
G. საკონსულტაციო ორგანოები.....	10
K. საზოგადოების მონაწილეობა სხვა ქვეყნებიდან.....	11
L. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებში საკითხების დელეგირება	13
M. პრაქტიკული ნაბიჯები საზოგადოების მონაწილეობის მხარდასაჭერად.....	15
N. საზოგადოების მონაწილეობის პრაქტიკის შეფასება, სწავლება და კვლევა.....	15

ზოგადი რეკომენდაციები

A. განსაზღვრებები

1. ტერმინები „ხელისუფლების ორგანოები“, „გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია“, „საზოგადოება“ და „დაინტერესებული საზოგადოება“ ამ რეკომენდაციებში გამოიყენება გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის (ორჰუსის კონვენცია) მე-2 მუხლში არსებული განსაზღვრებების შესაბამისად. მეტი სიცხადისათვის:

a. „ხელისუფლების ორგანოები“ იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომელიც ექცევა კონვენციის მუხლი 2 პარაგრაფი 2-ში არსებულ განსაზღვრებაში. ეს მოიცავს იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომლებზეც დელეგირებულია საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, გარდა გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოებისა (კომპეტენტური ორგანოები); (იხ. პარაგრაფები 27-36 ქვემოთ და დანართი)²

b. „საზოგადოება“ მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და ჯგუფებს ეროვნულ დონეზე არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად. „საზოგადოების“ ყველაზე ინკლუზიური განსაზღვრება, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, დაფუძნებული უნდა იყოს „თითოეული ადამიანის“ პრინციპზე³. „თითოეული ადამიანის“ პრინციპში, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, „საზოგადოებად“ უნდა ჩათვალოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, გაერთიანება, ორგანიზაცია თუ ჯგუფი, ეროვნულ დონეზე მათი ლეგალური სტატუსის მიუხედავად. საზოგადოების მონაწილეობის ჩარჩოს გამჭვირვალობის, სიცხადისა და თანმიმდევრულობის მაქსიმალური უზრუნველყოფისათვის, განსაზღვრებაში ნაგულისხმევი მხარეები მკაფიოდ უნდა იყოს დაკონკრეტებული ეროვნულ კანონმდებლობაში, თუკი იგი არ ითვალისწინებს, რომ „საზოგადოებაში“ უნდა იგულისხმებოდეს ფიზიკური და იურიდიული პირების ნებისმიერი გაერთიანება, ორგანიზაცია ანდა ჯგუფი, მიუხედავად მათი სტატუსისა ეროვნულ კანონმდებლობაში;

c. „დაინტერესებული საზოგადოება“, მათ შორის, მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ გარემოს დაცვის ხელშესაწყობად და აკმაყოფილებენ კანონმდებლობის მოთხოვნებს ეროვნულ დონეზე. საზოგადოების მონაწილეობის ჩარჩოს გამჭვირვალობის, სიცხადისა და თანმიმდევრულობის გარანტირებისათვის, ეროვნულ კანონმდებლობაში შესაძლოა დაკონკრეტდეს:

I. რას ნიშნავს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში „ინტერესის ქონა“;

II. მოთხოვნები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას, რათა ისინი ინტერესის მქონეებად ჩაითალონ. ის, თუ რა ითვლება საკმარის ინტერესად, უნდა განისაზღვროს სამართლიანობაზე საზოგადოების ფართო წვდომის მიზნებიდან გამომდინარე⁴.

2. რეკომენდაციების მიზნებიდან გამომდინარე:

a. „ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო“ ან „საკანონმდებლო ჩარჩო“ მოიცავს ეროვნული კანონმდებლობის ნებისმიერ წყაროს, მათ შორის, საკონსტიტუციო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და ადმინისტრაციულ შესწორებებს, ისევე როგორც პრეცედენტულ კანონმდებლობასა და დამკვიდრებულ ადმინისტრაციულ პრაქტიკას;

b. „ნულოვანი ვარიანტი“ გულისხმობს მთლიანად უარის თქმის შესაძლებლობას დაგეგმილ აქტივობაზე, გეგმასა თუ პროგრამაზე, ისევე, როგორც მის რომელიმე ალტერნატივაზე.

² იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/37 კომუნიკაცთან დაკავშირებით, ბელარუსის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2011/11 Add.2), პარაგრაფი 78.

³ „თითოეული ადამიანის“ პრინციპს იყენებს კონვენციის მხარე არაერთი ქვეყანა.

⁴ იხ. ორჰუსის კონვენცია, მუხლი 9, პარაგრაფი 2.

B. ზოგადი საკითხები

3. საზოგადოების მონაწილეობა ზრდის გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ხარისხს და ხელს უწყობს მათ ეფექტიან ადსრულებას. საზოგადოებისათვის აზრის გამოხატვის შესაძლებლობის მიცემა და გადაწყვეტილებებში მათი გათვალისწინების მოთხოვნა ხელისუფლებისაგან ზრდის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას და შესაძლოა, ხელი შეუწყოს მიღებული გადაწყვეტილებებისადმი საზოგადოებრივ მხარდაჭერას. ამ პროცესში კი, მას წვლილი შეაქვს გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაში როგორც საზოგადოებაში, ისე ხელისუფლების ორგანოებში.

4. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თითოეულმა მხარემ საზოგადოების მონაწილეობა უნდა დაინახოს როგორც წინაპირობა ეფექტიანი მოქმედებისა და რეალური გავლენის მოსახდენად და არა როგორც უბრალოდ ფორმალური, პროცედურული მოთხოვნა. ამისათვის, საზოგადოება სრულყოფილად უნდა მონაწილეობდეს კონვენციის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში, ადგილზე არსებული ეროვნული პროცედურების სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან, უნდა მოხდეს საზოგადოების აქტიური მონაწილეობის სტიმულირება და წახალისება.

C. გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება

5. ეფექტიანი საზოგადოებრივი მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის, კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების საკანონმდებლო ჩარჩო:

a. მიზნად უნდა ისახავდეს რაც შეიძლება ყოვლისმომცველი, ფართო, აქტიური და ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი მონაწილეობის უზრუნველყოფას:

I. საკანონმდებლო ჩარჩოთი გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებებსა და აქტივობებში; და

II. აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული სხვადასხვა მასშტაბისა და მახასიათებლის მქონე საზოგადოებაში.

b. უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების რაც შეიძლება ადრეულ საფეხურზე;

c. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, შესაძლებელს უნდა ხდიდეს წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვას ახალ ინფორმაციაზე დაყრდნობით;

d. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, უნდა შეიქმნას საზოგადოებასთან კონსულტაციის გზით.

6. კონვენციის ფარგლებში მოქცეული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების საკანონმდებლო ჩარჩოში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით დღეს არსებული უფლებიდან ნებისმიერი გადახვევა შესაძლოა აღქმულ იქნეს, როგორც კონვენციის მიზნებიდან გადახვევა⁵.

D. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების შემუშავება

7. კონვენციის დადგენილებათა იმპლემენტაციისათვის ცხადი, გამჭვირვალე და მწყობრი ჩარჩოს შესაქმნელად და შესანარჩუნებლად, კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ხელისუფლების ორგანოებმაც და საზოგადოებამაც ზუსტად იცოდნენ:

a. რა გადაწყვეტილებებია მისაღები, რომელ ეტაპზე, რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება აღნიშნულ გადაწყვეტილებებს და ვინ არის მათ მიღებაზე პასუხისმგებელი;

⁵ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2004/04 კომუნიკაციასთან დაკავშირებით, უნგრეთის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2005/2/Add.4), პარაგრაფი 18; და ACCC/C/2011/57 კომუნიკაციასთან დაკავშირებით, დანის მიერ შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2012/7), პარაგრაფი 46.

- b. თითოეულ ეტაპზე განსახილველი და გადასაწყვეტი ვარიანტების დიაპაზონი, იმის გათვალისწინებით, რომ პროცედურები ასევე უნდა იყოს ღია ახალი ვარიანტების განსახილველად, რომლებიც გაჩნდება საზოგადოების მონაწილეობის შედეგად;
- c. შესაძლებლობები, რომლებიც საზოგადოებას აქვს თითოეულ ეტაპზე გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისთვის და შესაბამისი პროცედურები;
- d. თითოეული ეტაპის ვადები – რამდენადაც ამის წინასწარ განსაზღვრა არის შესაძლებელი გონივრულ ფარგლებში;
- e. როგორ მოხდება საზოგადოების ინფორმირება პროცედურების იმ შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რომლებიც ჯერ არ შემუშავებულია;
- f. გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული სხვადასხვა ორგანოს ფუნქციები, მათ შორის იმათიც, ვინც პასუხისმგებელია სხვადასხვა საკითხსა და საზოგადოების მონაწილეობის სხვადასხვა ეტაპზე და მათი საკონტაქტო ინფორმაცია;
- g. საფასური, რომლის გადახდაც მოუწევს საზოგადოებას მონაწილეობის ანდა ინფორმაციის მიღებისათვის. საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მონაწილეობაზე „თავისუფალი წვდომა“ უნდა იყოს⁶, რაც ნიშნავს, რომ არ უნდა არსებობდეს გადასახადი ან მოსაკრებელი საზოგადოებისათვის, რომელიც ცდილობს მონაწილეობას, გარდა გონივრული ხარჯებისა, რომელიც ინფორმაციის გამოთხოვასთან არის დაკავშირებული. თუკი რაიმე ხარჯი არსებობს, აღნიშნულ ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის დასაწყისშივე;
- h. საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია გადაწყვეტილების, მათ შორის, კონვენციის მე-9 მუხლის ფარგლებში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების ანდა მისდამი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ⁷.

8. როდესაც მუშავდება საზოგადოების მონაწილეობის პროცედურა, მისთვის მინიჭებული სახელი ანდა კატეგორია (მაგ. „ნებართვა“, „თანხმობა“, „გეგმა“, „პროგრამა“, „პოლიტიკა“, „დეკრეტი“ და ა.შ.) არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის იმის განსაზღვრაში, მოხდება თუ არა ეს გადაწყვეტილება კონვენციის მე-6, მე-7 ან მე-8 მუხლების ფარგლებში. ეს განისაზღვრება გადაწყვეტილების საკანონმდებლო ფუნქციებისა და შედეგების მიხედვით⁸.

9. არ არსებობს ინსტრუმენტებისა თუ ტექნიკების სპეციფიკური წყება, რომელიც უნივერსალურად, ყველა კონტექსტში განსაზღვრავს იმას, თუ რა არის „საუკეთესო პრაქტიკა“. ნაცვლად ამისა, სათანადო ტექნიკები ცალკეულ სიტუაციებზე უნდა იყოს მორგებული, ხოლო პრაქტიკები – კონკრეტულ კონტექსტებზე, მაგალითად, სპეციფიკურ კულტურულ საჭიროებებზე ანდა ცვლილებებზე, რომელთა გატარება აუცილებელი იქნება პროცედურის დროს. ამიტომაც, საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებმა:

- a. აუცილებლად უნდა გაუწიონ ზედამხედველობა პროცედურებს მათი მიმდინარეობის პროცესში, რათა შეაფასონ, რამდენად წარმატებულად მუშაობს ის. ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ, განსაზღვრონ კრიტერიუმები პროცედურის ზედამხედველობისა და შეფასებისათვის, როგორც დაგეგმვის პროცესის ერთ-ერთი ნაწილი. დამატებითი საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის;
- b. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, პროცედურა უნდა შესწორდეს ანდა შეიცვალოს, მათ შორის, ინსტრუმენტების, ტექნიკებისა და პერსონალის არჩევის საკითხში, თუკი საჭიროა საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება. დაინტერესებული საზოგადოების გარკვეული წევრების მხრიდან პროცესისადმი ბრაზის ანდა იმედგაცრუების გამოხატვის შემთხვევები დანახული უნდა იყოს არა როგორც საკმარისი მიზეზი მონაწილეობის პროცესიდან მათ გამოსათიშად, არამედ როგორც ნიშანი, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის არსებული ფორმატი გარკვეულწილად ვერ პასუხობს დასახულ მიზნებს და შესაძლოა საჭირო იყოს მისი შესწორება ანდა გაუმჯობესება. ასეთ იმედგაცრუებებზე აღრეულ ეტაპზევე რეაგირებამ შესაძლოა შეამციროს რისკი, რომ

⁶ იხ. ორჰუსის კონვენცია, პრეამბულა, პარაგრაფი 12.

⁷ იხ. იმპლემენტაციის კომისიის მოსაზრებები (2001-2010), პარაგრაფი 73 (a). ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზეგავლენის შეფასების კონვენციის პუბლიკაცია ხელმისაწვდომია ონლაინ, ბმულზე: http://www.unece.org/env/eia/implementation/implementation_committee.html

⁸ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2005/11 კომუნიკაციათა დაკავშირებით ბელგიის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2006/4/Add.2), პარაგრაფი 29.

დაინტერესებული საზოგადოების წევრები მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგონ. თუკი გათვალისწინებულია რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი ცვლილების გატარება საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებში, მათი მიმდინარეობის ზედამხედველობის შედეგად, დაინტერესებული საზოგადოება ჯეროვნად უნდა იყოს ინფორმირებული (იხ. პარაგრაფი 52-70).

c. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცედურა დასრულდება, დამატებითი საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებმა საბოლოოდ უნდა შეაფასონ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურა, რათა გამოარკვიონ, რისი გაკეთებაა შესაძლებელი მომავალში უფრო ეფექტიანი საზოგადოების მონაწილეობისათვის ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებისას. შეფასება შესაძლოა შეეხებოდეს როგორც საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობაში პროცედურის ეფექტიანობას, ასევე მის ეფექტიანობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გამოყენებაში და, საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, იგი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

10. ვინაიდან ხელისუფლების ორგანოებსაც და საზოგადოებასაც შეზღუდული დრო და რესურსები აქვს, ინსტრუმენტებისა და ტექნიკების არჩევისას მოქნილობა და გადაწყვეტილების ბუნებასა და კონტექსტზე მათი მორგება გაზრდის საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის ეფექტიანობას. გამოყენებული ინსტრუმენტები და ტექნიკები უნდა იყოს გადაწყვეტილების კომპლექსურობისა და სავარაუდო ზეგავლენის პროპორციული. ეს დაგვეხმარება ე.წ. მონაწილეობით გადაღლის თავიდან აცილებაში.

11. საზოგადოების მონაწილეობისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი ინსტრუმენტებისა და ტექნიკების შერჩევის თვალსაზრისით, გამოცდილებამ აჩვენა, რომ:

a. კონვენციის ფარგლებში მოქცეული, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ანდა მოსახლეობის ფართო მასებზე ზეგავლენის მქონე საკითხების შემთხვევაში, საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობისათვის შესაძლოა უფრო ზუსტად შერჩეული პროცედურები იყოს შესაფერისი. მაგალითად, წერილობითი შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობასთან ერთად, შესაძლოა გამართლებული იყოს სახალხო განხილვების ან მოსმენების (უფრო ფორმალური, რომელიც რიგ ქვეყნებში ასევე გულისხმობს ფორმალური მტკიცებულებების წარდგენასა და ჯვარედინ გამოკვლევას) ან საჯარო დებატების თუ შეხვედრების (ნაკლებად ფორმალური, შესაძლოა ფასილიტირებული ჯგუფური პროცესებით) გამართვა;

b. კონვენციის ფარგლებში მოქცეული საკითხების შემთხვევაში, რომელთაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, ყველანაირ რელევანტურ ინფორმაციაზე წვდომა და წერილობითი შენიშვნების გაკეთებისა და მათი გათვალისწინების ვალდებულების შესაძლებლობები შეიძლება ზოგჯერ საკმარისი იყოს. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ორგანოებს უნდა ჰქონდეთ იმისი ძალაუფლება, რომ გამართონ მოსმენა ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლიან, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც საზოგადოება მოითხოვს.

12. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით მინიმალური მოთხოვნაა ის, რომ ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა საგულდაგულოდ უნდა განიხილონ კონსულტაციის პროცესის შედეგები; თუმცა, ზოგჯერ, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურა შესაძლოა გულისხმობდეს საზოგადოების უფლებას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება. მაგალითად, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ანდა მოსახლეობის ფართო მასებზე ზეგავლენის პოტენციალის მქონე აქტივობებისა და ეროვნული კონსტიტუციის ფარგლებში მოხვედრილი საკითხების შემთხვევაში, შესაძლოა ხელსაყრელი იყოს საზოგადოებისათვის გადაწყვეტილების თანამიმდევრული ძალაუფლების მინიჭება (მაგალითად, რელევანტური გადაწყვეტილების მიღების პროცედურის გაძღოლის კომპეტენციის დელეგირება) ანდა გადაწყვეტილების ექსკლუზიურად მიღების ძალაუფლებაც კი (მაგალითად, ლოკალურ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე რეფერენდუმის დავალდებულება, როდესაც ამის საჭიროება დგას).

E. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების განხორციელება

13. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების განხორციელებისას რეკომენდებულია, რომ ხელისუფლების ორგანოებმა:

a. ისინი განახორციელონ ცხადი მიზნებით. როგორც საჯარო ხელისუფლების ორგანოებმა, ასევე საზოგადოებამ უნდა გაიაზრონ პროცედურების მიზნები;

- b. სათანადო დრო დაუთმონ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების ნებისმიერ საფეხურს, მათ შორის, საზოგადოების მონაწილეობის შედეგების ჯეროვან გათვალისწინებას (იხ. პარაგრაფები 71-77);
- c. სათანადოდ მაღალ დონეზე გააკეთონ საჯარო განცხადება, რომ თავიანთი ქმედებების განხორციელებისას პროცედურებით იხელმძღვანელებენ;

14. გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ ხელისუფლების ორგანოებმა საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების განხორციელებისას, შესაძლებლობის ფარგლებში:

- a. ჯეროვანად გაითვალისწინონ დაინტერესებული საზოგადოების საჭიროებები და შესაძლებლობები (მაგ. ენის ცოდნა, წერა-კითხვის უნარები, ინტერნეტზე წვდომა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (სოფელი/ქალაქი), მობილობა), რათა საზოგადოებამ შეძლოს პროცედურებში ეფექტიანი მონაწილეობა;
- b. აიღონ პასუხისმგებლობა ანგარიშვალდებულებაზე, თვითშეფასებასა და გამოცდილების მიღებაზე; გამოყონ საკმარისი ფინანსები და მოიძიონ პერსონალი.

15. თუკი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელისუფლების ორგანოები მიიღებენ მნიშვნელოვან ახალ ინფორმაციას ანდა გააცნობიერებენ, რომ გარკვეული გარემოებები მკვეთრად შეიცვალა, რეკომენდებულია, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოებას მიეცეს მონაწილეობის დამატებითი შესაძლებლობები. ახალი ინფორმაციისა თუ გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა საჭირო გახდეს საზოგადოების მხრიდან შენიშვნების მიღების პროცესის გახანგრძლივება ანდა დახურული საკითხების ხელახლა გადახედვა, თუკი ეს აუცილებელია გარემოს დასაცავად ანდა დაინტერესებული საზოგადოებისათვის შესაძლებლობის მისაცემად, რათა ახლახან მიღებული ინფორმაციის თავიანთ საქმიანობაში გამოყენება შეძლონ. მაგალითად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანდა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგმ) დოკუმენტაციის შესწორებული სახით მიღება, სადაც შეიცვალა არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საზოგადოების მოსაზრებებზე შემოთავაზებულ პროექტთან ანდა აქტივობებთან დაკავშირებით, შესაძლოა იყოს გარემოება, რომელიც მოითხოვს, რომ საზოგადოებას დამატებითი შესაძლებლობები მიეცეს მონაწილეობისათვის.

F. საზოგადოების მონაწილეობა ნულოვან ვარიანტში⁹

16. კონვენციის მოთხოვნის თანახმად, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მონაწილეობის საშუალება, როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი ღიაა განსახილველად¹⁰, საზოგადოებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ წარადგინოს შენიშვნები და მოხდეს მათი ჯეროვანი გათვალისწინება იმასთან დაკავშირებით, უნდა მიეცეს თუ არა მსვლელობა შემოთავაზებულ აქტივობას (ე.წ. ნულოვანი ვარიანტი), სხვა საფუძვლიან მოსაზრებებთან ერთად, რომელთა გათვალისწინებასაც კანონი მოითხოვს გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, როდესაც ყველა ვარიანტი ღიაა განსახილველად¹¹. ამ რეკომენდაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც შემოთავაზებული აქტივობა შეეხება ტექნოლოგიას, რომელიც ქვეყანაში ჯერ არ გამოუყენებიათ და რომელიც მიიჩნევა მაღალი რისკის მქონედ, ანდა რომლის პოტენციური ზემოქმედება გარემოზე უცნობია. მაგალითად, ღირს თუ არა ასეთი ტექნოლოგიის გამოყენება, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობა საზოგადოებას მხოლოდ მაშინ არ უნდა მიეცეს, როდესაც უკვე აღარ არსებობს მის გაგრძელებაზე უარის თქმის რეალისტური შესაძლებლობა¹².

G. მრავალსაფეხურიანი გადაწყვეტილების მიღება

17. გადაწყვეტილების მიღების ჩარჩო შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა თანმიმდევრულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას კონვენციის მე-7 და მე-8 მუხლების ფარგლებში (პოლიტიკები, გეგმები, პროგრამები, კანონები და რეგულაციები) და ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში (მაგალითად, გადაწყვეტილებებს ცალკეული აქტივობის ადგილმდებარეობისა და საბაზისო პარამეტრების, მისი ტექნიკური

⁹ „ნულოვანი ვარიანტის“ განმარტებისათვის იხილეთ განსაზღვრებების თავი.

¹⁰ იხ. ორჰუსის კონვენციის მუხლი 6, პარაგრაფი 4.

¹¹ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/16 კომუნიკსთან დაკავშირებით, ლიეტუვის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2008/5/Add.6), პარაგრაფი 74; ACCC/C/2006/17 ევროპასთან დაკავშირებით (ECE/MP.PP/2008/5/Add.10), პარაგრაფი 51; და ACCC/C/2009/41 სლოვაკეთთან დაკავშირებით (ECE/MP.PP/2011/11/Add.3), პარაგრაფები 61 და 63.

¹² იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/16 კომუნიკსთან დაკავშირებით, ლიეტუვის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2008/5/Add.6), პარაგრაფი 74.

პროექტის, შემოქმედების შემამსუბუქებელი ზომების და, ბოლოს, მისი ტექნოლოგიური დეტალების ავტორიზაციის შესახებ, რაც დაკავშირებულია სპეციფიკურ გარემოსდაცვით სტანდარტებთან, როგორც შერჩეულ ადგილზე მორგებულ აქტივობასთან). გადაწყვეტილების მიღების ასეთი პროცესი, ხშირად, ცნობილია როგორც „მრავალსაფეხურიანი“ გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

18. თუკი უმჯობესია, მრავალსაფეხურიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ჩარჩო შესაძლოა ასახავდეს მრავალდონიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესის კონცეფციას, სადაც გადაწყვეტილების მიღების თითოეულ საფეხურზე ხდება კონკრეტული ვარიანტების საზოგადოების მონაწილეობით განხილვა და შერჩევა, ხოლო ყოველი მომდევნო საფეხური განიხილავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც წინა საფეხურზე შერჩეული ვარიანტის ფარგლებში ჯდება. მართალია, კომპეტენტურ ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული დისკრეცია ვარიანტების დიაპაზონთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც შეუძლიათ იმოქმედონ გადაწყვეტილების მიღების ცალკეულ ეტაპზე, თუმცა, იმ საფეხურებზე, სადაც საზოგადოების მონაწილეობა აუცილებელია, ეს უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ეტაპზე ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი ღიაა განსახილველად და შესაძლებელია საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა. თუკი გადაწყვეტილების მიღების პროცესის კონკრეტული დონე არ ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას, მაშინ შემდეგმა საფეხურმა, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას, უნდა შექმნას შესაძლებლობა საზოგადოებისთვის, რომ მონაწილეობა მიიღონ შერჩეულ ვარიანტში, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება წინა საფეხურზე იქნა მიღებული.

19. იმის მიუხედავად, თუ როგორ არის მოწყობილი გადაწყვეტილების მიღების ჩარჩო, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ განიხილოს შემოთავაზებული დაგეგმილი ქმედების ბუნება და საჭიროება მთლიანობაში (ნულოვანი ვარიანტი, იხ. ზემოთ მე-16 პარაგრაფი). იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს კონვენციის მოთხოვნები და პროექტის განვითარებაზე ზედამხედველის ლეგიტიმური მოლოდინი, აღნიშნული შესაძლებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მთლიანად გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ რეალურად არსებობს პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესაძლებლობა.

H. იმ საზოგადოების განსაზღვრა და იდენტიფიცირება, რომელსაც შეუძლია მონაწილეობის მიღება

20. იმისათვის, რომ არსებობდეს გარანტიები, რომ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის კონვენციით გათვალისწინებული საკანონმდებლო ჩარჩო გამჭვირვალედ, ცხადად და თანმიმდევრულად იქნება გამოყენებული, როდესაც შემოთავაზებული აქტივობით დაინტერესებული საზოგადოების იდენტიფიცირება ხდება, ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ:

- a. შემოთავაზებული აქტივობით დაინტერესებულ საზოგადოებაში, სულ მცირე, დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფი უნდა იყოს ცხადად წარმოდგენილი. ეს არის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ნაბიჯი საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის კონვენციის შესაბამისად;
- b. გარემოსდაცვითი განზომილების მქონე ბევრი გადაწყვეტილება ასევე მოიცავს სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს და შესაბამისი ინტერესჯგუფები სამართლიანად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი საზოგადოების მონაწილეობის პროცესში;
- c. პროცედურა უნდა იყოს ღია ყველანაირი პერსპექტივის განსახილველად, მათ შორის, იმ პერსპექტივებისაც, რომლებიც შემოთავაზებულ აქტივობას ეწინააღმდეგება. დისკუსიაში კრიტიკული მოსაზრებების შემოტანა პროცედურების ადრეულ ეტაპზე, მას უფრო ქმედითსა და ეფექტიანს გახდის, საბოლოოდ ჯამში კი, იქნება უკეთესი გადაწყვეტილების წინაპირობა;
- d. უნდა მოხდეს მათი იდენტიფიცირება, ვინც შეიძლება ხელი შეუშალოს გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გამჭვირვალეობასა და დაბალანსებულ ხასიათს, მაგალითად, ძლიერი ლობისტური ანდა გადაწყვეტილების მიმდებ პირებთან განსაკუთრებული ურთიერთობების მქონე ჯგუფების. შესაძლოა, გონივრული იყოს პროცედურების მიმდინარეობაზე მათი ჩართულობისა და გავლენების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაბალანსებული და სამართლიანი პროცესის შენარჩუნება;
- e. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ჯგუფების იდენტიფიცირებას, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო, რთულია მისწვდეს:
 - i. საზოგადოების ზოგიერთ წევრს შესაძლოა სურდეს მონაწილეობა, თუმცა არ შეეძლოს (მაგ. მოწყვლადი ან/და მარგინალიზებული ჯგუფები, როგორებიცაა ბავშვები, მოხუცები, ქალები ზოგიერთ საზოგადოებაში, მიგრანტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები,

ენობრივი ბარიერისა და წერა-კითხვის არმცოდნე ადამიანები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, ეკონომიკურად არაპროვიზირებული ადამიანები, ადამიანები, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ ინტერნეტზე, ტელევიზორსა და რადიოზე და ა.შ.);

ii. სხვებს კი, შესაძლოა მონაწილეობა შეეძლოთ, თუმცა ამის სურვილი არ ჰქონდეთ (მაგ. ადამიანები, რომლებსაც წარსულში მონაწილეობის ცუდი გამოცდილება აქვთ, ვისაც არ აქვს ამისთვის საკმარისი დრო ანდა ისინი, ვინც ვერ ხედავს, რა სარგებელი შეიძლება მიიღონ მონაწილეობისაგან და ა.შ.).

როდესაც ასეთი ადამიანები გამოერევიან იმათში, ვისზეც შეიძლება პოტენციური ზეგავლენა იქონიოს შემოთავაზებულმა აქტივობამ თუ გადაწყვეტილებამ, სულ მცირე, მცდელობები მაინც უნდა იყოს იმისა, რომ მოხდეს ისეთი ორგანიზაციებისა თუ ინდივიდების ჩართვა, ვინც მათ რეპრეზენტაციას ახდენს;

f. სავარაუდოდ დაინტერესებული საზოგადოების სია არ არის დახურული და ღია უნდა იყოს საიმისოდ, რომ მან მოიცვას სხვა ინდივიდები ან ჯგუფები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დაინტერესებულები არიან გადაწყვეტილების მიღებით და აქვთ პროცედურებში ჩართვის სურვილი;

g. შესაძლოა ხელსაყრელი იყოს დაინტერესებული საზოგადოების უკვე იდენტიფიცირებულ წევრებთან კონსულტაცია და მათი დახმარებით სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, რომლებზეც საუბარი (a)-(f) პუნქტებში იყო.

I. ინდივიდუალური შეტყობინება

21. დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატური და ეფექტიანი ინფორმირებისათვის, ხელისუფლების ორგანოებს შესაძლოა სურდეთ გარკვეული მექანიზმების შექმნა, სადაც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესით ანდა ცალკეული ტიპის ყველა გადაწყვეტილებით დაინტერესებული საზოგადოების წევრებს შეეძლება, რომ მოითხოვონ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებთან დაკავშირებით დროული ინდივიდუალური შეტყობინებები. ეს შეიძლება გულისხმობდეს, მათი სურვილიდან გამომდინარე, საზოგადოების ნებისმიერ წევრს (როგორც პროექტის ავტორი ქვეყნიდან, ასევე სავარაუდოდ ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნიდან), მათ შორის იმათაც, ვინც უშუალოდ იმ გეოგრაფიულ არეალში არ ცხოვრობს, რომელსაც გადაწყვეტილება შეეხება. ასეთი მექანიზმები შესაძლოა მოიცავდეს ელექტრონული ფოსტის მისამართების სიებს ანდა ელექტრონული ბაზების ავტომატურ შეტყობინებებს; ხოლო იმ რეგიონებში, სადაც საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ მიუწვდება ხელი ინტერნეტზე, ინდივიდუალური შეტყობინებების სხვა ეფექტიანი და კულტურულად უფრო შესაფერისი საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული, მაგ. ფოსტა ანდა კარდაკარ ჩამოვლით შეტყობინება.

G. საკონსულტაციო ორგანოები

22. კონვენციაში მითითებულ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებთან ერთად, ხელისუფლების ორგანოებისთვის შესაძლოა ხელსაყრელი იყოს ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ანდა რელევანტური ექსპერტიზის მქონე, საზოგადოების სხვა წევრების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების საკონსულტაციო ორგანოებში (მაგ. გარემოს დაცვის გენერალურ კომისიებში, სპეციალურ გზშ-ის კომისიებში, გენმოდულიფიცირებული ორგანიზაციების (გმო) კომისიებსა თუ წყლის კომიტეტებში). ამასთან დაკავშირებით:

a. ეს ადამიანები შესაძლოა მოქმედებდნენ საკუთარი სახელით ანდა წარმოადგენდნენ დაინტერესებული საზოგადოების ცალკეულ წევრებს. აქედან უკანასკნელ შემთხვევაში, აღნიშნული ადამიანები ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ იმათ წინაშე, ვისაც წარმოადგენენ, ხოლო პროცედურებში ჩართული სხვა აქტორების წინაშე უნდა იყვნენ სრულიად გამჭვირვალეები წარმომადგენლობითობასთან დაკავშირებით. ასეთ ორგანოებში მონაწილეობის უფლება არ უნდა ჰქონდეთ ადამიანებს, რომლებსაც პირდაპირი ფინანსური დაინტერესება აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესის სავარაუდო შედეგებში;

b. იმისათვის, რომ საკონსულტაციო ორგანოებმა ეფექტიანად იმუშაონ, მათი წევრები მონაწილეობას უნდა იღებდნენ პირადად (ანუ თვითონ, მინდობილი პირების გარეშე);

c. საზოგადოების ჩართულობა ასეთ ორგანოებში უნდა იყოს არსებითი, ანუ მათ უნდა ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობა, რომ ზეგავლენა მოახდინონ ამ ორგანოების შეხედულებებსა თუ ოფიციალურ პოზიციებზე;

d. ასეთ ორგანოებში ჩართულობამ ხელი არ უნდა შეუშალოს გადაწყვეტილების მიღების შემდგომ საფეხურებზე ამ ადამიანთა აზრის გამოხატვას ანდა კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებებით სარგებლობას;

e. საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობა საკონსულტაციო ორგანოებში ვერ ჩაანაცვლებს უფრო ფართო საზოგადოების, კერძოდ, იმ ადამიანების მონაწილეობას, ვისზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს მიღებულმა გადაწყვეტილებამ.

K. საზოგადოების მონაწილეობა სხვა ქვეყნებიდან¹³

23. კონვენციის ფარგლებში მოქვეყნილი ქმედებების გარემოსდაცვითი ზეგავლენა შესაძლოა გასცდეს სახელმწიფოთა საზღვრებს. კონვენციის თანახმად¹⁴, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს კონვენციით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მოქალაქეობის, ეროვნული თუ საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე¹⁵. ეს ვრცელდება იმ ქვეყნებზეც, რომლებიც ზეგავლენის ქვეშ ექვეყნიან, თუმცა არ არიან ორპუსის კონვენციის ან ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციის (ესპოოს კონვენცია) მხარეები. ამისათვის:

a. კონვენციის იმპლემენტაციის საკანონმდებლო ჩარჩო არ უნდა შეიცავდეს არაფერს ისეთს, რაც მოახდენს კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე სხვა ქვეყნის საზოგადოების დე ფაქტო ან დე იურე დისკრიმინაციას, იმ ქვეყანაში, სადაც აღნიშნული გადაწყვეტილების ზეგავლენა შეიძლება გავრცელდეს;

b. თავად საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები არ უნდა გულისხმობდეს არაფერს ისეთს, რაც მოახდენს ეფექტიანი მონაწილეობის თვალსაზრისით საზოგადოების დე ფაქტო ან დე იურე დისკრიმინაციას სხვა ქვეყანაში, სადაც გადაწყვეტილების ზეგავლენა ვრცელდება. ამისათვის, შესაძლოა საჭირო გახდეს გეგმის დიდი სიფრთხილით შემუშავება და დამატებითი რესურსების გამოყოფა, მაგალითად, რელევანტური ინფორმაციის თარგმნისათვის, რათა ზეგავლენის ქვეშ მოქვეყნილი ქვეყნის საზოგადოებამ შეძლოს ეფექტიანი მონაწილეობა;

c. უნდა გადაიდგას ნაბიჯები სხვა ქვეყნებთან შეთანხმებების მისაღწევად, განსაკუთრებით, მეზობელ და საერთო მდინარის ქვედაწელზე არსებულ ან საზიარო ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნებთან (ტრანსსასაზღვრო კოოპერაციის ან ტრანსსასაზღვრო ზეგავლენის შეფასების ან რაიმე სხვა შეთანხმების ფარგლებში), რათა მოხდეს საზოგადოების ერთობლივი მონაწილეობისათვის ხელშეწყობა იმ ქვეყნებში, რომელზეც შეიძლება გავრცელდეს კონვენციით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების შედეგები. ამ შემთხვევაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ან არ იქნეს ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების არსებული სისტემები. ეს შესაძლოა მოხდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (ad hoc) ანდა პერმანენტული მექანიზმების ფორმით, რათა ხელი შეეწყოს ზეგავლენის ქვეშ მოქვეყნილი ქვეყნის საზოგადოების მონაწილეობას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ამგვარი შეთანხმებები შესაძლოა მოიცავდეს:

i. ვადებს. საზოგადოების მონაწილეობის პროცესისათვის, რომელიც მოიცავს ტრანსსასაზღვრო ელემენტებს, ვადა უნდა იყოს, სულ მცირე, იმხელა, რამხელაც არის გათვალისწინებული პროცესისათვის, რომელიც არ მოიცავს ტრანსსასაზღვრო ელემენტებს და ცალკეული შემთხვევების მიხედვით, ის შესაძლოა გახანგრძლივდეს, რათა გათვალისწინებული იყოს კულტურული და კომუნიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები. საზოგადოების მონაწილეობისთვის დროის ათვლა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც გავლენის სფეროში მოქვეყნილი ქვეყნის დაინტერესებული საზოგადოებისათვის რელევანტური დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახდება, და არა მაშინ, როდესაც ავტორი ქვეყანა დოკუმენტებს გადასცემს გავლენის სფეროში მოქვეყნულ ქვეყანას;

ii. საზოგადოების ინფორმირებას გადაწყვეტილების მიღების პროცედურების დაწყების, მონაწილეობის შესაძლებლობის და, სათანადო დროს, მიღებული გადაწყვეტილებისა და პროცედურების გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ;

iii. დოკუმენტების თარგმნასა და სინქრონულ თარგმნას შეხვედრებსა და მოსმენებზე. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის თარგმანისა და სინქრონული თარგმანის უზრუნველყოფა. დაგვიანების თავიდან ასაცილებლად, ქვეყნებმა წინასწარ უნდა შეათანხმონ, ვისი პასუხისმგებლობა იქნება დოკუმენტების თარგმნა. როდესაც შესაძლებელი არ არის ყველა რელევანტური დოკუმენტის ერთდროულად თარგმნა, საზოგადოებისათვის

¹³ ასევე იხ. ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენცია და მისი ოქმი სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაზე.

¹⁴ იხ. ორპუსის კონვენცია, მუხლი 3, პარაგრაფი 9.

¹⁵ ასევე იხ. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი, მუხლი 3, პარაგრაფი 7.

დოკუმენტების შესწავლისა და შენიშვნების გაკეთებისთვის განკუთვნილმა გრაფიკმა უნდა გაითვალისწინოს დრო, რომელიც დასჭირდება ნათარგმნი დოკუმენტების განხილვას მას შემდეგ, რაც ისინი ხელმისაწვდომი გახდება;

d. უნდა წახალისდნენ რეგიონული ან/და ადგილობრივი ხელისუფლებები, რათა მათ მიადნონ მსგავს შეთანხმებებს მეზობელ და საერთო მდინარის ქვედაწელზე არსებულ ან საზიარო ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნებთან, რომელიც თანხმობაში უნდა იყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნებთან;

e. გარდა ამისა, დაგეგმილი აქტივობების ინიციატორმა ქვეყნებმა, ზემოხსენებული დოკუმენტებისადმი ყოველგვარი წინასწარ განწყობის გარეშე, უნდა უზრუნველყონ შიდა მექანიზმები კონვენციით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებში მონაწილეობის ხელშეწყობად, ზეგავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნების საზოგადოებების დისკრიმინაციის გარეშე. ეს მექანიზმები შესაძლოა მოიცავდეს:

i. ინტერნეტში მაქსიმალურად დიდი ოდენობით ინფორმაციის განთავსებას იმ ძირითად ენებზე, რომლებსაც იყენებენ პოტენციური გავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნების (მაგ. მეზობლად ანდა საერთო მდინარის ქვედაწელზე არსებული ქვეყნის/ქვეყნების) საზოგადოებები;

ii. სავიზო მოსაკრებლის გაუქმებასა და სავიზო პროცედურების დაჩქარებას, რათა მეზობელი და საერთო მდინარის ქვედაწელზე არსებული ქვეყნის მცხოვრებლებმა შეძლონ ინიციატორ ქვეყანაში შესვლა, გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციის შესწავლა და შეხვედრება და მოსმენებზე დასწრება, მათი გამართვის შემთხვევაში;

iii. ვიდეო- და ტელე-კონფერენციების გამოყენება, გავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნის საზოგადოებისათვის მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემისათვის და, როდესაც საჭიროა, ინიციატორი ქვეყნის დაინტერესებულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის;

iv. დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფა, ტრანსსასაზღვრო კონტექსტში საზოგადოების მონაწილეობის პირობების დასაკმაყოფილებლად (მაგ. თარგმნისა და კომუნიკაციის პირობების დამატება და გავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნის საზოგადოების მხრიდან მიღებული შენიშვნების მოპოვების, შეგროვებისა და პასუხის გაცემის პროცესის არსებითად უზრუნველყოფა).

24. იმის განსაზღვრისას, მართლაც ექნება თუ არა გავლენა ზეგავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნის საზოგადოებაზე, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც გარემოს დაცვის მიზნით მუშაობენ, ანდა დაინტერესდებიან თუ არა ისინი კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებზე კონკრეტული გადაწყვეტილებით (და, შესაბამისად, ჩაითვლებიან „დაინტერესებულ საზოგადოებად“ ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით), ზეგავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნის საზოგადოება უნდა განიხილებოდეს ისეთივე მნიშვნელობის მქონედ, როგორც ინიციატორი ქვეყნის საზოგადოება¹⁶. მსგავსად ამისა, გავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნის საზოგადოებას შესწორებების შეტანის პროცედურებზე იმავე საფუძვლით ისევე უნდა მიუწვდებოდეს ხელი¹⁷ ინიციატორ ქვეყანაში, როგორც ეს ინიციატორი ქვეყნის მოსახლეობის შემთხვევაში მოხდება¹⁸.

25. თუკი გავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნის ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო ან საზოგადოება მიიჩნევს, რომ საზოგადოებას აქვს კონვენციით გათვალისწინებული კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ინტერესი, მაგრამ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია ანდა გავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნის ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ უარი თქვას პროცედურებში მონაწილეობაზე, შესაძლოა, ინიციატორმა ქვეყანამ მაინც შექმნას მონაწილეობის შესაძლებლობები ისეთი მეთოდებით, რომ ეს გავლენის სფეროში მოქცეული ქვეყნის შიდა საქმეში ჩარევად არ განიხილებოდეს; მაგალითად, ამ დოკუმენტის 23-ე პარაგრაფის (i) – (iii) პუნქტებში ჩამოთვლილი მეთოდებით.

26. ესპოოს კონვენციის პრაქტიკული გამოყენების სახელმძღვანელო¹⁹ და ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობის სახელმძღვანელო²⁰, რომლებიც მომზადებულია ესპოოს

¹⁶ იხ. ესპოოს კონვენცია, მუხლი 2, პარაგრაფი 6.

¹⁷ იხ. ორჰუსის კონვენცია, მუხლი 9.

¹⁸ იხ. ორჰუსის კონვენცია, მუხლი 3, პარაგრაფი 6.

¹⁹ ECE/MP.EIA/8, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.unece.org/env/eia/guidance/welcome.html>

²⁰ ECE/MP.EIA/7, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unece.org/env/eia/pubs/pp_in_teia.html

კონვენციის ფარგლებში, და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციების დოკუმენტი²¹, რომელიც მომზადებულია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროტოკოლის ფარგლებში, შესაძლოა ეფექტიანი სახელმძღვანელო ინსტრუმენტები იყოს, როდესაც გავლენის სფეროში მოქმედი ქვეყნის საზოგადოებისათვის სიტუაცია მზადდება, რათა მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებებში, რომლებსაც ტრანსსასაზღვრო ზეგავლენა აქვს და, შესაბამისად, გზმ-ის ან სგმ-ის პროცედურების ფარგლებში ექვევა.

L. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებში საკითხების დელეგირება

27. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები, ზოგადად, უნდა განახორციელოს ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებიც კომპეტენტურები არიან კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში, ზოგიერთ სიტუაციაში ამ მიდგომამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა, მაგალითად:

- a. როდესაც ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო წარმოადგენს ცენტრალურ ორგანოს, რომელიც დაგეგმილი აქტივობისაგან ფიზიკურად დაშორებულია და ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოების ეფექტიან მონაწილეობას, მაგალითად, რელევანტური დოკუმენტების შემოწმების ან/და მოსმენებზე დასწრების თვალსაზრისით;
- b. როდესაც ხელისუფლების ორგანო დაინტერესებულია გადაწყვეტილების შედეგებით, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის თავად ან თავის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციის სახით არის წარმოდგენილი როგორც პროექტის ინიციატორი ან მის განვითარებაზე პასუხისმგებელი. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების ორგანო თავად არის პროექტის ინიციატორი ან მის განვითარებაზე პასუხისმგებელი, საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის დელეგირება უნდა მოახდინოს სხვა, მიუკერძოებელ ორგანოზე ანდა წარმოადგინოს დამაჯერებელი არგუმენტი, თუ რატომ ვერ უზრუნველყოფს ამას;
- c. როდესაც შემოთავაზებული აქტივობა იმდენად სადავო ან/და პრობლემურია, რომ საჭიროა დამატებითი ძალისხმევა სათანადო ინფორმაციული საფუძვლის და მიუკერძოებელი, ინკლუზიური ფორუმის შესაქმნელად; ასეთ დროს, უმჯობესია, რომ მოხდეს „მესამე მხარის“ ჩართვა, რომელსაც აქვს ასეთი პროცედურების ჩატარების დიდი გამოცდილება (იხ. პარაგრაფი 32 ქვემოთ).

28. 27-ე პარაგრაფში აღწერილ სიტუაციებში, თუკი საკანონმდებლო ჩარჩო საზოგადოების ჩართულობის პროცედურებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხების დელეგირებას ახდენს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების გარდა სხვა ადამიანებზე ანდა ორგანოებზე, გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების უზრუნველყოფაზე საბოლოო პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს, კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.

29. თუკი საკანონმდებლო ჩარჩო ახდენს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხების დელეგირებას, მან მკაფიოდ უნდა დააზუსტოს:

- a. სხვადასხვა ორგანოს შორის საკითხების განაწილება;
- b. თითოეული ორგანოს ვალდებულება, რომლებზეც მოხდა საკითხების შესრულების დელეგირება, რომ ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს წარუდგინონ ანგარიში საკითხების შესრულებასთან დაკავშირებით.

30. პროექტის ინიციატორებმა კონსულტანტებიც რომ დაიქირაონ, რომელთაც ექსპერტიზა აქვთ საზოგადოების მონაწილეობის საკითხში, ვერც ინიციატორები და ვერც მათი დაქირავებული კონსულტანტები ვერ უზრუნველყოფენ მიუკერძოებლობის იმ ხარისხს, რომელიც შექმნის აუცილებელ გარანტიას კონვენციით გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების სათანადო წარმართვისათვის²². ამიტომაც, საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზებაზე სრული პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ ინიციატორებზე, მათ შორის, რელევანტური ინფორმაციის საზოგადოებამდე მიტანასა და შენიშვნების თავმოყრაზე, ვერ იქნება კონვენციასთან თავსებადი. თუმცა, ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ეს მიდგომა სრულად გამორიცხავდეს საზოგადოების

²¹ ECE/MP.EIA/SEA/2014/2, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unece.org/env/eia/meetings/mop_6.html

²² იხ. კონვენციის მხარეების შეხვედრის მეოთხე სესიაზე აღსრულების კომიტეტის ანგარიში (ECE/MP.PP/2011/11), პარაგრაფი 84.

მონაწილეობის პროცედურების ორგანიზებაში ინიციატორთა ჩართულობას, რომელთაც ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო ზედამხედველობს. მაგალითად, ინიციატორებს შესაძლოა მოეთხოვებოდეთ:

- a. ხალხის ინფორმირება საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებთან დაკავშირებით²³ ან, სულ მცირე, ინფორმაციის გავრცელების ხარჯების დაფარვა (მაგ. გაზეთით, ან რადიოსა თუ ტელევიზიის მეშვეობით);
- b. საჯარო განხილვების ორგანიზებაში დახმარება;
- c. სპეციალური მოსაკრებლის გადახდა საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად²⁴;
- d. საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება შემოთავაზებული აქტივობის შესახებ და საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების თაობაზე მოქალაქეების კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგალითად, საჯარო განხილვებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

31. ზომები, რომლებიც პროექტის განვითარებაზე ზედამხედველებისაგან მოითხოვს ანდა ხელს უწყობს მათ, რომ დისკუსიაში შევიდნენ საზოგადოებასთან პროექტის განხორციელების ნებართვის მოთხოვნამდე, გათვალისწინებულია კონვენციის ფარგლებში²⁵ იმ პირობით, რომ აღნიშნული ზომები წარმოადგენს საზოგადოების მონაწილეობის სავალდებულო პროცედურების დამატებას, რომლებიც, თავის მხრივ, აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს, მას შემდეგ, რაც ნებართვაზე მოთხოვნა გაკეთებულია.

32. თუკი საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების დელეგირებას, გარდა ამ დოკუმენტის 30-ე პარაგრაფის (a) – (d) პუნქტებში ნახსენები ფუნქციებისა, მან უნდა უზრუნველყოს, რომ ინდივიდები თუ ორგანოები, რომლებზეც ხდება ფუნქციების დელეგირება, არიან მიუკერძოებლები და არ წარმოადგენენ გადაწყვეტილებით დაინტერესებულ რომელიმე მხარეს. თუკი მართლაც მიუკერძოებლები არიან, ასეთი ორგანოები შეიძლება იყოს:

- a. ხელისუფლების სხვა ორგანოები; მაგალითად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ შესაძლოა ასეთი საკითხების დელეგირება მოახდინოს ადგილობრივ ხელისუფლებაზე იქ, სადაც შემოთავაზებული აქტივობაა დაგეგმილი.
- b. როგორც საჯარო, ისე კერძო ინდივიდები ანდა ორგანოები, რომლებსაც სპეციალური ექსპერტიზა აქვთ საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზებაში, მაგალითად, არიან დაგეგმვის ინსპექტორები ან საზოგადოებრივ საქმეთა კომისიები, პროფესიონალი ფასილიტატორები ანდა მედიაციის სპეციალისტები.

33. საკითხთა მიმოხილვისათვის, რომელთა დელეგირებაც შეიძლება მოხდეს ხელისუფლების სხვა ორგანოზე, საზოგადოების მონაწილეობაში სპეციალიზებულ დამოუკიდებელ დაწესებულებაზე ანდა პროექტის განვითარების ზედამხედველზე, იხ. დანართი.

34. ალტერნატივის სახით, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების ცალკეული საკითხები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ექცევა, შესაძლოა დელეგირებულ იქნეს ან დაევალოს დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებს (მათ შორის, გარემოს დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს) იმ პირობით, რომ:

- a. საზოგადოების აღნიშნული წევრები ფართოდ არიან მიღებული, როგორც საზოგადოების ინტერესისათვის მომუშავეები და შეუძლიათ, რომ მათზე დელეგირებული საკითხები შეასრულონ სამართლიანად და არადისკრიმინაციულად და სათანადოდ იზრუნონ გენდერთან, ეთნიკურ წარმომავლობასთან, რელიგიასთან, ასაკთან, შეზღუდულ შესაძლებლობასთან, სიღარიბესთან და ა.შ. დაკავშირებულ საკითხებზე და გაითვალისწინონ დაინტერესებული საზოგადოების შეხედულებების მრავალფეროვნება;
- b. საზოგადოების ეს წარმომადგენლები მოხალისეობრივ საფუძვლებზე თანხმდებიან, განახორციელონ მათზე დელეგირებისათვის შემოთავაზებული საკითხები. ეს არ გამოირიცხავს შესაძლებლობას, რომ ამ ადამიანებმა მიიღონ გასამრჯელო აღნიშნულ საკითხებზე მუშაობისათვის;
- c. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები განხორციელდება ისე, რომ სრულად იქნება კონვენციის მოთხოვნებთან თანხვედრაში და დაინტერესებულ საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება, შესწორებები

²³ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6, პარაგრაფი 2.

²⁴ იხ. აღსრულების კომიტეტის ანგარიში კონვენციის მხარეთა შეხვედრის მეოთხე სესიასთან დაკავშირებით, პარაგრაფი 85.

²⁵ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6, პარაგრაფი 5.

შეიტანოს პროცედურებში, თუკი ეჭვს შეიტანს აღნიშნული ადამიანების გადაწყვეტილებების, მოქმედებების და შეცდომების შინაარსობრივ თუ პროცედურულ კანონიერებაში²⁶;

d. დელეგირებისათვის შემოთავაზებული საკითხების საზოგადოების წევრების მხრიდან მოხალისეობრივ საფუძველზე განხორციელების სურვილის არარსებობა ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს არ ათავისუფლებს მოვალეობისაგან, უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები.

35. დაინტერესებული საზოგადოების წევრებზე შესაძლოა მოხდეს შემდეგი საკითხების დელეგირება:

- a. საზოგადოების ინფორმირება²⁷;
- b. სრული რელევანტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორც კი შესაძლებელია²⁸;
- c. საჯარო მოსმენების ორგანიზება²⁹;
- d. შენიშვნების შეროვება და შეჯერება³⁰.

36. საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც საზოგადოებას უფლებას აძლევს, ორგანიზება გაუკეთონ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებს (მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის რეგიონისა და ცენტრალური აზიის ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებლობა, რომ საზოგადოებამ განახორციელოს ე.წ. საზოგადოებრივი ექსპერტიზა), განხილული უნდა იყოს როგორც დამატებითი ზომა კონვენციის მოთხოვნების შესასრულებლად და არა როგორც ერთადერთი ზომა³¹.

M. პრაქტიკული ნაბიჯები საზოგადოების მონაწილეობის მხარდასაჭერად

37. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის მხარდასაჭერად. მაგალითად:

- a. გადაწყვეტილების მისაღებად რელევანტურ ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომის ხელშეწყობად შესაძლებელია ზომების გატარება (მაგ. ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომის უზრუნველყოფა რაც შეიძლება იაფად, მაგალითად, მოთხოვნილი დოკუმენტების ელექტრონული ასლების უფასოდ განთავსება და ინფორმაციაზე წვდომის ვადების გახანგრძლივება);
- b. საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ან/და საჯარო დაწესებულებებს (მაგ. სკოლები და საჯარო ბიბლიოთეკები) შესაძლოა ეთხოვოთ რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევა, სათანადო კომპენსაციის პირობით, რათა მათ განახორციელონ საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული ცალკეული ფუნქციები (მაგ. დოკუმენტაციის წარდგენა შემოწმებისათვის; საჯარო მოსმენების ორგანიზება ან ფიზიკური სივრცის გამოყოფა);
- c. შესაძლოა შეიქმნას ფინანსური ან სხვა სახის დახმარების სქემები საზოგადოების მონაწილეობის მხარდასაჭერად (მაგ. მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება ან საჯარო მოსმენებისა თუ გამოკითხვებისთვის საზოგადოების მომზადება და დასწრების ხელშეწყობა, ანდა ტექნიკური თუ იურიდიული დახმარება საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის მხარდასაჭერად, მათ შორის, იურიდიული კონსულტაციის თუ ტექნიკური დამხმარე ექსპერტების უზრუნველყოფის სახით).

N. საზოგადოების მონაწილეობის პრაქტიკის შეფასება, სწავლება და კვლევა

38. საზოგადოების ჩართულობის მცდელობების, მათ შორის, გამოყენებული ტექნიკებისა და ფორმატების რეგულარულ, კარგად გააზრებულ შეფასებას და შემდგომში აღნიშნული შეფასებების კვლევას შეუძლია, დიდი წვლილი შეიტანოს მომავალში საზოგადოების მონაწილეობის უფრო ეფექტიანი პროცედურების უზრუნველყოფაში.

²⁶ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 9, პარაგრაფი 2.

²⁷ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6, პარაგრაფი 2.

²⁸ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6, პარაგრაფი 6.

²⁹ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6, პარაგრაფი 7.

³⁰ იქვე.

³¹ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/37 კომუნიკაცთან დაკავშირებით, ბელარუსის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2011/11/Add.2), პარაგრაფი 76.

39. ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებიც გეგმავენ და ახორციელებენ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებს, შესაძლებლობის ფარგლებში და სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ სოციალურ მეცნიერებებში არსებული კვლევები და პრაქტიკული გამოცდილება თავიანთი პრაქტიკის გასამდიდრებლად და საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით ცოდნის შესაქმნელად³². საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების შესახებ შეფასებების დამოუკიდებელი სქემების შესაქმნელად და განსახორციელებლად მისაღებია უნივერსიტეტის მკვლევრების ჩართვაც.

საზოგადოების მონაწილეობა კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში (მუხლი 6)

A. მუხლი 6, პარაგრაფი 1-ის (a) ქვეპუნქტის გამოყენება

40. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ არის მითითებული, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის (ა) ქვეპუნქტის გამოყენებისას, რეკომენდებულია, რომ:

- a. როდესაც ერთი და იგივე ოპერატორი ახორციელებს რამდენიმე აქტივობას, რომლებიც დანართი 1-ის ერთსა და იმავე ქვეთავში ხვდება, ერთსა და იმავე გარემოებაში ან ობიექტზე, უნდა მოხდეს აღნიშნული აქტივობების წარმოების მოცულობისა და გამომუშავების გაერთიანება³³;
- b. დანართი 1-ში გაკეთებული მითითებები ზღვრულ მნიშვნელობაზე „დღეში“ გაგებული უნდა იყოს როგორც 24-საათიანი პერიოდი, რომელიც იწყება და სრულდება შუაღამეს;
- c. დანართი 1-ში მითითებული მოცულობა და გამომუშავება გაგებული უნდა იყოს როგორც ტექნიკურად შესაძლებელი მოცულობა და გამომუშავება და არა როგორც ოპერატორების მიერ წარმოდგენილი მოცულობა და გამომუშავება³⁴;
- d. დანართი 1-ის მე-20 პარაგრაფი გაგებული უნდა იყოს ისე, რომ მოიცვას გზშ-ის პროცედურით გათვალისწინებული ნებისმიერი აქტივობა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობას ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში საერთაშორისო კანონმდებლობის (მაგ. ესპოს კონვენციის დანართი 1-ში შესული აქტივობები), სუპრანაციონალური კანონმდებლობის (პროექტები, რომლებიც შესულია დანართი 1-სა და დანართი 2-ში მოხვედრილი ის პროექტები, რომლებიც დანართში ევროკავშირის გზშ-ის დირექტივის მიზნობრივი შერჩევით მოხვდა)³⁵ ანდა დამოუკიდებელი ეროვნული გადაწყვეტილების გამო.
- e. თუკი შიდა კანონმდებლობა მოითხოვს პროცედურების განხორციელებას, რომელიც მოიცავს გზშ-ის პროცედურის ყველა საბაზისო ელემენტს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ასე სახელდება ღიად არ ხდება, დე ფაქტო გზშ-ის პროცესები უნდა იქნეს განხილული დანართი 1-ის მე-20 პარაგრაფით გათვალისწინებულ გზშ-ის პროცედურად³⁶.
- f. კონვენციის დანართი 1-ში ჩამოთვლილი აქტივობები, რომლებისთვისაც ზღვრები დაწესებული არ არის (მაგ. ატომური ელექტროსადგურები, ქიმიური დანადგარები, ნარჩენების წვის დანადგარები ან მავნე ნარჩენების სამარხები და ა.შ.), უნდა მოექცეს მუხლი 6, პარაგრაფი 1-ის (a) ქვეპუნქტის ფარგლებში, მიუხედავად მათი პარამეტრებისა³⁷;

³² იხ. <http://aarhusclearinghouse.unece.org/>

³³ გარემოს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის (IPPC) დირექტივის ინტერპრეტაციისა და იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, ხელმისაწვდომია ევროპული კომისიის ვებგვერდზე: http://ec.europa.eu/environment/industry/stationary/ippc/general_guidance.htm

³⁴ იქვე.

³⁵ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა 2011/92/EU ცალკეული საზოგადოებრივი და კერძო პროექტების გარემოზე ზეგავლენის შეფასების შესახებ (კოდიფიცირებული ვერსია).

³⁶ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2008/35 კომუნიკეში, საქართველოს მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2010/4/Add.1), პარაგრაფი 46.

³⁷ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/41 კომუნიკეში, სლოვაკეთის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2011/11/Add.3), პარაგრაფი 58.

გ. კონვენციის დანართი 1-ში ჩამოთვლილი აქტივობების შესაცვლელად, რომლებსაც ზღვრები დაწესებული არ არის, ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, ატომურ ელექტროსადგურებში ახალი რეაქტორების მოწყობისას, შესაძლოა ხელსაყრელი იყოს, რომ ცვლილება ანდა აქტივობის გახანგრძლივება ასევე მოქცეს მუხლი 6, პარაგრაფი 1-ის (ა) ქვეპუნქტის მოთხოვნების ფარგლებში, მიუხედავად მათი პარამეტრებისა³⁸.

კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება

41. როდესაც ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩო მოითხოვს მუხლი 6, პარაგრაფი 1-ით გათვალისწინებულ აქტივობებზე გადაწყვეტილებების მიღებას რამდენიმე ნებართვის გაცემაზე (რასაც ხშირად „კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღებას“ უწოდებენ ხოლმე), ეროვნულ დონეზე უნდა იქნას შემოღებული კრიტერიუმები, რათა განისაზღვროს, ნებართვის მიმცემი გადაწყვეტილებებიდან რომელი ექვევა კონვენციით გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობის ფარგლებში³⁹. ამ მიზნით, როდესაც კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღებისას განისაზღვრება, მრავალი გადაწყვეტილებიდან რომელი უნდა მოქცეს კონვენციით ნაგულისხმევი საზოგადოების მონაწილეობის ფარგლებში, საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის საჭიროებისა და მონაწილეობისაგან გადღლის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მხედველობაში ვიქონიოთ შემდეგი კრიტერიუმები:

- a. გაცემს თუ არა „ნებართვას“ დაგეგმილ აქტივობასთან დაკავშირებით (ანუ ახდენს თუ არა მის ეფექტიან ავტორიზებას) გადაწყვეტილება, რომელიც უნდა მიიღონ?⁴⁰
- b. ახდენს თუ არა მნიშვნელოვან ზეგავლენას გარემოზე შემოთავაზებული აქტივობის პარამეტრები, რომლებიც გადაწყვეტილებით არის დადგენილი?
- c. გამოიწვევს თუ არა ვარიანტების განხილვას შემდგომ ეტაპებზე შემოთავაზებული აქტივობის პარამეტრები, რომლებიც გადაწყვეტილებით არის დადგენილი?
- d. შეცვლის თუ არა მიღებული გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვან პარამეტრებს, რომლებიც დადგენილია წინამორბედი გადაწყვეტილებებით, რომლებიც მოითხოვდა საზოგადოების მონაწილეობას?⁴¹
- e. შემოთავაზებული აქტივობა, თავისი ხასიათით, მასშტაბითა და ადგილმდებარეობით, იმოქმედებს ან დაინტერესებს თუ არა არსებითად ბევრ ადამიანს?
- f. მოითხოვს თუ არა შემოთავაზებული აქტივობა საჯარო ფონდებიდან დიდი ოდენობით თანხის გამოყოფას (საშუალო და დიდი ზომის ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის)?
- g. აღნიშნული აქტივობის, გეგმის, პროგრამის, პოლიტიკისა და საკანონმდებლო ინსტრუმენტის იმპლემენტაცია მოითხოვს თუ არა გადაწყვეტილების მიღებას იმათთან თანამშრომლობით, ვისზეც იგი იმოქმედებს და ვინც მისით დაინტერესებულია?
- h. საჭირო იქნება თუ არა გადაწყვეტილების განსაკუთრებულად ფართო გაცნობიერება და მიღება საიმისოდ, რომ იგი ეფექტიანი იყოს?

42. მიუხედავად გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ერთი ან ერთზე მეტი ნებართვის გაცემის გადაწყვეტილებაში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურ(ებ)ის არსებობისა, თუკი მაინც არსებობს დაგეგმილ გარემოსდაცვით აქტივობასთან დაკავშირებით ნებართვების გაცემის სხვა გადაწყვეტილებები, სადაც გათვალისწინებული არ არის საზოგადოების სრულმასშტაბიანი მონაწილეობა, თუმცა შეუძლია საბაზისო პარამეტრების მნიშვნელოვანწილად შეცვლა, ანდა ეხება დაგეგმილი აქტივობის მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ასპექტებს, რომლებიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების შესახებ ნებართვის გაცემის გადაწყვეტილებებს აქამდე არ მოუცავს, აღნიშნული გადაწყვეტილებები ასევე უნდა დაექვემდებაროს საზოგადოების სათანადო მონაწილეობის პროცედურებს⁴².

³⁸ იქვე.

³⁹ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/17 კომუნიკეში, ევროპული საზოგადოების შესახებ (ECE/MP.PP/2008/5/Add.10), პარაგრაფი 43.

⁴⁰ აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/17 კომუნიკეში, ევროპული საზოგადოების შესახებ (ECE/MP.PP/2008/5/Add.10), პარაგრაფი 42.

⁴¹ იქვე, პარაგრაფი 43.

⁴² აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/17 კომუნიკეში, ევროპული საზოგადოების შესახებ (ECE/MP.PP/2008/5/Add.10), პარაგრაფი 43.

მუხლი 6, პარაგრაფი 1-ის (b) ქვეპუნქტის გამოყენება

43. კონვენციის მუხლი 6, პარაგრაფი 1-ის (b) ქვეპუნქტის თანახმად, საჭიროა მექანიზმების შემუშავება ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, რათა გაირკვეს, შეიძლება თუ არა, რომ შემოთავაზებულ აქტივობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას, რომელიც დანართი №1-ში არ შედის, მაინც ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა გარემოზე და, ამდენად, საჭიროებდეს საზოგადოების მონაწილეობას მუხლი 6-ის მოთხოვნების შესაბამისად. ამგვარი გადაწყვეტილების მექანიზმი შესაძლოა დაკავშირებული იყოს გზმ-ის სისტემასთან ანდა დამოუკიდებლად არსებობდეს, ან წარმოადგენდეს ამ ორივე მიდგომის ნაზავს.

44. იმის მიუხედავად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება დაკავშირებული იქნება თუ არა გზმ-ის პროცედურებთან, რეკომენდებულია, რომ პირველი ნაბიჯი იყოს ყველა იმ აქტივობის იდენტიფიცირება, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს გარემოზე. ეს გულისხმობს:

a. ნებისმიერ აქტივობას, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით მოითხოვს გარემოსდაცვით ნებართვას ანდა ლიცენზიას (როგორცაა ხმაურის ნებართვა, გამონახობის ნებართვა, ხე-ტყის ჭრის ნებართვა, ცხოველთა გამორჩევის და შეწუხების ნებართვა, წყლისგან გამოთავისუფლების ან წყლის დაგუბების ნებართვა, ჰიდრაულიკური მოტეხილობის (fracking) ნებართვა, სამთო მრეწველობის ნებართვა, საძიებო ბურღვითი სამუშაოების ნებართვა, თევზაობის ნებართვა, გადაშენების პირას მყოფი ჯიშების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა და ა.შ.).

b. ნებისმიერ სხვა აქტივობას, რომელიც ადგილობრივი კანონმდებლობით ინდივიდუალური წინასწარი შეფასების (სკრინინგის) ფარგლებში ექვევა, მაგალითად:

I. იმ აქტივობების ცვლილება ან გახანგრძლივება, რომლებიც კონვენციის დანართი 1-ის პარაგრაფი 22-ის მეორე წინადადების ფარგლებში ექვევა;

II. გარემოსდაცვითი შეფასებისთვის ინდივიდუალური წინასწარი შეფასების (სკრინინგის) ფარგლებში მოხვედრილი აქტივობები (მაგალითად, გზმ-ის დირექტივის დანართ 2-ში შესული აქტივობები) ან ბუნების დაცვის შეფასებები (მაგალითად, ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის მუხლი 6, პარაგრაფი 3 და პარაგრაფი 12-ის ფარგლებში მოხვედრილი აქტივობები)⁴³.

45. მას შემდეგ, რაც მოხდება ყველა აქტივობის იდენტიფიცირება, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს გარემოზე, უნდა გადაწყდეს, ამ აქტივობათაგან რომელს შეიძლება ჰქონდეს „მნიშვნელოვანი ზეგავლენა“, რისთვისაც იგი მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობას მუხლი 6, პარაგრაფი 1-ის b ქვეპუნქტის თანახმად. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს შესაძლოა ჰქონდეს შემდეგი ფორმები:

a. მოთხოვნა, რომ ცალკეულ აქტივობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტიპის გადაწყვეტილებები დაექვემდებაროს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საზოგადოების მონაწილეობის დებულებებს („სიების“ მიდგომა, რომელიც გამოყენებულია კონვენციის დანართი 1-ში);

b. მოთხოვნა ხელისუფლების ორგანოებისგან, რომ ასეთი გადაწყვეტილება ცალკეული შემთხვევების შესწავლის შედეგად მიიღოს („შემთხვევების“ მიდგომა);

ზემოთ აღწერილი ორივე მიდგომის ნაზავი.

46. თუკი საკანონმდებლო ჩარჩო ხელისუფლების ორგანოებისგან მოითხოვს, რომ გადაწყვეტილება მუხლი 6, პარაგრაფი 1-ის b ქვეპუნქტის მიხედვით, შემთხვევების მიდგომით, უნდა ჩამოყალიბდეს ცხადი კრიტერიუმების სია, რომლებთან შეპირისპირებაშიც მოხდება შემოთავაზებული აქტივობის გარემოსდაცვითი მნიშვნელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება (მაგალითად, ესპოს კონვენციის დანართი 3-ში არსებული კრიტერიუმების სია ან ევროკავშირის გზმ-ის დირექტივის დანართი 3).

47. საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებულ საზოგადოებას უნდა შეეძლოს, რომ კონვენციის ფარგლებში ასეთ გადაწყვეტილებას გადახედოს, განსაკუთრებით კი, შეამოწმოს, რამდენად სათანადოდ დაკმაყოფილდა მოცემულ შემთხვევაში, მიზნებიდან გამომდინარე დაწესებული კრიტერიუმები⁴⁴.

⁴³ საბჭოს 1992 წლის 21 მაისის დირექტივა 92/43/EEC გარეული ფლორისა და ფაუნის ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციის შესახებ.

⁴⁴ იხ. შეფასებები აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის ACCC/C/2010/50 კომუნიკსთან დაკავშირებით ჩეხეთის რესპუბლიკის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2012/11), პარაგრაფი 82. ასევე იხილეთ კონვენციის მუხლი 9, პარაგრაფი 2.

C. მუხლი 6, პარაგრაფი 1-ის (c) ქვეპუნქტის გამოყენება

48. კონვენციის მუხლი 6, პარაგრაფი 1-ის (c) ქვეპუნქტი არ არის სავალდებულო დებულება. ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებსაც სურთ აღნიშნული დებულების გამოყენება, უნდა გაითვალისწინონ, რომ იგი მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას, რომ შემოთავაზებული აქტივობა:

- a. პასუხობს ეროვნული უსაფრთხოების მიზნებს; და ამასთან,
- b. მე-6 მუხლით გათვალისწინებული დებულებების გამოყენებას შესაძლოა არასასურველი გავლენა ჰქონდეს ზემოაღნიშნულ მიზნებზე.

49. ამგვარი გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იყოს ცხადი, გამჭვირვალე და თანმიმდევრული ჩარჩოს ფარგლებში, შემდეგი საკითხებიდან ერთ-ერთის ჩამოყალიბებითა და გამოყენებით:

- a. აქტივობებისა და კრიტერიუმების სია, რომლებიც შესაძლოა განხილული იყოს, როგორც ზემოთ ნახსენები მოთხოვნების შესრულებისათვის საკმარისი, თუკი ხელისუფლების ორგანოები გადაწყვეტენ, რომ ცალკეულ შემთხვევებში მათი დაკმაყოფილება ხდება;
- b. ზემოჩამოთვლილი მოთხოვნების შესრულების შესახებ ცალკეული შემთხვევების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებების მექანიზმები, კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

50. ამათგან რომელი მიდგომაც არ უნდა იქნეს გამოყენებული, მუხლი 6, პარაგრაფი 1-ის (c) ქვეპუნქტიდან გათავისუფლების საფუძველი გაგებული უნდა იყოს შემზღვევლად, გარემოზე ზეგავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების ეფექტიან მონაწილეობაში საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით. შემოთავაზებული აქტივობა ქეშმარიტად უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული უსაფრთხოების მიზნებს და მისგან გადახვევა არ უნდა იქნეს გამოყენებული უბრალოდ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებისაგან თავის ასარიდებლად.

51. გადაწყვეტილების გადახედვა შესაძლებელი უნდა იყოს კონვენციის ფარგლებში დაინტერესებული საზოგადოების მოთხოვნის შემთხვევაში⁴⁵, განსაკუთრებით, თუკი საჭიროა იმის გადამოწმება, რამდენად დამაკმაყოფილებლად სრულდება კონკრეტულ შემთხვევაში მიზნებიდან გამომდინარე დაწესებული კრიტერიუმები გადაწყვეტილების პრაქტიკული გამოყენებისას.

D. ადეკვატური, დროული და ეფექტიანი შეტყობინება (მუხლი 6 პარაგრაფი 2)

52. საკანონმდებლო ჩარჩომ ცხადად უნდა მოითხოვოს, რომ დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება მოხდეს ადეკვატურად, დროულად და ეფექტიანად⁴⁶, რათა ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდეთ ცხადი მითითებები შეტყობინების ვადებთან, შინაარსსა და ხარისხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, თუკი მათ აქვთ გარკვეული ხარისხის დისკრეცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდება საზოგადოების ინფორმირება.

ადეკვატური შეტყობინება

53. საზოგადოებისთვის განკუთვნილმა შეტყობინებამ ადეკვატურად უნდა უპასუხოს მუხლი 6, პარაგრაფი 2-ის (a)-(e) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ საკითხებს, საკმარისი სიზუსტითა და გასაგები ენით. კერძოდ:

- a. მუხლი 6, პარაგრაფი 2-ის (d) ქვეპუნქტის (ii) ნაწილთან დაკავშირებით:
 - i. შეტყობინებაში ცხადად უნდა იყოს აღწერილი საზოგადოების მონაწილეობის ყველანაირი შესაძლებლობა და ვადები აღნიშნულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
 - ii. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, უნდა მომზადდეს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების მიმოხილვა და თან უნდა დაერთოს მონაწილეობისათვის საზოგადოების მოწვევას. რეკომენდებულია, რომ მიმოხილვა:

⁴⁵ იხ. ორჰუსის კონვენციის მუხლი 9, პარაგრაფი 2.

⁴⁶ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/16 კომუნიკსთან დაკავშირებით ლიეტუვის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2008/5/Add.6), პარაგრაფი 91 (a) (i).

- a. შეიცავდეს ინფორმაციას საზოგადოების მხრიდან შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობებისა და მათი წარდგენის მეთოდ(ებ)ის შესახებ (ზეპირად თუ წერილობით, ელექტრონულად და ა.შ.);
 - b. შეიცავდეს გადაწყვეტილების მისაღებად რელევანტური ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის მოკლე მიმოხილვას (მაგ. გზშ-ის დოკუმენტების);
 - c. კოორდინირებული უნდა იყოს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებში ჩართულ ხელისუფლების ყველა ორგანოსთან, რათა აუცილებლად გათვალისწინებული იყოს სხვა ორგანოების კომპეტენციაში შესული ასპექტებიც;
 - d. მიუთითებდეს, მოხდება თუ არა მონაწილეთა ავტომატური ინფორმირება, როდესაც გადაწყვეტილება მიღებული იქნება და როგორ შეუძლიათ მათ აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა. თუკი ავტომატური ინფორმირება არ არის გათვალისწინებული, უნდა არსებობდეს მითითებები, თუ როგორ დარეგისტრირდნენ საზოგადოების წარმომადგენლები ამგვარი შეტყობინების მისაღებად, ხოლო ინფორმაცია ამ შესაძლებლობის არსებობის შესახებ მიწოდებული უნდა იყოს თავდაპირველ შეტყობინებაში;
- b. მუხლი 6, პარაგრაფი 2-ის (d) ქვეპუნქტის (iv) ნაწილთან დაკავშირებით, გარდა იმ ორგანოს თუ ადამიან(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაციისა, ვისგანაც რელევანტური ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი, მიწოდებული უნდა იყოს ზუსტი ინფორმაცია თუ სად და როდის არის შესაძლებელი აღნიშნული რელევანტური ინფორმაციის მოძიება;
- c. მუხლი 6, პარაგრაფი 2-ის (d) ქვეპუნქტის (v) ნაწილთან დაკავშირებით, უნდა დაზუსტდეს შემდეგი საკითხები:
- i. იმ ორგანოსა თუ ადამიან(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაცია, ვისთანაც შესაძლოა შენიშვნებისა თუ შეკითხვების გაგზავნა;
 - ii. შენიშვნებისა და შეკითხვების გადაგზავნის გრაფიკი, იმის გათვალისწინებით, რომ გრაფიკმა, მუხლი 6 პარაგრაფი 3-ის თანახმად, უნდა უზრუნველყოს გონივრული ვადები, მათ შორის, უნდა გაითვალისწინოს, რომ შეტყობინებების გადაცემის ხერხებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს შეტყობინების დაინტერესებულ საზოგადოებამდე ეფექტიანი მიღწევის დროზე (მაგალითად, მთავრობის ოფიციალურ შეტყობინებათა ბაზაში ინფორმაციის გამოქვეყნება, მიუხედავად იმისა, რომ იგი საჯაროდ ხელმისაწვდომია, ვერ ჩაითვლება ეფექტიან შეტყობინებად საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის, რომლებიც ბაზებს ყოველდღიურად არ ამოწმებენ);
- d. მუხლი 6, პარაგრაფი 2-ის (d) ქვეპუნქტის (vi) ნაწილთან დაკავშირებით, შეტყობინება უნდა უთითებდეს, კონკრეტულად რა ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი მუხლი 6, პარაგრაფი 6-ის თანახმად. აგრეთვე, ცხადად უნდა იყოს მითითებული, რომ ინფორმაცია შესასწავლად ხელმისაწვდომი იქნება ყოველგვარი საფასურის გარეშე. მართალია, შეტყობინებაში დეტალურად ვერ იქნება ასახული სრული ინფორმაცია, თუმცა, იგი, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს შემოთავაზებული აქტივობის ნებართვის აპლიკაციას და აპლიკაციისთვის საჭირო მთავარ დოკუმენტებს, მათ შორის, გზშ-ის დოკუმენტაციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და მოკლედ უნდა აღწერდეს სხვა ტიპის ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი მოგვიანებით გახდება;
- e. მუხლი 6, პარაგრაფი 2-ის (e) ქვეპუნქტთან დაკავშირებით, იმ აქტივობების საუკეთესო პრაქტიკა, რომლებიც მეექვსე მუხლში ექვევა და სხვა ეროვნულ თუ ტრანსნაციონალურ გზშ-ის პროცედურებში არ ხვდება, შესაძლოა ითვალისწინებდეს დაინტერესებული საზოგადოების დროულ და ეფექტიან ინფორმირებას:
- i. თუ საკანონმდებლო ჩარჩო იძლევა საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას გადაწყვეტილების წინასწარ შეფასებაში (სკრინინგში), რომ მას შეუძლია ისარგებლოს ამ ტიპის მონაწილეობის ასეთი შესაძლებლობით;
 - ii. თუ საკანონმდებლო ჩარჩო არ ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების წინასწარ შეფასებაში (სკრინინგში), გზშ-ის წინასწარი შეფასების შედეგებზე;
 - iii. თუკი აქტივობას ამგვარი წინასწარი შეფასება არ გაუვლია, აქტივობის შესაფერისი სხვა პროცედურების შინაარსსა და შედეგებზე.

54. რელევანტური შეტყობინებების იდენტიფიცირებაში დაინტერესებული საზოგადოების დასახმარებლად, რეკომენდებულია, ნებისმიერი წერილობითი შეტყობინების სათაურში პირდაპირ იყოს მითითებული

შემოთავაზებული აქტივობა, შემოთავაზებული გადაწყვეტილების ხასიათი და შემოთავაზებული გეოგრაფიული ადგილები. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, გადაწყვეტილების მიმღებისა და პროექტის განვითარებაზე პასუხისმგებლის საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს შესამჩნევ ადგილას, სხვა დეტალებზე მაღლა.

55. ზოგადად, ხელისუფლების ორგანოები უნდა შეეცადონ, შექმნან გარანტიები, რომ ოფიციალურ პირებს ჰქონდეთ ცოდნა და შესაძლებლობები საიმისოდ, რომ უზრუნველყონ დაინტერესებული საზოგადოებისათვის შეტყობინების ადეკვატური, დროული და ეფექტიანი მიწოდება⁴⁷.

56. თუკი საკანონმდებლო ჩარჩო შეტყობინების საკითხის დელეგირებას ახდენს მესამე მხარეზე, მაგალითად, შემოთავაზებული აქტივობის განვითარების ზედამხედველზე, მან ასევე უნდა მოითხოვოს, რომ მესამე მხარე ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს დროულად ჩააბაროს ანგარიში, თუ ვის გაეგზავნა შეტყობინება, რის შესახებ, როდის და როგორ.

დროული შეტყობინება

57. საზოგადოების „დროული“ ინფორმირების მოთხოვნა დანახული უნდა იყოს „გონივრული ვადების“ უზრუნველყოფის ვალდებულების (მუხლი 6, პარაგრაფი 3) და „საზოგადოების ადრეული მონაწილეობის [კონტექსტში], როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი ღიაა განსახილველად და საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა ჯერ კიდევ შესაძლებელია“ (მუხლი 6, პარაგრაფი 4).

58. სხვადასხვა ტიპის წერილობითი შეტყობინებები დაინტერესებულ საზოგადოებას უნდა მიუვიდეს ერთსა და იმავე თარიღში. თუკი ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, საზოგადოების მონაწილეობის ვადების ათვლა უნდა დაიწყოს მას შემდეგ, რაც ბოლო წერილობითი შეტყობინება რეალურად მიაღწევს დაინტერესებულ საზოგადოებამდე.

ეფექტიანი შეტყობინება

59. ხელისუფლების ორგანოები უნდა შეეცადონ, რომ მოიძიონ საზოგადოების ინფორმირების გზები, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველას, ვინც სავარაუდოდ დაინტერესებულია, ექნება გონივრული მანსები, შეიტყოს შემოთავაზებული აქტივობისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ⁴⁸. ამიტომაც, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა წარმოადგენს „ეფექტიან შეტყობინებას“, მიღებული უნდა იყოს თითოეული შემთხვევის შესაბამისად, ყოველი ამ შემთხვევის სპეციფიკური სიტუაციის გათვალისწინებით.

60. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მიმდინარეობისას შეტყობინება და ყველა თანმდევი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის, რათა საზოგადოების წევრებს, რომლებიც მოგვიანებით შეიტყობენ აღნიშნული პროცესის შესახებ, კვლავაც ჰქონდეთ წვდომა ეფექტიანი მონაწილეობისათვის საჭირო ინფორმაციაზე. გარდა ამისა, იგი ხელმისაწვდომი უნდა დარჩეს საზოგადოებისათვის მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც საჭიროა ნებისმიერი სახის ადმინისტრაციული თუ იურიდიული განხილვისათვის, საბოლოო გადაწყვეტილების ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად და გადასაწყვეტად.

61. აუცილებელია სხვადასხვა ფორმატით მიწოდებული შეტყობინებების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა.

62. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ადეკვატური და ეფექტიანი ინფორმირება, როგორც საზოგადოების მონაწილეობის მიმდინარე პროცედურის დებულების ნაწილი, შესაძლებელი უნდა იყოს დამატებითი შეტყობინებების გაგზავნა და მათი გამოყენება, როდესაც ეს საჭიროა, მაგალითად:

- a. როდესაც არსებობს გარკვეული ეჭვები მთლიანად დაინტერესებული საზოგადოების ეფექტიანად ინფორმირების შესახებ (მაგალითად, თუკი მოგვიანებით გაირკვევა, რომ დაინტერესებული საზოგადოების ზოგიერთ წევრს შესაძლოა არ ჰქონდეს მიღებული თავდაპირველი შეტყობინება, მაგ. საფოსტო მომსახურების პრობლემის ანდა იმ მედიუმზე წვდომის არქონის გამო, რომლის მეშვეობითაც ხდება შეტყობინების გადაცემა, მაგ. არ აქვთ ინტერნეტზე წვდომა);

⁴⁷ იხ. ორჰუსის კონვენციის მუხლი 3, პარაგრაფი 2.

⁴⁸ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/16 კომუნიკაცთან დაკავშირებით, ლიეტუვის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2008/5/Add.6), პარაგრაფი 67.

b. როდესაც შემოთავაზებული აქტივობა შეიცავს ერთზე მეტ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობას მუხლი 6-ის ფარგლებში (იხ. 41-ე პარაგრაფი ზემოთ).

c. როდესაც ცნობილი ხდება ახალი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც პრაქტიკულად ცვლის გარემოებებს იმდენად, რომ შესაძლოა, საჭირო გახდეს საზოგადოებისთვის მონაწილეობის დამატებითი საჭიროებების შექმნა. ეს შეიძლება გულისხმობდეს პროცედურული ხასიათის მქონე, საჯარო განხილვების დროსა და ადგილთან დაკავშირებულ, მნიშვნელოვან, ახალ ინფორმაციას, მაგალითად, თუკი საზოგადოება ჯერ არ ყოფილა ინფორმირებული ამასთან დაკავშირებით;

d. როდესაც ჩნდება დამატებითი, შინაარსობრივი ან პროცედურული ხასიათის ინფორმაცია, რომლის მიწოდებაც პროცედურის დაწყების შესახებ თავდაპირველ შეტყობინებაში შეუძლებელი იყო და რომელიც მუხლი 6, პარაგრაფი 2-ის (d) ქვეპუნქტის თანახმად, მიწოდებული უნდა იყოს როგორც კი შესაძლებელია;

e. როდესაც საზოგადოების მონაწილეობის გათვალისწინებული პროცედურა იცვლება მატერიალური თვალსაზრისით (მაგ. პროცედურის ვადების ან საზოგადოების მხრიდან მონაწილეობის ხერხების ცვლილების შემთხვევაში).

საზოგადოების ინფორმირების მეთოდები

63. საზოგადოებისთვის შეტყობინების მიწოდების მეთოდების შემუშავებისას, გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

a. როდესაც მეთოდების შემუშავება ხდება, იგი უნდა მოერგოს დაინტერესებული საზოგადოების რაც შეიძლება მეტ წევრს, განსაკუთრებით, შემოთავაზებული აქტივობის ანდა მისი გარემოზე შემოქმედების უშუალო სიახლოვეში მყოფ წევრებს.

b. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, საზოგადოების შეტყობინების გეგმამ უნდა გაითვალისწინოს პროექტის მასშტაბი და კომპლექსურობა, კულტურული კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც პროექტი თუ აქტივობა ექვევა და რომელზეც შესაძლოა გავლენა მოახდინოს, და რაც შეიძლება მეტი მოწყვლადი ჯგუფი. პროექტების უმეტესობისთვის, გამოყენებული უნდა იყოს საზოგადოებისთვის შეტყობინების ფორმები, რომლებიც 64-ე პუნქტშია ჩამოთვლილი, მაგრამ უფრო კომპლექსური და რთული პროექტებისა და აქტივობებისთვის, დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა შესაძლოა კომპლექსური იყოს და იყენებდეს შეტყობინების ბევრ სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის, მოსახლეობასთან კარდაკარ ჩამოვლას, თუკი მათ არ აქვთ ტელეფონები და ელექტრონერგია. ამოსავალი წერტილი არის ის, რომ შეტყობინების გზები უნდა მოერგოს დაინტერესებულ საზოგადოებად იდენტიფიცირებული ადამიანების საჭიროებებს. ნებისმიერ შემთხვევაში, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ როგორ მოხდება მათი ინფორმირება;

c. ენასთან დაკავშირებული საკითხები სათანადოდ უნდა იყოს მოგვარებული, მაგალითად, თარჯიმნის უზრუნველყოფით, როდესაც დაინტერესებული საზოგადოება არ საუბრობს ენაზე, რომელიც დოკუმენტებშია გამოყენებული, ანდა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მხარდაჭერით, რათა მათ შეძლონ თავიანთ თემთან შეტყობინების საკუთარ ენაზე ან ფართოდ აღიარებულ რეგიონულ ლინგვა ფრანკაზე მიტანა (მაგ. ინგლისურ ენაზე ევროკავშირის რეგიონში, რუსულად აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის რეგიონისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის).

64. ინსტრუქციისათვის, საზოგადოებრივი შეტყობინება უნდა განთავსდეს:

a. საჯარო ადგილას, შემოთავაზებული აქტივობის უშუალო სიახლოვეში (მაგ. თვალმისაცემ დობზე ანდა შემოთავაზებული აქტივობის ადგილას არსებულ საჩვენებელ ბოძზე და ა.შ.).

b. განცხადებების დაფაზე, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ, ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოში და ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ვებგვერდის თვალსაჩინო ადგილას (თუკი ასეთი ვებგვერდი არსებობს).

c. გაზეთ(ებ)ში, რომლებიც ვრცელდება იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელზეც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს შემოთავაზებულ აქტივობას და რომელიც ფარავს საზოგადოების უდიდეს ნაწილს, ვისზეც შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილებამ ანდა ვინც შესაძლოა დაინტერესდეს შემოთავაზებული აქტივობით.

d. ადგილები, რომლებსაც დაინტერესებული საზოგადოება ხშირად სტუმრობს და რომლებსაც ჩვეულებრივ სხვადასხვა მიზნით იყენებს (მაგ. განცხადებების დაფები სათემო დარბაზებში, საფოსტო ოფისებში, მაღაზიებსა და კომერციული ცენტრებში, რელიგიურ დაწესებულებებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სპორტული დარბაზებსა და მარგინალიზებული ჯგუფების თავშეყრის ადგილებში, ისევე როგორც ავტობუსებში, სპორტულ მოედნებზე და ა.შ.).

e. სავარაუდოდ ზეგავლენის სფეროში მოქცეული ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს განცხადებების დაფები და ვებგვერდები.

65. საჯარო განცხადებები რადიოს, ტელევიზიისა და სოციალური მედიის (მაგ. Facebook-ზე, Twitter-ზე, ინტერნეტბლოგებზე) მეშვეობით, სადაც კომუნიკაციის აღნიშნული ფორმები პოპულარულია, შესაძლოა გამოყენებული იყოს როგორც დამატებითი საშუალება და არა როგორც ზემოთ ჩამოთვლილი შეტყობინების გადაცემის ხერხების ჩამნაცვლებელი. სოციალური მედია შესაძლოა განსაკუთრებით ეფექტიანი იყოს ზოგიერთ კულტურაში საზოგადოების ახალგაზრდა წევრებამდე შეტყობინების მისაღებად, რომლებსაც შეიძლება მედიის უფრო ტრადიციული ფორმებით ვერ მისწვდეთ.

66. მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ საზოგადოების ინფორმირების ერთ-ერთ გზად თუკი შერჩეულია ადგილობრივი გაზეთები, უფრო სავარაუდოა, რომ ეფექტიანი შეტყობინების პირობა დაკმაყოფილდეს დაინტერესებული საზოგადოების გეოგრაფიულ არეალში ყველაზე დიდი ტირაჟის მქონე გაზეთის შერჩევით⁴⁹, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ შემთხვევაში სათითაოდ იქნეს განხილული, თუ ჩვეულებრივ რა გზებით იღებენ ინფორმაციას დაინტერესებული საზოგადოების წევრები. მაგალითად, შესაძლოა დაინტერესებული საზოგადოების ზოგიერთ წევრს არ ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ რეგულარულად შეიძინოს გაზეთები. ამასთან, ადგილობრივ პოპულარულ გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნება უფრო დიდი ალბათობით იქნება ეფექტიანი, ვიდრე მისი ყოველკვირეულ ოფიციალურ ჟურნალში დაბეჭდვა⁵⁰, თუმცა, ოფიციალურ ჟურნალში ინფორმაციის დამატებით გამოქვეყნებაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს, რადგან ბევრ ქვეყანაში იგი კვლავაც ითვლება ამგვარი შეტყობინებების მიღების გავრცელებულ წყაროდ.

67. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ შეტყობინება შესაძლოა ვერ მივიდეს დაინტერესებული საზოგადოების ზოგიერთ წევრამდე ინფორმაციის გადაცემის ჩვეული ხერხებით (მაგალითად, ადამიანები, რომლებიც იზოლირებულ ადგილებში ცხოვრობენ, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტზე წვდომა, უჭირთ წერა-კითხვა ანდა საუბარი სხვა ენებზე) და, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ეფექტიანი შეტყობინების სხვა ხერხების გამოყენება იყოს საჭირო⁵¹, მაგალითად, კონტაქტის დამყარება რელევანტურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ან სხვა ორგანოებთან, რომლებსაც კომუნიკაცია აქვთ აღნიშნულ თემებთან.

68. შეტყობინების გავრცელება პროექტის ინიციატორთა (კერძო თუ საჯარო ორგანოს) განცხადებების დაფებისა და ვებგვერდების მეშვეობით უნდა ჩაითვალოს როგორც დამატებითი საშუალება. შეტყობინების ამ ფორმით გავრცელება შესაძლოა ჩაითვალოს როგორც გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს საინფორმაციო დაფებისა და ვებგვერდების მეშვეობით შეტყობინების გავრცელების დამატებად და არა მისი ალტერნატივად.

69. ჟურნალისტური მასალა პრესაში, ინტერნეტსა თუ ტელემედიაში, რომელშიც კომენტარი კეთდება პროექტის შესახებ, შესაძლოა ჩაითვალოს საზოგადოების დამატებითი ინფორმირების ეფექტიან საშუალებად, თუმცა, ის ვერ ჩაანაცვლებს კონვენციით გათვალისწინებულ საზოგადოებისთვის შეტყობინების გადაცემის გზებს⁵².

70. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, შესაძლოა შეიქმნას მექანიზმები ინდივიდუალური შეტყობინების მისაღებად, რომლის მეშვეობითაც, საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეეძლება, რომ წინასწარ დარეგისტრირდეს და პირდაპირი პროცედურით მიიღოს შეტყობინება კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალთან ანდა თემასთან დაკავშირებით. საზოგადოების წევრთა სია, რომლებიც დარეგისტრირდებიან ასეთი შეტყობინებების მისაღებად, უნდა იყოს განახლებული. გარდა საზოგადოების იმ წევრებისა, რომლებიც წინასწარ მოითხოვენ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაცია მიეწოდოთ, ინდივიდუალური შეტყობინებები შესაძლოა ხელსაყრელი იყოს საზოგადოების იმ წევრების შემთხვევაშიც, ვისაც სპეციფიკური ინტერესები აქვს (მაგ. ისინი, ვისზეც ცნობილია, რომ კანონიერი ინტერესი აქვთ ანდა ვინც პროექტის უშუალო სიახლოვეში ცხოვრობს).

⁴⁹ აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/16 კომუნიკაციასთან დაკავშირებით, ლიეტუვის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2008/5/Add.6), პარაგრაფი 67.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

⁵² იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/37 კომუნიკაციასთან დაკავშირებით, ბელარუსის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2011/11/Add.2), პარაგრაფი 86.

E. გონივრული ვადები საზოგადოების ინფორმირებისა და ეფექტიანი მონაწილეობის მოსამზადებლად (მუხლი 6, პარაგრაფი 3)

71. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების სხვადასხვა ფაზა, რომლისთვისაც მოთხოვნილია გონივრული ვადები, შესაძლოა მოიცავდეს:

- a. დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებას პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით (მუხლი 6, პარაგრაფი 2);
- b. დაინტერესებული საზოგადოებისათვის დოკუმენტაციის გაცნობის საშუალების მიცემას (მუხლი 6, პარაგრაფი 6). ეს პერიოდი უნდა იყოს საკმარისად ხანგრძლივი იმისათვის, რომ საზოგადოებამ გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, მუხლი 4, პარაგრაფი 1 და პარაგრაფი 2-ის თანახმად, რომელსაც ის ჩათვლის რელევანტურად შემოთავაზებულ აქტივობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად;
- c. საზოგადოებისათვის საშუალების მიცემას, რომ შეიტანოს შესწორება ან წარადგინოს ინფორმაცია, ანალიზი ან მოსაზრება, რომელსაც იგი რელევანტურად მიიჩნევს (მუხლი 6, პარაგრაფი 7). ვადების განსაზღვრისას, ასევე გასათვალისწინებელია, თუ როგორ შეიძლება მოსაზრებების წარდგენა. მაგალითად, თუკი მოთხოვნაა, რომ მოსაზრებები უნდა გაიგზავნოს წერილობით ფოსტის მეშვეობით, მაშინ რეალური ვადა მოსაზრებების გასაკეთებლად საზოგადოების წარმომადგენლებისათვის რამდენიმე დღით შემოკლდება, ვიდრე ეს დადგენილია, რადგან მოსაზრებები რამდენიმე დღით ადრე უნდა გაიგზავნოს ფოსტით გადაზიდვისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, საფოსტო მარკაზე მითითებული ფოსტით მოსაზრებების გაგზავნის თარიღი შეიძლება ჩაითვალოს მისი წარდგენის თარიღად.
- d. საზოგადოებისგან მიღებული შენიშვნების, ინფორმაციის, ანალიზისა და მოსაზრებების წარდგენას (მუხლი 6, პარაგრაფი 8);
- e. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, საზოგადოების მონაწილეობის შედეგების ჯეროვანი გათვალისწინებით (მუხლი 6, პარაგრაფი 8);
- f. დასაბუთებისა და განხილვის განაცხადების მომზადებას, რომელსაც გადაწყვეტილება ეყრდნობა;
- g. გადაწყვეტილების ტექსტის მომზადებას;
- h. საზოგადოების ინფორმირებას გადაწყვეტილების შესახებ, გადაწყვეტილებაზე საზოგადოების წვდომის შესახებ ინფორმაციასა და დასაბუთებისა და განხილვის განაცხადთან ერთად, რომელსაც იგი ეყრდნობა (მუხლი 6, პარაგრაფი 9).

72. როდესაც ხდება საზოგადოების მონაწილეობის საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება, როგორც ზოგადი პრინციპი, უნდა აღინიშნოს, რომ „გონივრული ვადების“ მოთხოვნა მუხლი 6, პარაგრაფი 3-ში:

- a. უნდა ითვალისწინებდეს, მათ შორის, შემოთავაზებული აქტივობის ხასიათს, კომპლექსურობას, მასშტაბსა და სავარაუდო ზემოქმედებას გარემოზე, ისევე, როგორც მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ოდენობას; ამდენად, ვადები, რომლებიც შესაძლოა გონივრული იყოს პატარა, მარტივი პროექტების შემთხვევაში, შესაძლოა არ იყოს გონივრული კომპლექსური პროექტების დროს, რომელსაც დიდი ოდენობით დოკუმენტაცია ესაჭიროება ანდა რომელსაც გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია⁵³;
- b. გულისხმობს „გონივრულს“ საზოგადოების გადმოსახედიდან, რომელიც მიისწრაფვის, რომ მოემზადოს და ჩაერთოს საზოგადოების მონაწილეობის ეფექტიან პროცედურებში;
- c. უნდა ითვალისწინებდეს ქვეყანაში ზოგადად დამკვიდრებულ ადმინისტრაციულ ვადებს (მაგალითად, ვადებს ინფორმაციის გამოთხოვისა და უარის მიღების შემთხვევაში, გასაჩივრებისათვის).

73. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების სხვადასხვა ფაზისთვის ვადების დაწესებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ჩარჩომ შესაძლოა:

⁵³ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/16 კომუნიკაცისთან დაკავშირებით, ლიეტუვის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2008/5/Add.6), პარაგრაფი 69.

- a. დაადგინოს ფიქსირებული ვადები თითოეული ფაზისთვის;
- b. დაადგინოს მინიმალური ვადები;
- c. გამოიყენოს მოქნილი მიდგომა, სადაც საზოგადოების მონაწილეობის ცალკეულ პროცედურაზე პასუხისმგებელი ხელისუფლების ორგანო ადგენს სათანადო ვადებს კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული გარემოებებიდან გამომდინარე, კანონით განსაზღვრული მინიმალური ვადით, რომელიც ეყრდნობა კონვენციის მე-4 მუხლის ფარგლებში კანონით დადგენილ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ვადებს.

74. ფიქსირებული მიდგომა იქნება გამოყენებული თუ მოქნილი, ამის მიუხედავად, თუკი ცნობილი გახდება მნიშვნელოვანი ახალი ინფორმაცია ანდა მატერიალური თვალსაზრისით გარემოებები შეიცვლება საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის დაწყების შემდეგ, ხელისუფლების ორგანოს უნდა შეეძლოს, რომ გაახანგრძლივოს საზოგადოების მონაწილეობის ვადები ისე, რომ საზოგადოებამ შეძლოს საჭირო ინფორმაციის გაცნობა და ეფექტიანი მონაწილეობა.

75. მოქნილ მიდგომას ის უპირატესობა აქვს, რომ იგი ხელისუფლების ორგანოებს აძლევს საშუალებას, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებისათვის დაადგინოს ვადები, რომელიც გაითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა შემოთავაზებული აქტივობის ხასიათი, მასშტაბი და გარემოზე სავარაუდო ზეგავლენა. თუმცა, იგი ხელისუფლების ორგანოებს უტოვებს აბსოლუტურ დისკრეციას, რომ განსაზღვროს ვადები, რასაც შესაძლოა შედეგად გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა მოჰყვეს. ამდენად, თუკი მოქნილი მიდგომა იქნება გამოყენებული, შესაბამისმა საკანონმდებლო ჩარჩომ უნდა დააზუსტოს საზოგადოების მონაწილეობის თითოეული ფაზისთვის მინიმალური ან მაქსიმალური ვადები, გამომდინარე იქიდან, თუ რომელი უფრო მეტად შეუწყობს ხელს საზოგადოების მონაწილეობას იმ კონკრეტულ ფაზაში. მაგალითად:

- a. ზოგადად, მინიმალური ვადის დაწესება უფრო შეეფერება საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის იმ ფაზებს, სადაც საზოგადოებაა წამყვანი (მაგ. მოსაზრებების მომზადება და წარდგენა);
- b. და პირიქით, მაქსიმალური ვადების დადგენა, ზოგადად, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების ისეთ ფაზებს შეეფერება, სადაც წამყვანი უნდა იყოს ხელისუფლების ორგანო (მაგ. საზოგადოების მიერ წარდგენილი მოსაზრებების განხილვა ხელისუფლების ორგანოების მიერ). საზოგადოებისთვის მაქსიმალური ვადის დაწესება მოსაზრებების წარსადგენად, იმის მიუხედავად, თუ რა მაქსიმალურ ვადაზეა საუბარი, შეიცავს რისკს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა დაწესებული იყოს არაგონივრული ვადები.

76. თუკი საკანონმდებლო ჩარჩო აკონკრეტებს მინიმალურ ვადებს, აღნიშნულმა ჩარჩომ ან თანმხლებმა სახელმძღვანელო წესებმა უნდა დააზუსტოს, რომ საუბარია მართლაც მინიმალურ ვადებზე და მათი გახანგრძლივება არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ, პრინციპში, რეკომენდებულიც კია ისეთი შემოთავაზებული აქტივობებისათვის, რომლებსაც გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია (მაგ. სავალდებულო გზმ-ის პროცედურებს დაქვემდებარებული აქტივობებისთვის) ანდა რომლებსაც გავლენა აქვს მოსახლეობის დიდ ნაწილზე.

77. საკანონმდებლო ჩარჩომ უნდა შემოიტანოს სიცხადე ვადების გამოანგარიშებასთან დაკავშირებით, რაც მკაფიოდ უნდა იყოს დაფიქსირებული. მაგალითად:

- a. როდესაც შესაძლებელია, ტერმინები (მაგ. „დღეები“, „კვირები“, „წლები“), რომლებიც ვადებს აღწერს, უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონმდებლობაში ჩვეულებისამებრ გამოყენებულ ტერმინებს;
- b. თუკი ვადები დაწესებულია დღეებში, ცხადად უნდა იყოს მითითებული, კალენდარულ დღეებზეა საუბარი თუ სამუშაო დღეებზე და არჩეული მიდგომა თანმიმდევრულად უნდა იყოს გამოყენებული მთელ საკანონმდებლო ჩარჩოში;
- c. ფრთხილად უნდა იყოს გამოანგარიშებული ვადების პირველი და ბოლო დღე, ოფიციალური დასვენების დღეების გათვალისწინებით. მაგალითად, თუკი მოცემული ვადის ბოლო დღე დაემთხვევა უქმე დღეს, მაშინ შემდეგი სამუშაო დღე უნდა იქნეს აღებული ბოლო დღედ;
- d. მოკლე ვადებთან დაკავშირებით ყველაზე მოსახერხებელია „დღეების“ გამოყენება, ხოლო უფრო ხანგრძლივ ვადებთან – „კვირების“ ან „თვეების“;
- e. როდესაც შესაძლებელია, დასვენების მთავარი სეზონები (მაგ. ზაფხული, გვიანი დეკემბერი) არ უნდა იყოს გამოყენებული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების ჩასატარებლად;

f. შემოთავაზებული აქტივობების ჩასატარებლად, რომლებსაც შესაძლოა ტრანსსასაზღვრო ზეგავლენა ჰქონდეს, ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყნებში არსებული უქმე დღეები და დასვენების სეზონები თავიდან უნდა იყოს არიდებული.

გონივრული და არაგონივრული ვადები საზოგადოების მონაწილეობისთვის

საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების სხვადასხვა ფაზისთვის გონივრული და არაგონივრული ვადების ზოგიერთი მაგალითია:

- **არაგონივრული:** საზოგადოებისათვის 10 სამუშაო დღის ვადის მიცემა, რომ გააანალიზოს დოკუმენტაცია, მათ შორის, გზმ-ის ანგარიში და მოემზადოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისათვის დიდი მასშტაბის ნაგავსაყრელთან დაკავშირებით, ვერ ჩაითვლება გონივრულ ვადად⁵⁴.
- **არაგონივრული:** საზოგადოებისათვის 20-დღიანი ვადის მიცემა მოსამზადებლად და ეფექტიანი მონაწილეობისათვის ვერ ჩაითვლება გონივრულად, თუკი ეს პერიოდი ემთხვევა საყოველთაო დღესასწაულების პერიოდს ქვეყანაში⁵⁵.
- **გონივრული:** ამის საპირისპიროდ, გონივრულ ვადად შეიძლება ჩაითვალოს 6-კვირიანი პერიოდი, საზოგადოების მხრიდან დოკუმენტების გასაცნობად და საჯარო განხილვისათვის მოსამზადებლად და დამატებითი 6 კვირა ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის აშენების შესახებ საზოგადოების მიერ რელევანტური შენიშვნების, ინფორმაციის, ანალიზისა და მოსაზრებების წარსადგენად⁵⁶.
- **გონივრული:** საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც აწესებს მინიმუმ 30 დღეს, გადაწყვეტილების მიღების პროცედურასთან დაკავშირებით, საზოგადოების შეტყობინებასა და სახალხო კონსულტაციების დაწყებას შორის, გონივრული ვადაა, თუკი შესაძლებელია, რომ მინიმალური პერიოდი გახანგრძლივდეს საჭიროებისამებრ, მათ შორის, შემოთავაზებული აქტივობის ხასიათის, კომპლექსურობისა და მასშტაბის გათვალისწინებით⁵⁷.

F. საზოგადოების ადრეული მონაწილეობა, როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი დიაა განსახილველად (მუხლი 6, პარაგრაფი 4)

78. მრავალსაფეხურიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესის (იხ. პარაგრაფი 17 ზემოთ) შემთხვევაში, როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი დიაა განსახილველად, საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის:

- a. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სულ მცირე, ერთი საფეხური მაინც უნდა იყოს, როდესაც საზოგადოებას აქვს ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა იმასთან დაკავშირებით, უნდა გაგრძელდეს თუ არა შემოთავაზებული აქტივობა (ნულოვანი ვარიანტი) (ასევე იხ. პარაგრაფი 16 ზემოთ);
- b. გარდა ამისა, მრავალსაფეხურიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თითოეულ საფეხურზე საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ადრეული და ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა ყოველი საფეხურის ყველა ვარიანტის განსახილველად;
- c. ადრეულ საფეხურზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის, რათა მოხდეს წინა საფეხურებზე მიღებული გადაწყვეტილებების, მათ შორის, ნულოვან ვარიანტსა თუ სხვა ალტერნატივებზე უარის თქმის საფუძვლის გააზრება;
- d. როდესაც მრავალსაფეხურიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალი ინფორმაცია აჩენს თანმდევ ეჭვებს წინა საფეხურებსა თუ ეტაპებთან დაკავშირებით ანდა ცალსახად საფუძველს აცლის მათ, შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნული საკითხების ხელახლა განხილვა.

⁵⁴ აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/16 კომუნიკსთან დაკავშირებით, ლიეტუვის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2008/5/Add.6), პარაგრაფი 70.

⁵⁵ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2008/24 კომუნიკსთან დაკავშირებით, ესპანეთის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2009/8/Add.1), პარაგრაფი 92.

⁵⁶ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2007/22 კომუნიკსთან დაკავშირებით, საფრანგეთის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2009/4/Add.1), პარაგრაფი 44.

⁵⁷ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/37 კომუნიკსთან დაკავშირებით, ბელარუსის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2011/11/Add.2), პარაგრაფი 89.

79. საზოგადოების ადრეული მონაწილეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების (როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი ღიაა განსახილველად) საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი არის საზოგადოებისთვის შესაძლებლობის მიცემა, მონაწილეობა მიიღოს გზშ-ის პროცედურის წინასწარი შეფასებისა (სკრინინგი) და მასშტაბის განსაზღვრის ეტაპზე, როდესაც ხდება იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომელთა განხილვაც მნიშვნელოვანია.

80. „როდესაც ყველა ვარიანტი ღიაა განსახილველად“ შესაძლოა გაგებული იყოს როგორც პერიოდი, როდესაც ჯერ კიდევ ნებისმიერი ვარიანტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს უპირატესად. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი სიტუაციისა, როდესაც შეიძლება, რომ ყველა ვარიანტი აღარ მიიჩნეოდეს ღიად:

- a. როდესაც უკვე საჯაროდ გაცხადდა უპირატესი ვარიანტის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა გეგმა თუ პროგრამა ჯერაც არ იყოს დამტკიცებული;
- b. როდესაც საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანომ (მათ შორის, მაგალითად, ადგილობრივმა ან რეგიონულმა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა ან ეროვნულმა პარლამენტმა) უკვე მიიღო ფორმალური გადაწყვეტილება;
- c. როდესაც გადაწყვეტილების მიმღები თავის ამომრჩევლებს უკვე შეჰპირდა, რომ ბოლომდე გაყვება ან თავიდან აირიდებს ამა თუ იმ ვარიანტს;
- d. როდესაც ხელისუფლების ორგანომ დადო კონტრაქტები ან შეთანხმებები კონვენციით გათვალისწინებული გადაწყვეტილების კერძო მხარეებთან, რასაც ვარიანტების ჩაკეტვის ეფექტი ექნებოდა საზოგადოების მხრიდან არსებითი მონაწილეობის გარეშე⁵⁸.

81. როდესაც უზრუნველყოფილია საზოგადოების მონაწილეობა პროცედურების პირველსავე ეტაპებზე – მაგალითად, საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, გზშ-ის პროცედურების წინასწარი შეფასებისა და მასშტაბის შერჩევის ეტაპზე, ან აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის რეგიონისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში OVOS პროცედურების ეტაპზე (რომლის დროსაც პროექტის განვითარების ზედამხედველმა უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების ჩართულობის შედეგები, როდესაც ამზადებს OVOS ანგარიშს, როგორც პროექტის დოკუმენტაციის განვითარების ნაწილს)⁵⁹ – რაც ნიშნავს საუკეთესო პრაქტიკისადმი მზაობას, უნდა მოხდეს იმის გათვალისწინება, რომ საზოგადოებისთვის მონაწილეობის ასეთი შესაძლებლობის შექმნას თან უნდა ერთვოდეს მათთვის ანალოგიური შესაძლებლობების შექმნა მომდევნო ეტაპებზეც, როდესაც რელევანტური ინფორმაცია/დოკუმენტაცია უკვე შეგროვებულია/მომზადებულია და ხელისუფლების ორგანოები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მზად არიან.

G. პროექტის განვითარების ზედამხედველთა წახალისება ნებართვის მოთხოვნამდე, დაინტერესებულ საზოგადოებასთან დასაკავშირებლად (მუხლი 6, პარაგრაფი 5)

82. ხელსაყრელი იქნებოდა სახელმძღვანელო წესების შექმნა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის განვითარების ზედამხედველებს დახმარებას გაუწევდა დაინტერესებული საზოგადოების იდენტიფიცირებაში, მათთან დისკუსიაში შესვლასა და მათი აპლიკაციის მიზნების შესახებ ინფორმაციის მიღებაში, ვიდრე ისინი ნებართვაზე მოთხოვნას გააგზავნიან.

83. მართალია, დიალოგი პროექტის ზედამხედველსა და დაინტერესებულ საზოგადოებას შორის უნდა წახალისდეს ნებართვის მოთხოვნის გაგზავნამდე, თუმცა ეს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ დამატებით ღონისძიებას საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებისათვის, რომელიც უნდა განხორციელდეს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ, მას შემდეგ, რაც ნებართვის მოთხოვნა გაიგზავნება.

84. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ხელისუფლების ორგანომ უნდა გადაამოწმოს და დარწმუნდეს, რომ ამგვარი დიალოგი პროექტის განვითარების ზედამხედველსა და დაინტერესებულ საზოგადოებას შორის ზუსტი და სანდო ინფორმაციის გავრცელებას ისახავს მიზნად და თავად ეს დიალოგი არ იქცევა მანიპულაციისა და იძულების წყაროდ.

⁵⁸ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2008/24 კომუნიკსთან დაკავშირებით, ესპანეთის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2009/8/Add.1), პარაგრაფი 119 (a)(iii).

⁵⁹ რედაქტორის შენიშვნა: OVOS/ექსპერტიზის სისტემა ნიშნავს კონტროლის მექანიზმების განვითარებას აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის რეგიონისა და ცენტრალური აზიის ბევრ ქვეყანაში. კომიტეტმა მიიჩნია, რომ OVOS და ექსპერტიზა ერთობლივად უნდა იქნეს განხილული როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ფორმას (იხ. ECE/MP.PP/C.1/2013/9, პარაგრაფი 44).

H. წვდომა სრულ რელევანტურ ინფორმაციაზე (მუხლი 6, პარაგრაფი 6)

გადაწყვეტილების მიღებისათვის რელევანტური სრული ინფორმაცია

85. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის აუცილებელი წინაპირობაა. გადაწყვეტილების მიღებისათვის რელევანტური სრული ინფორმაცია, რომელსაც ფლობს ხელისუფლების ორგანო (გარდა, მუხლი 4, პარაგრაფი 3 და 4-ის თანახმად, საჯაროდ გამჟღავნების ვალდებულებისაგან გათავისუფლებული ინფორმაციისა), ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული საზოგადოებისათვის, მიუხედავად მათი თვისობრივი შინაარსისა და მიუხედავად იმისა, ხელისუფლების ორგანო მიიჩნევს თუ არა მას ზუსტ, თანმიმდევრულ და განახლებულ ინფორმაციად.

86. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, შესაძლებლობების ფარგლებში, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გადამოწმონ ინფორმაციის სიზუსტე მის გამოქვეყნებამდე, ეს არ უნდა გახდეს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მისაღებად ხელის შემშლელი ფაქტორი.

87. ეს მოიცავს ასევე ნედლე მონაცემებს მონიტორინგის სადგურებიდან, თუნდაც იგი ჯერ გადამოწმებული არ იყოს და საბოლოო ფორმა არ ჰქონდეს მიღებული. თუკი ხელისუფლების ორგანო საფრთხეს ხედავს ასეთი ინფორმაციის გავრცელებაში, მან უნდა მიაწოდოს ნედლი მონაცემები და, ამავდროულად, ინფორმაციის მომთხოვნს განუმარტოს, რომ აღნიშნულ მონაცემებს ნედლი მონაცემების დამუშავებისათვის აუცილებელი ოფიციალური პროცედურები ჯერ არ გაუვლია. იგივე უნდა გადამუშავებულ მონაცემებს, რა შემთხვევაშიც, ხელისუფლების ორგანომ ინფორმაციის მომთხოვნს უნდა განუმარტოს, თუ როგორ დამუშავდა მონაცემები და რას წარმოადგენს ის⁶⁰.

88. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა დაადგინონ, თუ რა იგულისხმება ინფორმაციის მინიმალურ პაკეტში, რომელიც უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტილების მიღებისათვის რელევანტურად მუხლი 6-ის ფარგლებში და რომელზეც, როგორც წესი, საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს. მუხლი 4, პარაგრაფი 3 და პარაგრაფი 4-ში მითითებული ინფორმაციის გამჟღავნებაზე გამონაკლისისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ასეთი მინიმალური ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს:

- a. სრულ აპლიკაციას შემოთავაზებული აქტივობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ;
- b. პროცედურის დროს მოგროვებულ რელევანტურ ინფორმაციას, კანონით მოთხოვნილ, აპლიკაციის თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, როგორიცაა:
 - i. სრული, საბოლოო გზმ-ის ანგარიში, ყველა დანართითურთ;
 - ii. ყველა რელევანტური დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას შემოთავაზებული აქტივობის მახასიათებლებთან დაკავშირებით, რაც გზმ-ის ანგარიშში არ არის დაკონკრეტებული, მაგალითად, მისი ადგილმდებარეობა, სტრუქტურა, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა ან სხვა კეთილმოწყობილობა (მაგ. ახალი გზები, ელექტროქსელები, კომუნიკაციები);
 - iii. ყველა საჭირო რუკა;
 - iv. ყველა რელევანტური მოსაზრება, განცხადება ან სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია ხელისუფლების სხვა ორგანოების ანდა კანონით განსაზღვრული კერძო თუ საჯარო საკონსულტაციო ორგანოს მიერ;
 - v. მითითებები შემოთავაზებულ აქტივობასთან დაკავშირებულ რელევანტურ კანონმდებლობაზე;
 - vi. ნებისმიერი რელევანტური გეგმა, პროგრამა ან პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც არის აქტივობა შემოთავაზებული;
 - vii. იმავე აქტივობაზე ადრე გაცემული ნებართვები;
 - viii. პროექტის ინიციატორთან დაკავშირებული ნებართვის მიღების მოთხოვნებზე წარსულში გაცემული რელევანტური ჯარიმები, იძულების, შეწყვეტისა და უარის გადაწყვეტილებები;

⁶⁰ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2010/53 კომუნიკსთან დაკავშირებით, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდ. ირლანდიის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2013/3), პარაგრაფი 77.

ix. საზოგადოების მხრიდან წერილობითი ან ზეპირი ფორმით გაკეთებული შენიშვნები, ინფორმაცია, ანალიზი ან მოსაზრებები, რომელიც დაარქივებული აქვს ხელისუფლების ორგანოებს ანდა საზოგადოების მონაწილეობაზე პასუხისმგებელ სხვა ორგანოებს.

89. მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს დაბალანსებული. იგი უნდა შეიცავდეს მოცემული თემის განსხვავებულ ასპექტებს და არ უნდა იძლეოდეს მანიპულაციის საშუალებას. კონვენციის მუხლი 4, პარაგრაფი 3 და პარაგრაფი 4-ში მითითებული გამონაკლისების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მისაღებად რელევანტური ყველა ექსპერტული მოსაზრება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

90. გარდა ამისა, ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმის უფლებაზე მუხლი 4, პარაგრაფი 3 და 4-ით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესის დარღვევის გარეშე, ნებისმიერი საჯარო მოსმენის თუ შეხვედრის პროტოკოლები, ტრანსკრიპტები ან ჩანაწერები მე-6 მუხლით გათვალისწინებული აქტივობის შესახებ ნებართვის გაცემის გადაწყვეტილებაზე, განხილული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებისათვის რელევანტურ ინფორმაციად. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, თუკი ჩანაწერები გაკეთებულია, რეკომენდებულია, რომ იგი დაარქივდეს მომავალში გამოსაყენებლად და არ წაიშალოს ჩაწერის შემდგომ.

გამონაკლისები გამჟღავნებაზე

91. მიუხედავად იმისა, რომ მუხლი 6, პარაგრაფი 6 უშვებს გამონაკლისებს ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რომელიც კონვენციის მუხლი 4, პარაგრაფი 3 და პარაგრაფი 4-ით არის უზრუნველყოფილი, როდესაც ხდება მე-6 მუხლის ფარგლებში მოქცეულ გადაწყვეტილებებზე საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება და იმპლემენტაცია, გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- a. თუკი ინფორმაცია რელევანტურია გადაწყვეტილების მისაღებად, მაშინ არსებობს მტკიცე ვარაუდი, რომ ამ ინფორმაციაზე წვდომით დაინტერესებულია საზოგადოება, რომელიც ცდილობს, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამდენად, მუხლი 4-ით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი უნდა ინტერპრეტირდეს შემზღვეველი წესით, ინფორმაციის გამჟღავნებით საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების გათვალისწინებით;
- b. ნებისმიერი გადაწყვეტილება კონკრეტული ინფორმაციის გამჟღავნებაზე საგამონაკლისო წესით უარის თქმაზე, თავის მხრივ, უნდა იყოს ცხადი და გამჭვირვალე, უნდა უთითებდეს გამჟღავნების მიზეზებს და იძლეოდეს ინფორმაციის შესწორების პროცედურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით⁶¹;
- c. მუხლი 6, პარაგრაფი 4-ის თანახმად, თუკი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს გამონაკლისის გამჟღავნების ვალდებულებისაგან მუხლი 4-ის თანახმად, შესაძლოა, გამოიყოს დანარჩენი ინფორმაციისაგან ისე, რომ არ დაზიანოს კონფიდენციალურობა ინფორმაციისა, რომელიც არ ხვდება გამჟღავნების ვალდებულების სფეროში, მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დარჩენილ ნაწილზე წვდომა კი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ.
- d. თუკი დროთა განმავლობაში გარემოებები ისე შეიცვლება, რომ გამჟღავნების ვალდებულებისგან გამონაკლისის წესი აღარ მოერგება, ინფორმაცია უნდა გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მაშინვე, როგორც კი ის კონფიდენციალურად აღარ ჩაითვლება;
- e. ზოგადად, მომზადებული დოკუმენტები, განსაკუთრებით კი, გადაწყვეტილების მიღების პროცედურისათვის განკუთვნილი დოკუმენტები, მათ შორის, აპლიკაციის ორიგინალი და გზშ-ის ანგარიშები თავისი დანართებითურთ, სრულად ღია უნდა იყოს.
- f. სულ მცირე, ეჭვების გასაფანტავად, საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს მუხლი 6, პარაგრაფი 6 (a)-(f) ქვეპუნქტებში მითითებულ სრულ ინფორმაციაზე.

წვდომა რელევანტური ინფორმაციის შესწავლაზე

92. გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სრული ინფორმაციის ეფექტიანად შესწავლით დაინტერესებული საზოგადოების ხელშესაწყობად, ინფორმაცია შესასწავლად, სულ მცირე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს:

- a. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს შენობაში, ისევე, როგორც რელევანტურ განყოფილებებში;

⁶¹ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2010/48 კომუნიკაცთან დაკავშირებით, ავსტრიის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე, პარაგრაფი 56.

თუკი შესაძლებელია, ელექტრონულად, მაგალითად, საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებგვერდზე, როგორც მომხმარებლისათვის ადვილად გამოყენებადი ძიების ფუნქციის, ასევე წარსულში ჩატარებული პროცედურების ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტების არქივის ხელმისაწვდომობით;

b. თუკი ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს შენობა აქტივობის ადგილიდან მოშორებით არის განთავსებული (მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას 2 საათზე მეტ სავალ გზაზე), მაშინ (a) და (b) პუნქტების გარდა, ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფრო იოლად მისასვლელ, აქტივობის უშუალო სიახლოვეში მყოფ ადგილებში, მაგალითად, შემოთავაზებული აქტივობის ტერიტორიული ორგანოს ადგილობრივი ხელისუფლების ოფისებში;

c. საზოგადოების მონაწილეობის მთელი პროცედურის განმავლობაში ყველა სამუშაო დღის ჩვეულ სამუშაო საათებში. გარდა ამისა, ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ უნდა იზრუნოს, თუ როგორ გახადოს ინფორმაცია ხელმისაწვდომი საზოგადოების იმ წევრებისათვის, ვისაც მასზე წვდომა ჩვეულებრივ სამუშაო საათებში არ შეუძლია (მაგალითად, მათი სპეციფიკური სამუშაო განრიგის გამო).

93. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომისათვის განკუთვნილი სხვადასხვა ადგილისა და მათი სამუშაო საათების შესახებ დეტალები დაკონკრეტებული უნდა იყოს მუხლი 6, პარაგრაფი 2 (d) ქვეპუნქტის (iv) ნაწილით გათვალისწინებულ შეტყობინებაში. ინფორმაციაზე წვდომასთან დაკავშირებული ბარიერების გადალახვა

94. ინფორმაციაზე წვდომა უნდა მოხდეს დაუბრკოლებლად. გარდა ორიგინალური დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალისა, პროექტზე განაცხადის ავტორმა უნდა მოამზადოს, სულ მცირე, გზშ-ის და ნებართვის დოკუმენტების არატექნიკური მიმოხილვები, რომლებიც დაწერილი იქნება მარტივი, მომხმარებლებზე მორგებული და გასაგები ენით, და იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. კარგად დაწერილი არატექნიკური მიმოხილვების მომზადებას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობისთვის. ამ მხრივ, არატექნიკურ მიმოხილვებში:

- a. არ უნდა მოხდეს ისეთი ინფორმაცია, რაც დაინტერესებული საზოგადოებისათვის ზედმეტად რთულად გასაგები ან ტექნიკურია;
- b. გამოყენებული უნდა იყოს დაინტერესებული საზოგადოებისათვის (მათ შორის, როდესაც საჭიროა, ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტებისთვის) გასაგები ენა;
- c. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მომხმარებელზე მორგებული ფორმატით (ანუ, იოლი იყოს წასაკითხად და მოსასმენად);
- d. უნდა მოხდეს ინფორმაციის რელევანტური ნაწილების იდენტიფიცირება.

95. თუმცა, არატექნიკური მიმოხილვების მომზადება სრულ ტექნიკურ დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის გარეშე ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. მუხლი 4, პარაგრაფი 4-ით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებებისგან საგამონაკლისო წესის თანახმად, საზოგადოებას აქვს უფლება, რომ ჰქონდეს წვდომა სრულ ტექნიკურ დოკუმენტაციაზე, თუკი მას სურს. საზოგადოებას ინფორმაციაზე უარი არ უნდა ეთქვას იმის გამო, რომ იგი „არაშესაფერისი“ ან „ზედმეტად ტექნიკურია“.

96. როდესაც ინფორმაცია განსაკუთრებულად ტექნიკური ხასიათისაა, ხელისუფლების ორგანოს შეუძლია უზრუნველყოს, რომ საზოგადოებას ჰქონდეს შესაძლებლობა კითხვების დასასმელად ან განმარტებების მისაღებად, რაც დაეხმარება საკითხის გაგებაში, მაგალითად, საჯარო შეხვედრების ან სხვა საჯარო თავყრილობების, მთავრობის ვებგვერდზე კითხვა-პასუხის სექციის ან საჯარო მოსმენების მეშვეობით (თუმცა, რეკომენდებულია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს შეკითხვების დასმის საშუალება მანამ, სანამ მოსმენები გაიმართება, რათა მათთვის სათანადოდ იყოს მომზადებული).

97. გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციაზე ეფექტიანი წვდომის ხელშესაწყობად უნდა გატარდეს პრაქტიკული ზომები, მაგალითად, ელექტრონული ხელსაწყოების გამოყენებით, სადაც მათი გამოყენება ხშირია. მაგალითად, ხელისუფლების ორგანოებს შესაძლოა სურდეთ მომხმარებელზე მორგებული ვებგვერდების შექმნა და მართვა, სადაც საზოგადოებას შეეძლება, მონახოს ინფორმაცია შემოთავაზებულ აქტივობაზე, ჰქონდეს წვდომა რელევანტურ დოკუმენტაციაზე ინტერნეტით და გააგზავნონ თავიანთი მოსაზრებები შემოთავაზებულ აქტივობასთან დაკავშირებით. ასეთი ვებგვერდები, მათ შორის, შესაძლოა შეიცავდეს იმ ადამიანებისა და ორგანოების სიას, ვისზეც

საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხებია დელეგირებული (იხ. პარაგრაფი 27-36 ზემოთ).

98. საჭიროა ზომების გატარება იმის უზრუნველსაყოფად, რომ თანამდებობის პირები და ხელისუფლების ორგანოები დაეხმარონ და მიუკერძოებელი წინამძღოლობა გაუწიონ საზოგადოებას გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის შესწავლაში, მაგალითად, ინფორმაციისა და მისი რელევანტურობის ახსნით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ, რომ მოითხოვონ პროექტის განაცხადის წარმოდგენა ანდა აღნიშნულ საკითხებში მათ მიერ დაქირავებული კონსულტანტებისაგან (მაგ. გზმ-ის კონსულტანტებისაგან) დახმარება⁶².

უფასო წვდომა დოკუმენტაციაზე და ასლების გაკეთება გონივრულ ფასად

99. საზოგადოებას უნდა შეეძლოს, რომ გამოთხოვილი ინფორმაციის ასლები მიიღოს გონივრულ ფასად ანდა სრულიად უფასოდ⁶³. ხელისუფლების ორგანომ, რომელიც მიზნად ისახავს ფასის დადებას ინფორმაციის ასლის გადაღებაზე, დაწესებული ფასების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს წინასწარ და იგი უნდა განათავსოს შესამჩნევ ადგილას.

100. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, საზოგადოებას უფასოდ უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების მიღებისათვის რელევანტური ინფორმაციის შესწავლა და არ უნდა გადაიხადოს საფასური ინფორმაციისათვის, რომელიც მიწოდებული არ ყოფილა.

101. ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ, რომ განიხილონ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ასლების უფასოდ მიწოდება, სადაც ეს გამართლებულია დოკუმენტაციის ხასიათიდან (მაგ. არის თუ არა იგი დიდი ოდენობის), განსახილველი აქტივობიდან (მაგ. თუკი განსაკუთრებულად მგრძობიარე საკითხს შეეხება) ანდა დაინტერესებული საზოგადოებიდან (მაგ. საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი, რომლისთვისაც რთული იქნება იმ ადგილას ყოფნა, სადაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია უფასოდ) გამომდინარე. როდესაც ინფორმაციის მიწოდება ელექტრონულად უნდა მოხდეს, შესაძლოა იგი უფასო იყოს.

102. საზოგადოებას უნდა შეეძლოს, რომ გამოთხოვილი ინფორმაციის ასლები სასურველ ფორმატში მიიღოს (მაგ. ელექტრონულად ან ქაღალდის სახით), გარდა იმ შემთხვევისა, თუკი გონივრულია, რომ ხელისუფლების ორგანომ სხვა ფორმატით მიაწოდოს მას ინფორმაცია, რა დროსაც მის გამომთხოვს უნდა განემარტოს მიზეზები, ან თუკი აღნიშნული ინფორმაცია უკვე საჯაროდ ხელმისაწვდომია სხვა ფორმატში⁶⁴. საზოგადოებას ასევე უნდა შეეძლოს, რომ მიიღოს ინფორმაცია სასურველ ენაზე, თუკი ხელისუფლების ორგანო ინფორმაციას ამ ენაზე ფლობს.

103. კონვენციის მუხლი 4, პარაგრაფი 3 და პარაგრაფი 4-ში აღნიშნული გამონაკლისების გათვალისწინებით, საზოგადოებას უნდა შეეძლოს, რომ ადგილზე დაამზადოს ასლები საკუთარი ტექნიკური საშუალებებით, უფასოდ, მათ შორის, უნდა შეეძლოს რელევანტური დოკუმენტებისათვის ციფრული ფოტოების გადაღება.

ინფორმაციის შეძლებისდაგვარად სწრაფად მიწოდება

104. გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სრული ინფორმაცია შესასწავლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული საზოგადოებისათვის:

- a. მაშინვე, როგორც კი ის ხელმისაწვდომი გახდება ხელისუფლების ორგანოებისათვის, გადაწყვეტილების მიღების პროცედურის რომელ საფეხურზეც არ უნდა მოხდეს ეს;
- b. დაინტერესებული საზოგადოებისათვის შესასწავლად ხელმისაწვდომი უნდა დარჩეს, მისი მონაწილეობის პროცედურის მიმდინარეობის მთელ პერიოდში, მათ შორის, ნებისმიერი ადმინისტრაციული ან იურიდიული განხილვის პროცედურების მიმდინარეობისას, რომლის ჩატარებასაც მოითხოვს ადგილობრივი კანონმდებლობა და რომელსაც იგი განსაზღვრავს.

⁶² ორჰუსის კონვენცია, მუხლი 3, პარაგრაფი 2.

⁶³ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2008/24 კომუნიკაცთან დაკავშირებით, ესპანეთის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2009/8/Add.1), პარაგრაფები 76 და 95.

⁶⁴ კონვენციის მუხლი 4, პარაგრაფი 1 (b) ქვეპუნქტი.

105. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია უნდა ინახებოდეს ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის დაწყებამდე. ეს საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პროცედურის ადრეულ ეტაპზე, სრული ინფორმირებულობის პირობებში შეეძლოთ მონაწილეობა. თუკი საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მიმდინარეობისას ცნობილი გახდება დამატებითი ინფორმაცია, ამის შესახებ ცხადად უნდა ითქვას ყველგან, სადაც კი ინფორმაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის (მაგ. ვებგვერდზე, ციფრულ მონაცემთა ბაზასა თუ საქაღალდეში), და საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, მოქალაქეებს, რომლებმაც უკვე წარადგინეს შენიშვნები, პროაქტიულად უნდა მიუვიდეთ ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით. საზოგადოების წევრებს, რომლებმაც უკვე მიიღეს მონაწილეობა, დამატებითი ინფორმაციის გაჩვენებამდე, რა თქმა უნდა, კვლავაც უნდა შეეძლოთ შენიშვნების გაკეთება და ა.შ. ახალი ინფორმაციის გათვალისწინებით⁶⁵. თუკი პროცედურის მიმდინარეობისას დიდი ოდენობით ახალი ინფორმაცია გახდება ცნობილი, ხელისუფლების ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ დარჩენილ ვადაში საზოგადოებამ შეძლოს მომზადება ეფექტიანი მონაწილეობისათვის⁶⁶ და თუკი საჭიროა, უნდა გაზარდოს ვადები საზოგადოებისაგან შენიშვნების მისაღებად.

106. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, როდესაც საზოგადოების წევრები გამოითხოვენ კონვენციით გათვალისწინებულ ინფორმაციას, და ცხადად მიუთითებენ, რომ ინფორმაციის გამოთხოვა ხდება კონვენციით გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების კონტექსტში, ხელისუფლების ორგანომ უნდა გასწიონ ძალისხმევა ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურების დასაჩქარებლად, რათა ხელი შეუწყონ საზოგადოებას ეფექტიან მონაწილეობაში⁶⁷.

107. საკანონმდებლო ჩარჩომ შესაძლოა გაითვალისწინოს, რომ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო გარკვეული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს პირდაპირ პროექტის განაცხადის ავტორმა ან/და მათ მიერ დაქირავებულმა კონსულტანტებმა (მაგ. გზმ-ის კონსულტანტებმა). თუმცა, ეს განხილული უნდა იყოს როგორც დამატებითი ღონისძიება და მან არ უნდა ჩაანაცვლოს კომპეტენტური ორგანოს ვალდებულება, უზრუნველყოს დაინტერესებული საზოგადოების წევრმა გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო სრულ ინფორმაციაზე⁶⁸.

I. პროცედურები საზოგადოების მხრიდან შენიშვნების წარსადგენად (მუხლი 6, პარაგრაფი 7)

108. მუხლი 6, პარაგრაფი 7-ით გათვალისწინებული შენიშვნების, ინფორმაციის, ანალიზისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება მინიჭებული აქვს „საზოგადოებას“ და არა „დაინტერესებულ საზოგადოებას“, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი საჯარო შეხვედრა, მოსმენა თუ გამოკითხვა, რომელიც მუხლი 6, პარაგრაფი 7-ის ფარგლებში იმართება, დია უნდა იყოს მთლიანად საზოგადოებისათვის; საზოგადოებას უნდა ჰქონდეს უფლება, წარადგინოს შენიშვნები, ინფორმაცია, ანალიზი თუ მოსაზრება, რომელსაც მიიჩნევს შემოთავაზებული აქტივობისათვის რელევანტურად:

- a. უფასოდ;
- b. ზედმეტი ფორმალობების გარეშე.

109. უჭვების გასაფანტავად, სწორედ საზოგადოების წარმომადგენელმა უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა აღნიშნული შენიშვნები და ა.შ. შემოთავაზებული აქტივობისათვის რელევანტური, და არა ხელისუფლების ორგანომ ან პროექტის ინიციატორმა.

110. საზოგადოება არ არის ვალდებული, რომ წარადგინოს:

- a. რეგისტრაციის, მოქალაქეობის ანდა მუდმივი საცხოვრებლის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა გარკვეული სახის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის წარდგენა შესაძლოა საჭირო იყოს იმის განსაზღვრად, წარადგინა თუ არა საზოგადოების სხვადასხვა წევრმა მოსაზრებები, ანდა ზოგიერთმა ინდივიდმა თუ ორგანომ გამოხატა თუ არა მოსაზრება რამდენჯერმე პროცედურის განმავლობაში (მიუხედავად იმისა, რომ მათ ამის საშუალება უნდა ჰქონდეთ);

⁶⁵ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6, პარაგრაფი 7.

⁶⁶ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6, პარაგრაფი 3.

⁶⁷ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 3, პარაგრაფი 2.

⁶⁸ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/37 კომუნიკაცთან დაკავშირებით, ბელარუსის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2011/11/Add.2), პარაგრაფები 69 და 70.

b. ინფორმაციის წყაროს ანდა თავისი მოსაზრებების გამართლებისა თუ დასაბუთების მტკიცებულებები⁶⁹. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ მოითხოვს, რომ საზოგადოებამ წარმოადგინოს მტკიცებულებები ან განმარტოს თავისი შეხედულებები, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა წახალისონ საზოგადოების წევრები, რათა მათ ჰქონდეთ არგუმენტები მოხალისეობრივ საფუძველზე და აუხსნან, თუ როგორ დაეხმარება მათი არგუმენტაცია ხელისუფლების ორგანოებს საზოგადოების შენიშვნებისა და მოსაზრებების გაგებაში.

წერილობითი შენიშვნები

111. უნდა განისაზღვროს წერილობით შენიშვნების წარდგენის პროცედურები, რაც შესაძლებელს გახდის, რომ აღნიშნული ტიპის შენიშვნების წარდგენა მოხდეს:

- a. საზოგადოების ნებისმიერი წევრისაგან და არა მხოლოდ იმათგან, ვისაც ხელისუფლების ორგანო ჩათვლის დაინტერესებულ საზოგადოებად;
- b. საზოგადოების მონაწილეობისათვის გამოყოფილი მთელი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის, ნებისმიერი ტიპის საჯარო შეხვედრის, მოსმენის თუ გამოკვლევის მიმდინარეობამდე, მიმდინარეობისას და მას შემდეგ⁷⁰;
- c. ელექტრონული ფორმატით, ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული ზედმეტი ფორმალობების გარეშე;
- d. ზეპირად. როდესაც საზოგადოების წევრს წერა არ შეუძლია, ან რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია წერილობითი სახით თავისი მოსაზრებების წარდგენა, მისი შენიშვნები შესაძლოა მიღებულ იქნეს ზეპირსიტყვიერად, ხოლო ჩანაწერის შენახვა უნდა მოხდეს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით;

112. საზოგადოებამ შენიშვნები, ინფორმაცია, ანალიზი ანდა მოსაზრებები შესაძლოა წარუდგინოს გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ ხელისუფლების ორგანოს ანდა სათანადო დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც ხელისუფლების მითითებით მოქმედებს. თუკი გამოიყენება ეს უკანასკნელი მიდგომა, აღნიშნულმა ორგანომ თავი უნდა მოუყაროს შემოსულ ყველა შენიშვნას და ა.შ. და ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს წარუდგინოს სრული ფორმით და არა ზოგადი შეჯამების სახით⁷¹. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, შენიშვნების წარმდგენ საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ეცნობოს დროის მოკლე მონაკვეთში, რომ შენიშვნები მიღებულია და საჯაროდაა ხელმისაწვდომი ხელისუფლების ორგანოს ვებგვერდზე. მიღებული შენიშვნების ხელისუფლების ორგანოს ვებგვერდზე განთავსება შესაძლოა ჩაითვალოს შენიშვნების ჩაბარების დამადასტურებელ საბუთად, სადაც ეს შესაძლებელია.

113. თუკი ხელისუფლების ორგანო უზრუნველყოფს კითხვარების დაგზავნას, რათა საზოგადოებას დაეხმაროს შენიშვნების წარდგენაში, ცხადი მითითება უნდა გაკეთდეს, რომ საზოგადოებას ასევე შეუძლია შენიშვნების წარდგენა თავისთვის მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ თავად კითხვარი ისე იყოს შედგენილი, რომ მან არ შეზღუდოს საზოგადოება საკუთარი შეხედულებების სრულად და თავისუფლად გამოხატვაში.

ონლაინკონსულტაციები

114. თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო ხელმისაწვდომობასთან ერთად, ონლაინკონსულტაციის ტექნიკებმა ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებას თავისი ჩართულობის მნიშვნელობისა და ხარისხის უკეთ გააზრებაში. ონლაინკონსულტაციებმა შესაძლოა დამატების სახით შეავსოს, თუმცა სრულად არ უნდა ჩაანაცვლოს პირისპირ საზოგადოებრივი შეხვედრები და მოსმენები.

115. ჯეროვნად ჩატარებული ონლაინკონსულტაციები უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ საკითხებს:

- a. კონსულტაციისთვის დაინტერესებული საზოგადოების იდენტიფიკაციას;
- b. კონსულტაციის პროცედურების, მისი როლისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მისი ზეგავლენის შესახებ სრულ ახსნა-განმარტებას;

⁶⁹ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2010/59 კომუნიკსთან დაკავშირებით, ყაზახეთის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2013/9), პარაგრაფები 58 და 59.

⁷⁰ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/44 კომუნიკსთან დაკავშირებით, ბელარუსის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2011/6/Add.1), პარაგრაფი 82.

⁷¹ აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/44 კომუნიკსთან დაკავშირებით, ბელარუსის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2011/6/Add.1), პარაგრაფი 64.

- c. წვდომას ყველა რელევანტურ დოკუმენტზე;
- d. ადეკვატურ ვადას დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან კონსულტაციებში წვლილის შესატანად;
- e. შეტანილი წვლილის ანალიზს და მის გამოქვეყნებას, დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან შემდგომი კონტრიბუციის შესაძლებლობითურთ;
- f. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ონლაინკონსულტაციების შედეგების ჩართვის მექანიზმს;
- g. საზოგადოებისათვის მოსაზრებების წარდგენის ალტერნატიული ვარიანტების შესაძლებლობას.

ზეპირი მენიშვნები

116. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, უნდა განისაზღვროს ცხადი კრიტერიუმები, როდის გაიმართება საჯარო მოსმენები და გამოკითხვები. როდესაც ეს გადაწყვეტილება მიიღება ცალკეული შემთხვევიდან გამომდინარე, წინასწარი შეფასების (სკრინინგის) პროცესში, საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს გადაწყვეტილების არგუმენტაციაზე. საჯარო მოსმენების თუ გამოკითხვების საჭიროების განსაზღვრის კრიტერიუმები შეიძლება მოიცავდეს:

- a. აქტივობის მასშტაბს ან/და მის პოტენციურ გავლენას;
- b. მოსახლეობის ზომას, რომელზეც გავლენა ექნება აქტივობას;
- c. აქტივობის წინააღმდეგობრივ თუ რეზონანსულ ხასიათს, თუმცა, იმის აღიარებით, რომ მის შესახებ შესაძლოა ცნობილი არ იყოს მანამ, სანამ საზოგადოებას არ მიეცემა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება;
- d. მოწმეთა გამოკვლევის საჭიროებას ან საზოგადოებისთვის თავისი სათქმელის დაფიქსირების შესაძლებლობას;
- e. ჯვარედინი გამოკითხვის შესაძლებლობის ან საპირისპირო მოსაზრებების გამოთქმის საჭიროებას; დაინტერესებული საზოგადოების მოთხოვნას, გაიმართოს საჯარო მოსმენა ან გამოკითხვა.

117. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, რეკომენდებულია, რომ გაიმართოს ერთზე მეტი საჯარო მოსმენა ან გამოკითხვა, როდესაც ეს საჭიროა:

- a. აქტივობის გეოგრაფიული მასშტაბიდან გამომდინარე (მაგ. როდესაც შეიძლება, რომ შემოთავაზებულ აქტივობას ტრანსსასაზღვრო გავლენა ჰქონდეს, საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, შესაძლოა მოსმენები გაიმართოს შემოთავაზებული აქტივობის სავარაუდო გავლენის ქვეშ მოქცეულ თითოეულ ქვეყანაში);
- b. დაინტერესებული საზოგადოების მასშტაბის ან ადგილმდებარეობის გამო;
- c. პირველი საჯარო მოსმენის შემდეგ, ახალი ფაქტებისა თუ მტკიცებულებების გაჩენის გამო.

118. რეკომენდებულია, რომ საჯარო მოსმენისა თუ გამოკითხვის პროცედურები:

- a. გახმაურდეს მოსმენამდე საკმარისად ადრე, რათა საზოგადოებამ შეძლოს მომზადება და ეფექტიანი მონაწილეობა. ამას იგულისხმება ფორმატი, დღის წესრიგი და მითითებული ვადები. საზოგადოება წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული პროცედურებში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით და ამ ცვლილებებმა არ უნდა შეუქმნას დამატებითი ბარიერები საზოგადოების მონაწილეობას;
- b. იყოს ცხადი და გამჭვირვალე მოსმენის მიზნების, ფორმატისა და გადაწყვეტილების მიღებაზე მისი სავარაუდო გავლენის შესახებ;
- c. იყოს ცხადად განმარტებული უშუალოდ მოსმენის თუ გამოკითხვის დაწყებისას;
- d. იყოს ღია საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის, რომელსაც სურს დასწრება და ყველა მონაწილეს აძლევდეს აზრის დაფიქსირების საშუალებას;
- e. ორგანიზებული იყოს მოსახერხებელ და საზოგადოებისათვის კულტურულად მისაღებ ადგილას, გარემოში, რომელიც მიზნების შესაფერისია, შემოთავაზებული აქტივობის ტიპის, ზომის, ადგილმდებარეობის, კომპლექსურობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების საჭიროებების გათვალისწინებით. როდესაც შესაძლებელია, ოთახის ადგილმდებარეობა და ინტერიერი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ქმნიდეს თანასწორობისა და ღიაობის განცდას, ისევე როგორც კეთილგანწყობილ გარემოს თითოეული ადამიანისათვის, რათა მათ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, მათ შორის, მათთვისაც, ვისაც უჭირს სიტყვით გამოსვლა ან ვინც საჯარო გამოსვლებს არ არის მიჩვეული. მაგალითად,

ნაცვლად ტრადიციული ამდლებული სცენისა, პროექტის ინიციატორებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, სადაც საზოგადოება აუდიტორიაშია განთავსებული, რეკომენდებულია ერთდონიანი დასაჯდომი სივრცის შექმნა, როგორცაა წერიული ფორმით სკამების განთავსება, სადაც უზრუნველყოფილია ყველა მონაწილეს შორის თანასწორობა და ღიაობა;

f. იყოს ორგანიზებული ისეთ დროს, რომელიც ხელსაყრელია დაინტერესებული საზოგადოების დასწრებისათვის (მაგ. სამუშაო საათების შემდგომ ან შაბათ-კვირას), როდესაც ეს შესაძლებელია და რომელიც არ ემთხვევა დასასვენებელ სეზონებს;

g. თუკი საჭიროა, შეიცავდეს კონტროლის სათანადო მექანიზმებს, რათა მოხერხდეს პროექტის განვითარებაზე პასუხისმგებელი, პრომოუტერი ან პროექტით დაინტერესებული პირების მხრიდან საზოგადოების წევრების მოსყიდვის საფრთხის თავიდან აცილება, რომ მოსმენებისას მხარი დაუჭირონ მათ პროექტს;

h. უზრუნველყოფდეს საკმარის დროს პროცესში ჩართული ყველა მნიშვნელოვანი დაინტერესებული ჯგუფის სიტყვით გამოსვლისათვის;

i. უზრუნველყოფდეს სათანადო ბალანსს, მნიშვნელოვანი წინაპირობების შესახებ ინფორმაციის შესასწორებლად გამოყოფილ დროსა და შეკითხვებისა და დისკუსიისათვის გამოყოფილ დროს შორის;

შესაძლებლობას აძლევდეს საზოგადოებას, დააფიქსიროს პოზიცია იურიდიული წარმომადგენლის ყოლის ვალდებულების გარეშე;

g. ქმნიდეს შესაძლებლობებს საზოგადოებისათვის, გაავრცელოს წერილობითი განცხადებები და დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებების მეშვეობით;

k. მოითხოვდეს ყველა იმ მონაწილის რეგისტრირებას, ვინც უკვე მიიღო მონაწილეობა მასში;

l. სიტყვით გამოსვლისთვის გამოყოფილი დროის დაკონკრეტებას;

m. ზღუდავდეს მოსმენების ხანგრძლივობას არაუმეტეს დღეში 8 საათისა, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ სათანადო ყურადღება დაეთმოს თითოეულ გამომსვლელს. ამდენად, თუკი საჭირო გახდება, მოსმენა უნდა გაგრძელდეს რამდენიმე დღის განმავლობაში.

119. საჯარო მოსმენები და გამოკითხვები წარმოადგენს პლატფორმას, რათა საზოგადოებას მიეცეს მოსაზრებების, საწუხარის გამოხატვისა და ინფორმაციის გადაცემის ზეპირი საშუალება. ეს ცხადად უნდა აისახოს საუბრისათვის გამოყოფილ დროში: დროის უმეტესი ნაწილი უნდა დაეთმოს საზოგადოებას მოსაზრებების დასაფიქსირებლად, და არა პროექტის ინიციატორებს, პრომოუტერებს, კონსულტანტებს თუ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს.

120. საჯარო მოსმენები თუ გამოკითხვები:

a. შეიძლება ჩაიწეროს და, თუ შემოთავაზებული აქტივობის ხასიათიდან ან მნიშვნელობიდან გამომდინარე გამართლებულია, შეიძლება გადაიცეს ტელევიზიების პირდაპირი ეთერით ან ინტერნეტში;

b. გარდა ფიზიკური მოსმენებისა, თუკი შესაძლებელია, დამატებით უნდა წარიმართოს აუდიო- და ვიდეოკონფერენციის ტექნოლოგიების მეშვეობით, რათა მოხერხდეს საზოგადოების იმ წარმომადგენელთა მონაწილეობა, ვისაც მოსმენებზე ფიზიკური დასწრება არ შეუძლია.

121. იმისათვის, რომ ხელისუფლების ორგანოებმა შეძლონ სათანადო მომსახურების გაწევა, საჯარო მოსმენების პროცედურებმა შესაძლოა გაითვალისწინოს წინასწარი რეგისტრაცია მონაწილეებისთვის, ვისაც სურს:

a. სიტყვით გამოსვლა;

b. ტექნიკური საშუალებების გამოყენება;

c. წერილობითი მასალების დარიგება;

d. მტკიცებულების წარდგენა.

e. თუმცა, აუცილებელია იმაზე ზრუნვა, რომ წინასწარი რეგისტრაცია არ იქცეს ბარიერად მონაწილეობისათვის (მათ შორის, რეგისტრაციის ფორმა შესაძლოა ბარიერად იქცეს მათთვის, ვინც წერა-კითხვა არ იცის) და, რამდენადაც პრაქტიკულად შესაძლებელია, მონაწილეებს, რომლებიც წინასწარ არ დარეგისტრირებულან, მაინც უნდა შეეძლოთ სიტყვით გამოსვლა.

122. საჯარო მოსმენისა თუ გამოკითხვის ოქმები შეიძლება რომ მოგვიანებით გახდეს ხელმისაწვდომი მათთვის, ვინც ზეპირსიტყვიერად წარდგა, რათა გადამოწმდეს, რომ მისი შენიშვნები სწორად იქნა გაშიფრული. თუკი ტექნიკური საშუალებები და ენასთან დაკავშირებული საკითხები ამის საშუალებას იძლევა, საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა ოქმებისა თუ ტრანსკრიპტების მომზადება მოსმენების მიმდინარეობისას, ხოლო ყოველი დღის ჩანაწერის ოქმი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს რაც შეიძლება სწრაფად, იდეალურ შემთხვევაში იმავე დღის ბოლოს.

123. საჯარო მოსმენებისა და გამოკვლევების დამატებად, თუმცა არა მათ ალტერნატივად, შესაძლებელია საზოგადოების მონაწილეობის სხვა ინტერაქტიული ფორმების გამოყენება (მაგ. არაფორმალური საჯარო დისკუსიები და სემინარები, ორმხრივი კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებსა და რელევანტურ ექსპერტებთან, მართული ჯგუფური პროცესები, კონსენსუსზე ორიენტირებული კონფერენციები, მრგვალი მაგიდის ფორმატის დისკუსიები, დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგები და მოქალაქეებისგან შექმნილი ჟიურები, მულტივარიანტული გადაწყვეტილებების მიღება, ექსპერტული გარემოსდაცვითი შეფასებები საზოგადოების მიერ და ა.შ.).

J. საზოგადოების მონაწილეობის შედეგების ჯეროვანი გათვალისწინება – ვალდებულების ფარგლები (მუხლი 6, პარაგრაფი 8)

124. საკანონმდებლო ჩარჩოში ცხადად უნდა იყოს გაწერილი ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ვალდებულება, ჯეროვნად გაითვალისწინოს საზოგადოების მონაწილეობის შედეგები. საკმარისად ვერ ჩაითვლება, თუკი საზოგადოების მონაწილეობის შედეგების ჯეროვანი გათვალისწინების ვალდებულება მხოლოდ პროექტის განვითარებაზე ზედამხედველს, ხოლო, როდესაც რელევანტურია, გზშ-ის და OVOS კონსულტანტებს დაეკისრება⁷².

125. ვინაიდან კონვენცია „საზოგადოებას“ ანიჭებს მოსაზრებების წარდგენის უფლებას⁷³, საზოგადოების მონაწილეობის შედეგების ჯეროვნად გათვალისწინების ვალდებულება თანაბრად უნდა გავრცელდეს შენიშვნებზე და ა.შ., რომელსაც „საზოგადოება“ და „დაინტერესებული საზოგადოება“ წარადგენს.

126. საზოგადოების შენიშვნების, ინფორმაციის, ანალიზისა და მოსაზრებების გათვალისწინების პროცესი უნდა წარიმართოს სამართლიანად და დისკრიმინაციის გარეშე⁷⁴.

127. თუკი წარდგენილი შენიშვნები, ინფორმაცია, ანალიზი ან მოსაზრება თავსდება რელევანტური გადაწყვეტილების დიაპაზონსა და ხელისუფლების რელევანტური ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულმა ორგანომ სერიოზულად უნდა განიხილოს ყოველი მიღებული ასეთი შენიშვნა და ა.შ., იმის მიუხედავად, ისინი:

- a. მიზნად ისახავენ თუ არა პირადი ან საჯარო ინტერესის დაცვას;
- b. უკავშირდება თუ არა გარემოსდაცვით საკითხებს (მაგ. საზოგადოებას აქვს უფლება, წარადგინოს ეკონომიკური ან სხვა ტიპის ანალიზი, იმის მიუხედავად, უკავშირდება თუ არა იგი გარემოსდაცვით საკითხებს);
- c. დასაბუთებულია თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კანონისმიერი მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებამ წარადგინოს დასაბუთება, უნდა მოხდეს საზოგადოების წევრების წახალისება, რომ ასე მოიქცნენ, რამდენადაც აღნიშნული დასაბუთება შესაძლოა დაეხმაროს ხელისუფლების ორგანოებს, რომ უკეთ გაიაზრონ წარდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები.

128. შენიშვნების ჯეროვან გათვალისწინებას შესაძლოა შედეგად მოჰყვას:

- a. შემოთავაზებული გადაწყვეტილების გაუმჯობესება, საზოგადოების მხრიდან მიღებული შენიშვნების შედეგად;
- b. დამატებითი ზომების მიღება, მაგალითად, შემოთავაზებული გადაწყვეტილების სავარაუდო მავნე ზეგავლენის შემსუბუქება და მონიტორინგი;
- c. საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით ალტერნატიული ვარიანტის შერჩევა;

⁷² იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/37 კომუნიკაცთან დაკავშირებით, ბელარუსის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2011/11/Add.2), პარაგრაფი 96.

⁷³ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6, პარაგრაფი 7.

⁷⁴ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/44 კომუნიკაცთან დაკავშირებით, ბელარუსის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2011/6/Add.1), პარაგრაფი 84.

შემოთავაზებულ გადაწყვეტილებაზე სრულად უარის თქმა.

129. ზოგიერთ ქვეყანას შემუშავებული აქვს ინსტრუქციები, თუ რას ნიშნავს „ჯეროვანი გათვალისწინება“ პრაქტიკაში. მაგალითად, 2008 წელს, ავსტრიის მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა საზოგადოების მონაწილეობის სტანდარტები ხელისუფლების ორგანოების დასახმარებლად, რომელიც, მათ შორის, აღნიშნავს, რომ:

„გათვალისწინება“ ტექნიკური თვალსაზრისით ნიშნავს, რომ ეცნობი განსხვავებულ არგუმენტებს, რომელიც წარმოდგენილია კონსულტაციების დროს და, თუ საჭიროა, განიხილავ მათ მონაწილეებთან, აფასებ მათ ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისთვის თვალის მიდევნება და საშუალებას აძლევ მათ, რომ გახდნენ განხილვის ნაწილი, როდესაც შენს პოლიტიკას, გეგმას, პროგრამას თუ საკანონმდებლო ინსტრუმენტს შეიმუშავებ⁷⁵.

საზოგადოების მონაწილეობის შედეგების ჯეროვანი გათვალისწინების მტკიცებულება

130. საზოგადოების მონაწილეობის შედეგების ჯეროვანი გათვალისწინების მტკიცებულებასთან დაკავშირებით, კონვენციის მუხლი 6, პარაგრაფი 8-ში მოქცეული „ჯეროვანი გათვალისწინების“ ვალდებულება განხილული უნდა იყოს მუხლი 6, პარაგრაფი 9-ში მოქცეული ვალდებულების შუქზე – „საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს გადაწყვეტილების ტექსტი, იმ არგუმენტაციასა და მოსაზრებებთან ერთად, რომელსაც იგი ეყრდნობა“. ეს გულისხმობს, რომ განმარტებითი დოკუმენტი, რომელიც თან ახლავს გადაწყვეტილებას, უნდა მოიცავდეს განხილვის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზება და მისი შედეგების გათვალისწინება. ამიტომაც, რეკომენდებულია, რომ საკანონმდებლო ჩარჩომ გაითვალისწინოს ცხადად ჩამოყალიბებული მოთხოვნები, რომ განმარტებითმა ბარათმა უნდა მოიცვას, სულ მცირე:

- a. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების აღწერა და მათი საფეხურები;
- b. ყველა მიღებული შენიშვნა;
- c. როგორ აისახა მიღებული შენიშვნები გადაწყვეტილებაში⁷⁶, ცხადი მითითებით იმაზე, თუ რომელი შენიშვნა იქნა გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილებაში, სად და რატომ, და რომელი არ იქნა გათვალისწინებული და რატომ.

131. განმარტებითი ბარათი უნდა გამოქვეყნდეს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

132. განმარტებითი ბარათის მომზადების პროცესის გასამარტივებლად, ხელსაყრელი იქნება ცხრილის შექმნა, სადაც დოკუმენტირებული იქნება მიღებული შენიშვნები და ის, თუ როგორ შეცვალა ამ შენიშვნებმა სამუშაო დოკუმენტი. თუკი ზოგიერთი შენიშვნის გათვალისწინება არ მოხდა, აღნიშნულ ცხრილში ასევე უნდა შევიდეს მიზეზები, რის გამოც მათი უგულებელყოფა მოხდა. ეს განსაკუთრებით ხელსაყრელი მეთოდია, როდესაც დიდი რაოდენობის შენიშვნები მიიღება, რადგან შესაძლებელი ხდება მსგავსი არგუმენტების ჯგუფებად დახარისხება ცხრილში. თუმცა, ძალისხმევის გაღება შენიშვნების ცხრილის მოსამზადებლად მაშინ, როდესაც აღნიშნული შენიშვნები რეალურად ვერაფერს ცვლის გადაწყვეტილების სამუშაო დოკუმენტში, ვერ ჩაითვლება საზოგადოების მონაწილეობის შედეგების ჯეროვანი გათვალისწინებად.

133. ცალკეული შემთხვევების გარემოებებიდან გამომდინარე, ადეკვატური მტკიცებულების არარსებობა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ იქნა საზოგადოების მონაწილეობის შედეგები გათვალისწინებული, შესაძლოა განხილული იყოს როგორც ჯეროვანი გათვალისწინებასთან დაკავშირებით კანონის მოთხოვნის მნიშვნელოვანი დარღვევა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შესაბამისი გადაწყვეტილების გაუქმება.

134. გარდა წერილობითი დოკუმენტებისა, რომლებიც ადასტურებენ, თუ როგორ მოხდა შენიშვნების გათვალისწინება, იმ გადაწყვეტილებების შემთხვევაში, რომლებსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გარემოზე ან მოსახლეობის დიდ ნაწილზე, საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, სადაც ეს შესაძლებელია, ხელისუფლების ორგანოებმა შესაძლოა გამართონ შეხვედრა მათთან, ვინც შენიშვნები წარადგინა, რათა მოხდეს შენიშვნების განხილვა და იმის

⁷⁵ იხ. ავსტრიის ფედერალური კანცელარიისა და ავსტრიის აგროკულტურის, მეტყვეობის, გარემოსა და წყლების მართვის სამინისტროს სტანდარტები საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით, მიღებული ავსტრიის მინისტრთა საბჭოს მიერ 2008 წლის 2 ივლისს, გვ. 13; ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unecce.org/env/pp/ppeg/Austria_pp_standards.pdf

⁷⁶ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2008/24 კომუნიკესთან დაკავშირებით, ესპანეთის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2009/8/Add.1), პარაგრაფი 100.

ახსნა, თუ რომელი შენიშვნები იქნება გათვალისწინებული, რომელი არა და რატომ. უნდა შედგეს შეხვედრის ოქმები და იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

K. მყისიერი შეტყობინება და წვდომა გადაწყვეტილებაზე (მუხლი 6, პარაგრაფი 9)

135. საზოგადოების მონაწილეობის საკანონმდებლო ჩარჩო უნდა მოიცავდეს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების ცხად ვალდებულებებს, რომ:

- a. მოახდინონ საზოგადოების მყისიერი ინფორმირება მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;
- b. მოახდინონ საზოგადოების მყისიერი ინფორმირება, თუ როგორ შეიძლება მოიპოვონ წვდომა როგორც გადაწყვეტილების ტექსტზე, ასევე არგუმენტებსა და მოსაზრებებზე, რომლებსაც აღნიშნული გადაწყვეტილება ეყრდნობა;
- c. მოაზრადონ განცხადება, სადაც შეჯამებული იქნება არგუმენტები და მოსაზრებები, რომლებზე დაყრდნობითაც იქნა გადაწყვეტილება მიღებული;
- d. უზრუნველყონ გადაწყვეტილების ტექსტის, არგუმენტებისა და მოსაზრებების ბარათთან ერთად, რომელსაც ის ეყრდნობა, საჯარო ხელმისაწვდომობა ხანგრძლივი დროით⁷⁷.

136. მუხლი 6, პარაგრაფი 9-ით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ტექსტის საჯარო ხელმისაწვდომობის მოთხოვნები მოიცავს:

- a. მიღებულ გადაწყვეტილებას;
- b. შემდგომი ადმინისტრაციული ან იურიდიული პროცედურებით გამოწვეულ ცვლილებებს გადაწყვეტილებაში;
- c. თითოეულ პირობას, რომელიც შედის გადაწყვეტილებაში ან თან ერთვის მას;
- d. გადაწყვეტილების ყველა დანართს, მათი არსებობის შემთხვევაში.

137. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია უტოვებს გარკვეულ დისკრეციას მათ, ვინც შეიმუშავებს საკანონმდებლო ჩარჩოს გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების მყისიერი ინფორმირების „შესაფერისი პროცედურების“ შესარჩევად, დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირების მეთოდები, რომლებიც კონვენციის მუხლი 6, პარაგრაფი 2-ში გამოიყენება, შესაძლოა გამოყენებული იყოს ამ შემთხვევაშიც, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მუხლი 6, პარაგრაფი 9-ის ფარგლებში, ინფორმირების უფლება ენიჭება „საზოგადოებას“ და არა მხოლოდ „დაინტერესებულ საზოგადოებას“ (იხ. რეკომენდაციები მუხლი 6, პარაგრაფი 2-ის შესახებ ზემოთ).

138. მუხლი 6, პარაგრაფი 9 არ მოითხოვს, რომ თავად გადაწყვეტილების ტექსტი მასმედიაში გამოქვეყნდეს. თუმცა, იგი მოითხოვს, რომ მოხდეს საზოგადოების მყისიერი ინფორმირება გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას გადაწყვეტილების ტექსტის მოპოვება, არგუმენტებსა და მოსაზრებებთან ერთად, რომელსაც ის ეყრდნობა⁷⁸. გადაწყვეტილებისა და მასზე წვდომის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას, რეკომენდებულია მასმედიის ისეთი ფორმატის გამოყენება, რომელიც ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული დაინტერესებულ საზოგადოებაში.

139. საბოლოო გადაწყვეტილების ნახვასთან დაკავშირებით, საუკეთესო პრაქტიკა იქნებოდა, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს ყველგან, სადაც საზოგადოებას ექნებოდა წვდომა გადაწყვეტილების მისაღებად რელევანტური ინფორმაციის შესწავლაზე (იხ. პარაგრაფი 92 ზემოთ). გარდა ამისა, საბოლოო გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ელექტრონულად, მაგალითად, როგორც პროექტის განვითარებაზე პასუხისმგებლის, ასევე ხელისუფლების ორგანოს ვებგვერდების თვალსაჩინო, საჯაროდ ხელმისაწვდომ და მომხმარებელზე მორგებულ ნაწილში.

140. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, გადაწყვეტილება ანდა მისი ონლაინ-ვერსიის ბმული შესაძლოა გაეზავნოს საზოგადოების ყველა წევრს, ვინც მანამდე წერილობით თუ ზეპირად მონაწილეობა მიიღო საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებში და დატოვა საკონტაქტო ინფორმაცია.

⁷⁷ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/37 კომუნიკაციასთან დაკავშირებით, ბელარუსის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2011/11/Add.2), პარაგრაფი 98.

⁷⁸ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2006/16 კომუნიკაციასთან დაკავშირებით, ლიეტუვის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2008/5/Add.6), პარაგრაფი 81.

141. მხოლოდ და მხოლოდ ის ფაქტი, რომ საზოგადოებას შეიძლება წვდომა ჰქონდეს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემოთავაზებულ აქტივობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, ვერ აკმაყოფილებს კონვენციის მუხლი 6, პარაგრაფი 9-ში გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თუკი არ მოხდება საზოგადოების მყისიერი და ეფექტიანი ინფორმირება ამ ფაქტის შესახებ⁷⁹.

142. ეროვნულ კანონმდებლობაში რა ვადაც არ უნდა იყოს მითითებული გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის, ის უნდა იყოს გონივრული და ითვალისწინებდეს მუხლი 9, პარაგრაფი 2-ით დადგენილ ვადას განხილვის პროცედურებისათვის. უნდა არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ განხილვის პროცედურების ინიცირების ვადები გადაიხედოს, თუკი დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ მას არ მიუღია შეტყობინება ხელისუფლების ორგანოს შევდომის ან რაიმე ფორსმაჟორული სიტუაციის გამო.

143. გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას უნდა მიეწოდოს გადაწყვეტილებასთან ერთად⁸⁰.

L. მე-6 მუხლით გათვალისწინებული აქტივობის სამუშაო პირობების გადახედვა და განახლება (მუხლი 6, პარაგრაფი 10)

144. როდესაც ხელისუფლების ორგანო განაახლებს ან გადახედავს მუხლი 6, პარაგრაფი 1-ით გათვალისწინებული აქტივობის სამუშაო პირობებს, პირველ რიგში, მან უნდა გადაწყვიტოს, მართებულია თუ არა მუხლი 6, პარაგრაფი 2-დან 9-ის ჩათვლით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- a. აქტივობის ხასიათი და მასშტაბი, გარემოზე სავარაუდო ზეგავლენა და საზოგადოების უკმაყოფილების დონე;
- b. კონვენციის მიზნები, რითაც ხდება იმის აღიარება, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობა ხელს უწყობს გადაწყვეტილებების ხარისხსა და იმპლემენტაციას, წვლილი შეაქვს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, საზოგადოებას აძლევს საკუთარი საწუხარის გამოხატვის საშუალებას, ხელს უწყობს ხელისუფლების ორგანოებს, რომ სათანადოდ გაითვალისწინონ ეს საწუხარი, აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას და განამტკიცებს გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისადმი საზოგადოებრივ მხარდაჭერას⁸¹.

M. გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებთან (გმო) დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობა (მუხლი 6, პარაგრაფი 11 და მუხლი 6 bis)

145. მე-6 მუხლთან დაკავშირებული რეკომენდაციების გამოყენება უნდა მოხდეს აუცილებელი ცვლილებების გათვალისწინებით და გმო-ს შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის შესაბამისად მუხლი 6, პარაგრაფი 11-ისა და მუხლი 6 bis-ის ფარგლებში⁸².

146. საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, რომ საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, მუხლი 6 bis-ის მითითებები გამოყენებული იყოს არა მხოლოდ იმ გადაწყვეტილებების მისაღებად,

⁷⁹ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2004/8 კომუნიკსთან დაკავშირებით, სომხეთის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/C.1/2006/2/Add.1), პარაგრაფი 31.

⁸⁰ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 9, პარაგრაფი 5. ასევე იხ. ესპოოს კონვენციის პრაქტიკული განხორციელების სახელმძღვანელო (ECE/MP.EIA/8) (ორიგინალი ვერსია), პუნქტი 10.2, საბოლოო გადაწყვეტილება, გვ. 25.

⁸¹ იხ. აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტის დასკვნები ACCC/C/2009/41 კომუნიკსთან დაკავშირებით, სლოვაკეთის მიერ კონვენციის შესრულების თაობაზე (ECE/MP.PP/2011/11/Add.3), პარაგრაფი 56.

⁸² რედაქტორის შენიშვნა: მუხლი 6 bis, რომელიც შედის გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გადაწყვეტილებაში II/1 (გმო შესწორება) (ECE/MP.PP/2005/2/Add.2, დანართი), ჯერ არ არის შესული ძალაში.

ნებადართული უნდა იყოს თუ არა გმო-ს მიზანმიმართული გავრცელება გარემოში ან ბაზარზე განთავსება, არამედ, ასევე, რამდენადაც ამის საჭიროება არსებობს, იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებითაც, რომელიც შეეხება გმო-ს შეზღუდულ გამოყენებას⁸³.

147. როდესაც ხდება მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება და იმპლემენტაცია, გმო-სთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის ხელშესაწყობად, უნდა გვახსოვდეს, რომ კონვენციის დანართი I bis-ში⁸⁴ ჩამოთვლილი გამონაკლისები არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი და შეიძლება შევიდეს მარეგულირებელ ჩარჩოში და შეიძლება არა, საკუთარი სურვილის შესაბამისად⁸⁵.

148. საზოგადოებას შეუძლია, რომ წარადგინოს შენიშვნები, ინფორმაცია, ანალიზი ანდა მოსაზრებები, რასაც მიიჩნევს რელევანტურად გმო-ს მიზანმიმართული გავრცელებისთვის, მათ შორის, ბაზარზე განთავსებისთვის, ნებისმიერი დასაშვები ფორმით.

149. გმო-სთან დაკავშირებულ საკითხებში საზოგადოების ცნობიერებისა და მონაწილეობის ხარისხის ასამაღლებლად, გარდა საჯარო მოსმენებისა და გამოკითხვებისა, საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს სხვა მექანიზმების გამოყენება, რომლებიც შესაძლებელს გახდის, რომ საზოგადოებას მოუსმინონ, მაგალითად, მრგვალი მაგიდის ფორმატის დისკუსიები, საკონსულტაციო ორგანოები, რომელშიც საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობენ, დანტირესებულ მხარეთა დიალოგები, მოქალაქეებისაგან დაკომპლექტებული ჟიურები და ა.შ.

150. ყურადღება უნდა დაეთმოს იმის უზრუნველყოფასაც, რომ მუხლი 6, პარაგრაფი 11-ით და მუხლი 6 bis-ით გათვალისწინებული, გმო-სთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის ხელშესაწყობის ზომები თანხმობაში მოდიოდეს ეროვნული ბიოუსაფრთხოების ჩარჩოსა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის კარტახენის ბიოუსაფრთხოების პროტოკოლის 23-ე მუხლის შემდგომ იმპლემენტაციასთან.

საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული გეგმები, პროგრამები და პოლიტიკები (მუხლი 7)⁸⁶

A. ზოგადი საკითხები

151. გეგმები, პროგრამები და პოლიტიკები ერთმანეთისაგან განსხვავდება ცალკეული საკითხების შესახებ მისაღები გადაწყვეტილებების ბუნებით, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია, როდესაც ხდება მასთან დაკავშირებული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების შემუშავება და განხორციელება. მაგალითად:

a. საზოგადოების წევრებისათვის შესაძლოა შედარებით რთული იყოს გეგმის, პროგრამის ან პოლიტიკის რელევანტურობის დაკავშირება საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ასეთ დროს, ხელისუფლების ორგანოებისთვის შესაძლოა ხელსაყრელი იყოს, რომ განმარტება გააკეთოს აღნიშნულ პრაქტიკულ რელევანტურობასთან დაკავშირებით (მაგ. საგაზეთო სტატიების მეშვეობით, სადაც ახსნილი იქნება შედეგები, რომლებიც შემოთავაზებული გეგმის განხორციელებას მოჰყვება და ა.შ.);

b. გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკების მომზადებისას შესაძლოა უფრო მეტი ბუნდოვანება გაჩნდეს, ვიდრე კონკრეტული აქტივობის ნებართვის გაცემის განხილვისას და, შესაბამისად, შეიძლება, რომ უფრო მეტი ალტერნატივა ჩანდეს დიაპაზონზე. აღნიშნული ბუნდოვანება საზოგადოებას დიდი სიფრთხილით უნდა განემარტოს. შეიძლება საჭირო იყოს ალტერნატივების განხილვის რამდენიმე ეტაპი, რომელთაგან თითოეულის შემთხვევაში, სასარგებლო იქნება საზოგადოების მონაწილეობა;

⁸³ გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე წვდომის სახელმძღვანელო (MP.PP/2003/3), პარაგრაფი 3.

⁸⁴ რედაქტორის შენიშვნა: ანალოგიურად, დანართი I bis, რომელიც ასევე შედის გმო შესწორებაში, ჯერ არ არის ძალაში შესული.

⁸⁵ იხ. დანართი I bis, პარაგრაფი 2.

⁸⁶ ამ ნაწილში შესული ზოგიერთი რეკომენდაცია ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც იდენტიფიცირებულია შემდეგ გამოცემაში: გარემოს დაცვის, ტრანსპორტისა და რეგიონული დეპარტამენტი, გარემოსთან დაკავშირებული ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობა: ორჰუსის კონვენციის ნიუკასლის სამუშაო შეხვედრის საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო, ლონდონი, გარემოს დაცვის, ტრანსპორტისა და რეგიონალური დეპარტამენტი, (2000).

c. შედარებით დიდი მასშტაბის გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკებისათვის, პოტენციური „საზოგადოება“ შესაძლოა ზედმეტად ბევრ ადამიანს მოიცავდეს. ამიტომაც, ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ, რომ ყურადღებით განიხილონ, თუ როგორ დაუკავშირდნენ მათ და ჩართონ გადაწყვეტილების მიღებაში;

d. სხვა გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკების (მაგ. რომლებიც გათვლილია სასოფლო თუ საზღვაო ტერიტორიებზე) შემთხვევაში, პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული საზოგადოება შესაძლოა უფრო პატარა იყოს, თუმცა პროექტის პოტენციური გავლენა შესაძლოა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდეს ანდა შესაძლოა გაჩნდეს „მომავალი საზოგადოების“ (მაგ. შემოთავაზებული ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მცხოვრებლები) ფაქტორი, რომლის გათვალისწინებაც საჭიროა.

152. ზემოაღნიშნული გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკების სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებით, გეგმებისა და პროგრამების მომზადებაში საზოგადოების მონაწილეობისათვის ზომების გატარებისას, მუხლი 6, პარაგრაფები 3, 4 და 8-სთან დაკავშირებული რეკომენდაციების გამოყენება უნდა მოხდეს აუცილებელი ცვლილებების გათვალისწინებით, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები უნდა გამოიყენებოდეს, როდესაც ხელსაყრელია. პოლიტიკების მომზადებისას კი, რეკომენდაციების გამოყენება უნდა მოხდეს საჭიროებისამებრ.

153. გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკების მომზადებაში საზოგადოების მონაწილეობისათვის ზომების გატარებისას, შესაძლოა, ხელსაყრელი სახელმძღვანელო წყარო იყოს საუკეთესო პრაქტიკის რეკომენდაციები სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობაზე⁸⁷, რომელიც მომზადებულია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის ფარგლებში.

B. გეგმები და პროგრამები

154. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ განმარტავს, რას ნიშნავს „გეგმები და პროგრამები“, რეკომენდებულია ფართო ინტერპრეტაციის გამოყენება, რომელიც მოიცავს სტრატეგიული გადაწყვეტილების ყველა ტიპს:

a. რომლებიც რეგულირდება საკანონმდებლო, მარეგულირებელი და ადმინისტრაციული მითითებებით;

b. რომლებიც შემუშავებულია ან დამტკიცებულია ხელისუფლების მიერ ან რომლებსაც ხელისუფლება ამზადებს დასამტკიცებლად, ფორმალური პროცედურების მეშვეობით, პარლამენტის ან მთავრობის მიერ;

რომლებიც ითვალისწინებს ორგანიზებულ და კოორდინირებულ სისტემებს, რომლებიც:

i. განსაზღვრავს, ხშირად შემზღუდავი ფორმით, სპეციფიკური აქტივობების ცალკეული კატეგორიების ჩარჩოს;

ii. ხშირად არ არის საკმარისი რაიმე ტიპის ინდივიდუალური აქტივობის განსახორციელებლად, ნებართვის გაცემის ინდივიდუალური გადაწყვეტილების გარეშე.

155. „გარემოსთან დაკავშირებულად“ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გეგმები და პროგრამები:

a. რომლებსაც „შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს გარემოზე“ და მოითხოვს გზმ-ს, მაგალითად, წყლის მართვის პროგრამები, ურბანული განვითარების გეგმები, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვის გეგმები, ენერგეტიკის სფეროში ეროვნული სტრატეგიები და გეგმები;

b. რომლებსაც „შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს გარემოზე“, მაგრამ არ მოითხოვს გზმ-ს, მაგალითად, ის გეგმები თუ პროგრამები, რომლებიც არ განსაზღვრავს მომავალში ასეთი პროექტების შესახებ ნებართვის გაცემასა და რეალიზებას, როგორცაა სტიმულირების პროგრამები;

c. რომლებმაც „შესაძლოა გავლენა მოახდინოს გარემოზე“, თუმცა ეს გავლენა არ არის „მნიშვნელოვანი“, მაგალითად, რომლებიც მცირე ტერიტორიების გამოყენებას განსაზღვრავს;

d. რომლებიც გათვლილია გარემოს დაცვის ხელშეწყობაზე, მაგალითად, ეროვნული ბიოსაფრთხობის სტრატეგიები, ჰაერის მართვის გეგმები, ბუნების კონსერვაციის გეგმები, საზიფათო აქტივობების/მოწყობილობების მართვის გეგმები საგანგებო სიტუაციებში ან სმოგის საწინააღმდეგო პროგრამები;

e. ფინანსური გეგმები, რომლებიც ზემოქმედებს გარემოზე.

⁸⁷ ECE/MP.EIA/SEA/2014/2, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unece.org/env/eia/meetings/mop_6.html

C. პოლიტიკები

156. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ განმარტავს, რას გულისხმობს „პოლიტიკებში“, რეკომენდებულია ფართო ინტერპრეტაციის გამოყენება, რომელიც გეგმისა და პროგრამის გარდა, ასევე მოიცავს სტრატეგიული გადაწყვეტილების ყველა ისეთ ტიპს:

- a. რომლებიც შემუშავებული ან დამტკიცებულია ხელისუფლების მიერ ან რომლებსაც ხელისუფლება ამზადებს დასამტკიცებლად, ფორმალური პროცედურების მეშვეობით;
- b. რომლებიც შესაძლოა რეგულირდებოდეს ან არ რეგულირდებოდეს საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული შესწორებებით;
- c. რომელიც არ აწესებს შემზღვეველ ჩარჩოს სპეციფიკური აქტივობების (მაგალითად, განვითარების პროექტების) ცალკეული კატეგორიებისთვის;
- d. რომელიც არ არის საკმარისი სპეციფიკური აქტივობის განსახორციელებლად ნებართვის გაცემაზე ინდივიდუალური გადაწყვეტილების გარეშე.

საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების შემუშავება

157. იმის გათვალისწინებით, რომ კონვენცია ტოვებს საკმაოდ ფართო დისკრეციას მე-7 მუხლის ფარგლებში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების შემუშავებასთან დაკავშირებით, შემუშავების ეტაპი ძალზედ მნიშვნელოვანია. პროცედურის მიმდინარეობისას გამჭვირვალე და სამართლიანი ჩარჩოს უზრუნველსაყოფად შესაძლოა სასარგებლო იყოს თავიდანვე ცხადი სტრატეგიის არსებობა საზოგადოების მონაწილეობისათვის.

158. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები ისე უნდა განვითარდეს, რომ იგი მოერგოს არა მხოლოდ გეგმის, პროგრამის ანდა, გარკვეული თვალსაზრისით, პოლიტიკების ხასიათს, არამედ უნდა დააკმაყოფილოს ადგილობრივი პირობებიც. იმან, რაც ერთ ადგილას გამართულად მუშაობს, შესაძლოა ასე სულაც არ იმუშაოს სხვაგან.

159. საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს მოქნილობასა და საზოგადოებისადმი გულისხმიერებას. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების მიმდინარეობისას, ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეაფასოს, რამდენად კარგად მუშაობს ის და შეიტანოს ცვლილებები, თუკი საჭიროა.

საზოგადოების ადრეული მონაწილეობა

160. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საზოგადოების მონაწილეობას აზრი ეკარგება, თუკი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია – ოფიციალურად ან არაოფიციალურად. საზოგადოება, სულ მცირე, ჩართული უნდა იყოს, როდესაც გეგმის, პროგრამის და, გარკვეული თვალსაზრისით, პოლიტიკის პროექტის ჩამოყალიბება ხდება. თუმცა, პრაქტიკაში, ასეთ დროს საზოგადოების ჩართვა უკვე ძალიან დაგვიანებულია ეფექტიანი მონაწილეობისათვის, ვინაიდან:

- a. ბევრი მცირე გადაწყვეტილება ამ დროისათვის უკვე მიღებულია;
- b. ამ ეტაპზე უკვე შესამჩნევი წნეხი არსებობს შეზღუდული დროის გამო და მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებების შეტანა შესაძლებელი;
- c. გეგმის, პროგრამის ან პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის ავტორები ხშირად უკვე დარწმუნებული არიან, რომ გამონახეს საუკეთესო გამოსავალი და აღარ არიან მოქნილები ან მზად ახალი იდეების მისაღებად.

161. ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია საზოგადოების ჩართვა რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე და მათი ჩართვა უნდა გაგრძელდეს გადაწყვეტილების მიღების მთელი პროცესის მიმდინარეობისას. ხალხის ადრიანად ჩართვა ხელისუფლებას თავიდანვე უკეთესი წინადადების წარდგენაში დაეხმარება, რაც საფუძველს შექმნის იმისა, რომ საბოლოო პროდუქტს მაქსიმალური საზოგადოებრივი მხარდაჭერა ჰქონდეს.

ნულოვანი ვარიანტი

162. გეგმები და პროგრამები ხშირად წარმოადგენს მრავალსაფეხურიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესის პირველ ეტაპს. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ განხილული და შეფასებული იქნეს სხვადასხვა სცენარისა და ალტერნატივების ფართო არჩევანი, გარდა პოლიტიკურად უმჯობესად მიჩნეული ვარიანტ(ებ)ისა, მათ შორის, ნულოვანი ვარიანტიც (იხ. პარაგრაფი 16 ზემოთ). თუკი ეს არ მოხდება პირველივე ეტაპზე, მრავალსაფეხურიანი

გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ეტაპებზე შესაძლოა ხელისუფლების ორგანოსათვის რთული იყოს იმის დემონსტრირება, რომ ხალხს მართლაც შეეძლო მონაწილეობა, როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი ღია იყო განსახილველად⁸⁸.

საზოგადოების იდენტიფიცირება, რომელმაც შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს

163. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურა უნდა იყოს ღია ნებისმიერი ადამიანისათვის, ვისაც ეხება გადაწყვეტილება ან ვინც დაინტერესებულია მის მიღებაში მონაწილეობით.

164. თუმცა, პროგრამის უბრალოდ ისე შემუშავება, რომ მასში მონაწილეობა შეეძლოს ყველას, ვისაც ამისი სურვილი აქვს, შესაძლოა საკმარისი არ იყოს. რეკომენდებულია, რომ მოხდეს დაინტერესებული ჯგუფების ფართო დიაპაზონის იდენტიფიცირება და წახალისება, რომ ჩაერთონ პროცესში. მაგალითად, გეგმის, პროგრამის ან, როდესაც საჭიროა, პოლიტიკის ხასიათიდან გამომდინარე, ისევე როგორც გეოგრაფიული მასშტაბის გათვალისწინებით, გარდა ზოგადად საზოგადოების წევრებისა, შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობის იყოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი ან ყველა ჯგუფის წარმომადგენლის მოწვევა:

- a. სათემო ჯგუფები;
- b. ადგილობრივ მცხოვრებთა ორგანიზაციები;
- c. ბიზნესისა და ინდუსტრიის წარმომადგენლები;
- d. ფერმერთა ორგანიზაციები;
- e. რელიგიური თემები და რწმენაზე დაფუძნებული ჯგუფები;
- f. უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები;
- g. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ გარემოსდაცვით, კულტურული მემკვიდრეობის h. დაცვის, სოციალური კეთილდღეობის და ა.შ. თემებზე;
- i. მომხმარებელთა ასოციაციები (მაგალითად, მოცემული წყლის რესურსით მოსარგებლეთა ასოციაციები);
- j. ტურისტული სპორტული ორგანიზაციები.

165. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების რიგითი წარმომადგენლების ჩართულობა და, საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ყველა იმ ადამიანისა და ორგანიზაციის წახალისება, ვისზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს ან ვინც შეიძლება დაინტერესდეს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობამ.

166. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, შესაძლოა შეიქმნას მექანიზმები, რათა საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლოთ წინასწარ დარეგისტრირება კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში გარემოზე ან მასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე გეგმების, პროგრამებისა და, გარკვეული თვალსაზრისით, პოლიტიკების შესახებ შეტყობინების მისაღებად. საზოგადოების იმ წევრთა სია, რომლებიც ასეთი შეტყობინებების მისაღებად რეგისტრირდებიან, მუდმივად უნდა განახლდეს.

167. გადაწყვეტილების მიმღები და სხვა რელევანტური ოფიციალური პირები, შესაძლებლობის ფარგლებში, პირადად უნდა იყვნენ ჩაბმულნი საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებში. ოფიციალური პირების ჩართულობა, როგორც წესი, ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც უჩვენებს საზოგადოებას, რომ მისი ძალისხმევა ფასდება და სერიოზულად აღიქმება ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. ამასთან, იგი ეხმარება ოფიციალურ პირებს, გაიაზრონ, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებში უფრო მეტი ძალისხმევა ჩადონ. თუმცა, მათ უნდა გააცნობიერონ საკუთარი შესაძლებლობები, რომლის მეშვეობითაც პროცესზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ და თავიანთი პოზიცია არ უნდა გამოიყენონ ბოროტად ზეწოლის განსახორციელებლად საზოგადოების წევრებზე, რომლებსაც სურთ თავიანთი მოსაზრებების გამოხატვა, შეხედულებებისა და საწუხარის წინ წამოწევა ან დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

საზოგადოების მონაწილეობის პირობები

168. საზოგადოების მონაწილეობის პირობები უნდა შემუშავდეს ისე, რომ მოხდეს საზოგადოების მონაწილეობის ეფექტიანი უზრუნველყოფა ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორცაა:

⁸⁸ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6, პარაგრაფი 4.

- a. განსახილველი კონკრეტული გეგმა, პროგრამა ან, გარკვეული თვალსაზრისით, პოლიტიკა, მათ შორის, მისი მთავარი საკითხი, გეოგრაფიული გავრცელება, ჩაფიქრებული ხანგრძლივობა, ზომა და კომპლექსურობა;
- b. საზოგადოების იმ წევრთა რიცხვი და მახასიათებლები, ვისაც შეიძლება მონაწილეობის სურვილი ჰქონდეს.

169. ხშირად, სასარგებლოა, თუკი მოხდება შერეული მეთოდების გამოყენება, რათა საზოგადოებას გაუადვილდეს მოცემული საკითხის უფრო სიღრმისეული გააზრება და ეფექტიანი მონაწილეობა, იმის გათვალისწინებით, რომ:

- a. თუკი საზოგადოების დიდი ნაწილი გაიაზრებს პრობლემას, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეძლებს დანახვას, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს შემოთავაზებულმა გეგმამ, პროგრამამ ან პოლიტიკამ მომავალში და, შედეგად, ჰქონდეს ინფორმირებული მოსაზრება შემოთავაზებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;
- b. ხშირად, დისკუსია საზოგადოების სხვა წევრებსა და ხელისუფლების ორგანოების ოფიციალურ პირებთან შესაძლოა დაეხმაროს საზოგადოებას პრობლემების უფრო სიღრმისეულად გააზრებაში;
- c. ხშირად, საუკეთესო შედეგების მისაღწევად, შესაძლოა საჭირო იყოს მონაწილეობის ინტერაქტიული მეთოდების, მაგალითად, საჯარო მოსმენების, საჯარო დისკუსიების, დებატებისა თუ სემინარების გამოყენება.

170. საზოგადოებისათვის გასაგები უნდა იყოს თუ რა პირობები არსებობს საზოგადოების მონაწილეობისათვის:

- a. რა ინფორმაცია ხელმისაწვდომი, სად შეიძლება ამ ინფორმაციის ნახვა და რა წყაროებს ეყრდნობა იგი;
- b. როგორ შეუძლია მას შენიშვნების წარდგენა;
- c. როგორ მოხდება მისი შენიშვნების გათვალისწინება.

საზოგადოების მონაწილეობის ვადების განსაზღვრა

171. როდესაც ხდება ვადების განსაზღვრა საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების სხვადასხვა საფეხურისთვის, გასათვალისწინებელია, რომ გეგმებს, პროგრამებსა და, გარკვეული თვალსაზრისით, პოლიტიკებს, კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით, ხელისუფლების ორგანოები ადგენენ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით და ამიტომაც საზოგადოების მომზადებისა და ეფექტიანი მონაწილეობისათვის საჭირო ვადების უზრუნველყოფამ შესაძლოა გადაწონოს სხვა ფაქტორები.

172. გარდა ამისა, ვადების დაწესებისას გასათვალისწინებელია:

- a. მეთოდები, რომელთა გამოყენებაც იგეგმება იმისათვის, რომ მოხდეს საზოგადოების ინფორმირება და ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ისევე როგორც შემოთავაზებული პირობების უზრუნველყოფა საზოგადოების მონაწილეობისათვის;
- b. გეგმის, პროგრამისა და, გარკვეული თვალსაზრისით, პოლიტიკის ბუნება, განსაკუთრებით კი, მისი გეოგრაფიული გავრცელება, ჩაფიქრებული ხანგრძლივობა და კომპლექსურობა;
- c. მონაწილეობის მსურველი საზოგადოების წევრთა რაოდენობა და მახასიათებლები. იმისათვის, რომ ხელისუფლების ორგანოს აუცილებლად ჰქონდეს საკმარისი დრო, რათა სათანადოდ გაითვალისწინოს საზოგადოებისგან მიღებული ყველა შენიშვნა, საზოგადოების იმ წევრთა რაოდენობა, რომელთა მონაწილეობაც მოსალოდნელია, მნიშვნელოვანი საკითხია ვადების განსაზღვრისას.

173. რა ვადაც არ უნდა იყოს დაწესებული პროცედურების დაწყებისას, საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, იგი:

- a. უნდა იყოს მოქნილი და იძლეოდეს მეტი დროის გამოყოფის საშუალებას, თუკი ცხადი გახდება, რომ ეს საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობისათვის საჭიროა;
- b. ინფორმაციას უნდა აწვდიდეს საზოგადოებას, როდესაც მოსალოდნელია პროცედურის გადადება, მათ შორის, თავად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებითაც.

აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება

174. გადაწყვეტილების მიღების პროცედურის მიმდინარეობისას, აუცილებელია საზოგადოებისათვის სამი მთავარი ტიპის ინფორმაციის მიწოდება, რაც გათვალისწინებულია კონვენციის მე-7 მუხლით:

- a. ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების პროცედურებთან დაკავშირებით, მათ შორის, ყველა იმ შესაძლებლობაზე, რაც საზოგადოებას აქვს მონაწილეობის მისაღებად;
- b. ინფორმაცია შემოთავაზებულ გეგმაზე ან პროგრამაზე, ანდა, გარკვეული თვალსაზრისით, პოლიტიკაზე, მათ შორის, წვდომა სამუშაო ტექსტებსა და ეკონომიკურ ანალიზზე, ხარჯებისა და შედეგების თუ სხვა ტიპის ანალიზზე, რომელსაც ეყრდნობა გეგმა, პროგრამა ან პოლიტიკა;
- c. ინფორმაცია შემოთავაზებული გეგმის ან პროგრამის სავარაუდო შედეგების შესახებ, მათ შორის იმაზეც, თუ როგორ გაანალიზდა აღნიშნული შედეგები შეფასებისას⁸⁹.

175. ინფორმაცია შემოთავაზებული გეგმის, პროგრამისა და, გარკვეული თვალსაზრისით, პოლიტიკის სავარაუდო შედეგების შესახებ, შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას:

- a. სამართლებრივ შედეგებზე, მაგალითად, კერძო საკუთრების უფლებაზე;
- b. სოციალურ გავლენაზე, მაგალითად, მოსახლეობის ზრდაზე ამა თუ იმ გეოგრაფიულ არეალში;
- c. ეკონომიკურ გავლენაზე, მაგალითად, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის პერსპექტივებზე;
- d. გარემოზე გავლენასა და მის შესამცირებლად შემოთავაზებულ ზომებზე;

განსახილველად წარმოდგენილ თითოეულ ვარიანტზე ცალ-ცალკე. ვინაიდან ამ პროცესს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო ახორციელებს, ზემოაღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართლიანად, თითოეულ განსახილველ ვარიანტთან დაკავშირებით, და არა მხოლოდ იმ ვარიანტებზე, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლებს მოსწონთ, რათა საბოლოო გადაწყვეტილება სხვადასხვა ვარიანტს შორის არსებითი შედარების საფუძველზე იქნეს მიღებული.

176. იმის გათვალისწინებით, რომ ხარისხიანი ინფორმაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობისათვის, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ ინფორმაცია, რომელსაც ის გასცემენ, არის:

- a. ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი. გრძელი და რთული დოკუმენტების საზოგადოებისათვის იოლად გასაგებ ენაზე მიწოდების რეკომენდებული ხერხია არატექნიკური მიმოხილვის მომზადება;
- b. ფაქტებზე დაფუძნებული, ობიექტური, დაბალანსებული და გამჭვირვალე იმასთან დაკავშირებით, თუ რა წყაროებს ეყრდნობა;
- c. მორგებული კონკრეტულ შემოთავაზებულ გეგმაზე, პროგრამასა თუ პოლიტიკაზე და იმ საზოგადოებაზე, რომელიც შესაძლოა დაინტერესებული იყოს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობით.

177. ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა შესაძლოა იყოს საზოგადოებისთვის აზრის კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ჯობს აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება მათთვის, მაგალითად, ფოკუსჯგუფების მეშვეობით, რათა გაირკვეს, რამდენად ინფორმირებულია უკვე საზოგადოება განსახილველ თემასთან დაკავშირებით. შენიშვნების ჯეროვანი გათვალისწინება

178. გეგმები და პროგრამები, ხშირად, წარმოადგენს პირველ ეტაპს მრავალსაფეხურიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამიტომაც, მნიშვნელოვანია საზოგადოების მონაწილეობის შედეგების კარგად დოკუმენტირება და დაარქივება, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რომლებიც მომავალში გაიმართება, შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება.

179. მართალია, შენიშვნებში გამოთქმული ყველა მოსაზრების გაზიარება სავალდებულო არ არის, მაგრამ იმისათვის, რომ მოხდეს ყველა წარდგენილი შენიშვნის ჯეროვანი გათვალისწინება და იმის დემონსტრირება, რომ ეს მართლაც ასეა, ხელისუფლების ორგანოებმა შესაძლოა იზრუნონ, რომ გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის, ცხრილები, სადაც ასახული იქნება თითოეული შენიშვნა და მათზე პასუხი. ასეთ ცხრილში შენიშვნები შეიძლება დაჯგუფდეს ცალკეულ საკითხებთან მიმართებით და თან დაერთოს ახსნა-განმარტება, თუ რა რეაგირება მოჰყვა მათ, ან შესაძლებელია თითოეულ შენიშვნასთან დაკავშირებით წერილობითი პასუხის წარდგენა.

180. შენიშვნების ჯეროვან გათვალისწინებას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს:

- a. გეგმის, პროგრამის ან პოლიტიკის გაუმჯობესება, საზოგადოების შენიშვნების გათვალისწინებით;

⁸⁹ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 2, პარაგრაფი 3, ქვეპუნქტი (b).

- b. დამატებითი ზომების გატარება, მაგალითად, სავარაუდო ზიანის შესამცირებლად ან მასზე მონიტორინგისთვის;
- c. ალტერნატიული ვარიანტის შერჩევა, საზოგადოების გამომხატველების ანდა მათთან დიალოგის საფუძველზე;
- d. გეგმის, პროგრამის ან პოლიტიკის განხორციელების იდეაზე სრულად უარის თქმა.

181. საზოგადოების მონაწილეობის შედეგების ჯეროვანი გათვალისწინების დემონსტრირებისათვის მართებული იქნება, რომ თითოეულ პროექტს თან დაერთოს განცხადება, სადაც შეჯამებული იქნება ის პუნქტები, რომლებზეც საზოგადოების მონაწილეობის შედეგებმა მოახდინა გავლენა და ახსნილი იქნება აღნიშნული გავლენის ასპექტები. ამგვარი განცხადება შესაძლოა თან დაერთოს პროექტებს, რომლებიც წარდგენილია გეგმების, პროგრამების ან პოლიტიკების მომზადების პროცედურის სხვადასხვა საფეხურზე. სისტემებში, სადაც გამოყენებულია მარეგულირებელი ზემოქმედების შეფასება, განცხადება შესაძლოა ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნაწილი იყოს.

საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების მონიტორინგი და გადასინჯვა

182. იმის გათვალისწინებით, რომ პროცესში საზოგადოების მაშინვე ჩართვამ, როგორც კი გეგმა, პროგრამა ან პოლიტიკა დამტკიცდება, შესაძლოა ხელი შეუწყოს მის უკეთეს იმპლემენტაციას, საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, იმპლემენტაციის ნებისმიერი გადასინჯვა უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებს, სულ მცირე, შენიშვნების წარდგენის სახით მაინც.

183. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, მას შემდეგ, რაც გეგმა, პროგრამა ან პოლიტიკა დამტკიცდება, შესაძლოა სასარგებლო იყოს გადაიხედოს, თუ რამდენად წარმატებული იყო საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები, მაგალითად, საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის გზით ან კვლევის ჩატარებით შემდეგი საკითხების შესასწავლად:

- a. იცოდა თუ არა საზოგადოების ყველა წარმომადგენელმა, ვისაც მიღებული გადაწყვეტილება შეეხება, რომ მზადდებოდა გეგმა, პროგრამა ან პოლიტიკა?
- b. შეეძლოთ თუ არა მათ მონაწილეობა?
- c. თვლიან თუ არა, რომ მათი შენიშვნები გაითვალისწინეს?
- d. ესმით თუ არა გადაწყვეტილების მიმღების არგუმენტაცია გეგმის, პროგრამის ან პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე?

საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებებისა და კანონების მომზადებაში (მუხლი 8)

184. თუკი ეროვნული კანონმდებლობა ან ადმინისტრაციული პრაქტიკა არ ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას ყველა ტიპის აღმასრულებელი დებულებებისა და კანონების მომზადებაში, რეკომენდებულია მექანიზმების ან კრიტერიუმების შექმნა, რომლის მეშვეობითაც შეფასდება, აქვს თუ არა შემოთავაზებულ აღმასრულებელ დებულებებსა და კანონებს არსებითი გავლენა გარემოზე და რომელიც მოექცევა კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში.

185. პროცედურების იმ საფეხურების განსაზღვრისას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია საზოგადოების მონაწილეობა, რეკომენდებულია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- a. როგორ შეიძლება საზოგადოების ადრეული მონაწილეობის ხელშეწყობა, როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი ღიაა განსახილველად;
- b. როგორ არის შესაძლებელი საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის ხელშეწყობა;

აგრეთვე, დაკავშირებული აღმასრულებელი დებულებების/კანონების ტიპის, მისი სამართლებრივი შედეგებისა და მისი რეგულირების სფეროში მოქცეული საკითხის.

186. საზოგადოების მონაწილეობა ყველაზე ეფექტიანია მაშინ, როდესაც საზოგადოებას შეუძლია, საკუთარი აზრი გამოხატოს შემოთავაზებული აღმასრულებელი დებულების ან კანონის მომზადების თითოეულ გადამწყვეტ ეტაპზე, მათ შორის:

- a. ადრეულ ეტაპზე, როდესაც პირველად განიხილება კონკრეტული საკითხის დარეგულირების საჭიროება;
- b. შემოთავაზებული მარეგულირებელი ზომის (ასევე ალტერნატივების) პროექტის მონახაზის მომზადების შემდეგ;
- c. შემოთავაზებული აღმასრულებელი დებულებებისა და კანონების თავდაპირველი პროექტის მომზადების შემდეგ;
- d. ყოველი მომდევნო პროექტის მომზადების შემდეგ.

187. იმისათვის, რომ საზოგადოებამ ეფექტიანად მიიღოს მონაწილეობა, გარდა აღმასრულებელი დებულებისა და კანონპროექტისა, რეკომენდებულია, რომ მას ხელი მიუწვდებოდეს რელევანტურ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება:

- a. წესების დადგენის პროცედურას და საზოგადოების ხელთ არსებულ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს პროცედურებში;
- b. არგუმენტ(ებ)ს, რომელსაც კანონმდებლები ეყრდნობიან, როდესაც მიიჩნევენ, რომ საჭიროა ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის რეგულირება;
- c. ალტერნატიულ აქტივობებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს განცხადებული მიზნების მისაღწევად;
- d. კანონმდებლებისათვის დაწესებულ შეზღუდვებს ან მოთხოვნებს, რომლებსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ იმისათვის, რომ სამუშაო წესები შესრულდეს (მაგ. საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები).

188. თუკი საზოგადოებას შენიშვნების გაკეთების პირდაპირი შესაძლებლობა აქვს, ეს შესაძლოა ასევე გულისხმობდეს აზრის წერილობითი ფორმით გამოხატვას ან მონაწილეობის უფრო ინტერაქტიურ მეთოდებს, როგორცაა საჯარო მოსმენები, საჯარო დისკუსიები, დებატები ან სემინარები.

189. თუკი საზოგადოებას შენიშვნების გაკეთების საშუალება აქვს მისი წარმომადგენელი საკონსულტაციო ორგანოს მიერ, მაშინ ადამიანები, რომლებიც აღნიშნულ ორგანოებში წარმომადგენენ საზოგადოებას, არჩეულნი უნდა იყვნენ გამჭვირვალე, დემოკრატიული და რეპრეზენტაციული პროცედურების მეშვეობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ისინი ანგარიშვალდებული იქნებიან საზოგადოების წინაშე და იქნებიან აბსოლუტურად გამჭვირვალეები იმის შესახებ, თუ ვის წარმომადგენენ. ადამიანებს, რომელთაც პირდაპირი ფინანსური ინტერესი აქვთ გადაწყვეტილების სავარაუდო შედეგებში, არ უნდა ჰქონდეთ აღნიშნული როლის შესრულების უფლება.

190. ხელსაყრელი გზა იმის სადემონსტრაციოდ, რომ საზოგადოების მონაწილეობის შედეგები შეძლებისდაგვარად სათანადოდ იქნა გათვალისწინებული, არის თითოეულ პროექტზე განცხადების თან დართვა, სადაც შეჯამებული იქნება, პროექტის რა ნაწილზე მოახდინა გავლენა საზოგადოების მონაწილეობის შედეგებმა და რა ტიპის იყო ეს შედეგი. ამგვარი განცხადება შესაძლოა თან დაერთოს წარდგენილ პროექტს აღმასრულებელი დებულებებისა და კანონპროექტის მომზადების პროცედურის თითოეულ საფეხურზე. სისტემებში, სადაც გამოყენებულია მარეგულირებელი ზემოქმედების შეფასება, ასეთი განცხადება შესაძლოა ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნაწილი იყოს.

დანართი

საკითხების დელეგირება საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებში

მართალია, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების თითოეულ საფეხურთან დაკავშირებული ზოგადი პასუხისმგებლობა ყოველთვის ეკისრება ხელისუფლების ორგანოს, რომლის კომპეტენციაშიც შედის გადაწყვეტილების მიღება, თუმცა აღნიშნულ ორგანოს შესაძლოა სურდეს პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული ადმინისტრაციული საკითხების დელეგირება სხვა ორგანოებზე, მაგ. ხელისუფლების ორგანოზე, რომელიც უფრო ახლოა შემოთავაზებული აქტივობის ადგილმდებარეობასთან, დამოუკიდებელ ორგანიზაციასთან, რომელსაც სპეციალური ექსპერტიზა აქვს საზოგადოების მონაწილეობის საკითხებში ანდა პროექტის განვითარების ზედამხედველზე. შემდეგ გვერდზე დატანილი ცხრილი აზუსტებს, თუ რომელი საკითხის დელეგირება შეიძლება ასეთ ორგანოზე და რომლის – არა, კონვენციის თანახმად.

საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის რომელი საკითხის დელეგირება შეიძლება ხელისუფლების სხვა ორგანოზე, საზოგადოების მონაწილეობაში სპეციალური ექსპერტიზის მქონე დამოუკიდებელ ორგანიზაციაზე ან პროექტის განვითარების ზედამხედველზე.

საკითხი	შეუძლია თუ არა ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს საკითხის დელეგირება ხელისუფლების სხვა ორგანოზე? (მაგ. ორგანოზე, რომელიც ყველაზე ახლოს არის შემოთავაზებული აქტივობის ადგილმდებარეობასთან, ანდა იმ შემთხვევაში, თუკი სავარაუდო შეგავლენა სცდება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ტერიტორიულ იურისდიქციას, ხელისუფლების იმ ორგანოზე, რომლის ტერიტორიულ იურისდიქციაზეც ვრცელდება სავარაუდო ზემოქმედების არეალი)		შეუძლია თუ არა ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს საკითხების დელეგირება დამოუკიდებელ ორგანიზაციაზე, რომელიც სპეციალიზებულია საზოგადოების მონაწილეობის საკითხებში?		შეუძლია თუ არა ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს საკითხის დელეგირება პროექტის განვითარების ზედამხედველზე?	
საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის ზოგადი ფორმის, მათ შორის, საერთო ვადის განსაზღვრა.	არა		არა		არა	
პროცედურებში კონკრეტული ეტაპების და მათი ვადების განსაზღვრა.	კი		კი		არა	
დაინტერესებული საზოგადოების იდენტიფიცირება.	კი		კი		არა	თუმცა, შესაძლებელია, რომ პროექტის განვითარების ზედამხედველს ეთხოვოს, რომ დაეხმაროს ხელისუფლებას დაინტერესებული საზოგადოების იდენტიფიცირებაში კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებით, მაგალითად, პროექტის პოტენციური შეგავლენის ან ადამიანების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ ან ფლობენ კერძო საკუთრებას შეგავლენის აღნიშნული არეალში.
საზოგადოებისთვის შეტყობინების მომზადება და გადაცემა.	კი		კი		კი	ხელისუფლების ორგანოს მითითებებითა და ზედამხედველობით.
სრულ რელევანტურ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.	არა	ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ თავად უნდა გააკეთოს, თუმცა ამ საკითხზე მუშაობა სხვა დაწესებულებასაც შეუძლია პარალელურ რეჟიმში.	არა	ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ თავად უნდა გააკეთოს, თუმცა ამ საკითხზე მუშაობა დამოუკიდებელ ორგანიზაციასაც შეუძლია პარალელურ რეჟიმში.	არა	საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს პირდაპირ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მფლობელობაში არსებულ სრულ ინფორმაციაზე, რაც რელევანტურია გადაწყვეტილების მისაღებად. პარალელურად, პროექტის განვითარების ზედამხედველისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნას, რომ უზრუნველყოს წვდომა მის მფლობელობაში არსებულ, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციაზე.
საზოგადოებისგან წერილობითი შენიშვნების მიღება.	კი		კი		არა	

საკითხი	შეუძლია თუ არა ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს საკითხის დელეგირება ხელისუფლების სხვა ორგანოზე? (მაგ. ორგანოზე, რომელიც ყველაზე ახლოს არის შემოთავაზებული აქტივობის ადგილ-მდებარეობასთან, ანდა იმ შემთხვევაში, თუკი სავარაუდო ზეგავლენა სცდება ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს ტერიტორიულ იურისდიქციას, ხელისუფლების იმ ორგანოზე, რომლის ტერიტორიულ იურისდიქციაზეც ვრცელდება სავარაუდო ზემოქმედების არეალი)		შეუძლია თუ არა ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს საკითხების დელეგირება დამოუკიდებელ ორგანიზაციაზე, რომელიც სპეციალიზებულია საზოგადოების მონაწილეობის საკითხებში?		შეუძლია თუ არა ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს საკითხის დელეგირება პროექტის განვითარების ზედამხედველზე?	
საჯარო მოსმენების მოწოდება, მათ შორის, დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება მოსმენის ადგილისა და თარიღის შესახებ და გასამართი ადგილის ორგანიზება.	კი		კი		კი	ხელისუფლების ორგანოს მითითებებითა და ზედამხედველობით.
საჯარო მოსმენების გაძღოლა.	კი		კი		არა	
საზოგადოებისგან მიღებული ყველა წერილობითი თუ ზეპირი შენიშვნის შეკრება და თუ საჭიროა, მათი შეჯამება.	კი	ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა შენიშვნის ორიგინალზე.	კი	ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა შენიშვნის ორიგინალზე.	არა	ყველა შენიშვნა პირდაპირ უნდა გადაეცეს ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს.
საზოგადოებისგან მიღებული ყველა წერილობითი თუ ზეპირი შენიშვნის განხილვა.	კი		კი		არა	
საზოგადოებისგან მიღებული შენიშვნების გათვალისწინება გადაწყვეტილებაში.	არა	თუმცა, შეიძლება, რომ ხელისუფლების სხვა ორგანოს ეთხოვოს, განიხილოს შენიშვნები და მოამზადოს რჩევები თუ როგორ შეიძლება მათი გათვალისწინება.	არა	თუმცა, შეიძლება, რომ საზოგადოების მონაწილეობის სპეციალიზაციის მქონე დამოუკიდებელ ორგანიზაციას ეთხოვოს, განიხილოს შენიშვნები და მოამზადოს რჩევები თუ როგორ შეიძლება მათი გათვალისწინება	არა	
გადაწყვეტილების მიღება და არგუმენტაციისა და მოსაზრებების მოწოდება, რომელსაც ის ეფუძნება.	არა		არა		არა	
საზოგადოების ინფორმირება გადაწყვეტილებისა და მასზე ხელმისაწვდომობის და მისი გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ.	კი		კი		არა	
გადაწყვეტილების გასაჯაროება, არგუმენტაციასთან და მოსაზრებებთან ერთად, რომელსაც ის ეყრდნობა.	არა	ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ თავად უნდა გააკეთოს, თუმცა ამ საკითხზე მუშაობა პარალელურ რეჟიმში სხვა ორგანოსაც შეუძლია.	არა	ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ თავად უნდა გააკეთოს, თუმცა ამ საკითხზე მუშაობა დამოუკიდებელ ორგანიზაციასაც შეუძლია პარალელურ რეჟიმში.	არა	ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ თავად უნდა გააკეთოს, თუმცა ამ საკითხზე მუშაობა პროექტის განვითარების ზედამხედველსაც შეუძლია პარალელურ რეჟიმში.

UNECE

**სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში საზოგადოების
მონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებული
რეკომენდაციები**

მომზადებულია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციის (ესპოს კონვენცია)
სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის ფარგლებში

შენიშვნა

წინამდებარე დოკუმენტის დიზაინი და მასში წარმოდგენილი მასალები არ გამოხატავს გაეროს სამდივნოს პოზიციას რაიმე ფორმით რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან რაიონის თუ მათი ხელისუფლებების ლეგალურ სტატუსთან ანდა მათ საზღვრებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ტექსტის მომზადებაში ჩართული ინდივიდების, ორგანიზაციებისა თუ მთავრობების მოსაზრებებს. ასევე, ტექსტში გაკეთებული ინტერპრეტაციები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის მხარეთა ოფიციალურ მოსაზრებებს.

UNITED NATIONS PUBLICATION
Sales No.: E.15.II.E.7
ISBN 978-92-1-117089-4
e-ISBN 978-92-1-057408-2

არაოფიციალური თარგმანი ქართულად
ორიგინალი ინგლისურ ენაზე:

[Maastricht Recommendations on Promoting Effective Public Participation in Decision-making in Environmental Matters](#)

წინასიტყვაობა

აქტიური გარემოსდაცვითი მოქალაქეობის იდეა სწრაფად ვრცელდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. უფრო და უფრო მეტმა მოქალაქემ იცის, რომ მათ აქვთ უფლება, გამოთქვან აზრი თავიანთი საცხოვრებელი გარემოს შესახებ და მოითხოვონ ჩართულობა გადაწყვეტილებებში, რომლებიც გავლენას ახდენენ მათსა და მათი შვილების ცხოვრებაზე. თუმცა, გარემოსდაცვითი დემოკრატია მოცემულობა სულაც არაა. მისი მნიშვნელობის მზარდი გაცნობიერება არის პასუხი წარსულში განხორციელებულ იმ უამრავ პროექტზე, რომელთაც არსებითი გავლენა მოახდინეს გარემოსა და ადამიანების ცხოვრებაზე. ეს პროექტები ხორციელდებოდა საზოგადოების, კერძოდ კი, ისეთი მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგობის მიუხედავად, როგორებიც არიან ბავშვები, ქალები, სოფლად მცხოვრებნი და ღარიბები.

გარემოსდაცვითი დემოკრატიის განვითარებისაკენ სწრაფვაში წამყვან როლს ასრულებს კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ – იგივე ორჰუსის კონვენცია, და ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი. ეს საერთაშორისო ხელშეკრულებები მომზადდა, რათა მოემსახუროს ხალხის ინტერესებს და ხელი შეუწყოს მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებებში, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს მათ ცხოვრებაზე. ჯანსაღ და უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების პრინციპებსა და მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი დემოკრატიის ცნებებზე დაყრდნობით, ეს შეთანხმებები აჩენენ მექანიზმებს ამ იდეალების პრაქტიკაში განსახორციელებლად. აღნიშნულ ინსტრუმენტებში დეტალურადაა გაწერილი პროცედურები საზოგადოების ინფორმირებისა და მათ ცხოვრებაზე პოტენციურად გავლენის მქონე გადაწყვეტილებებში ეფექტიანი მონაწილეობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ინსტრუმენტი გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ფარგლებშია შემუშავებული, მათთან მიერთება თავისუფლად შეუძლია UNECE-ის არაწევრ სახელმწიფოებსაც. ეს ინსტრუმენტები ხელს უწყობენ უნივერსალური პრინციპების გავრცელებას და მათდამი მზარდი ინტერესი არსებობს როგორც რეგიონის ფარგლებში, ასევე გლობალურად.

საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც ზემოხსენებული შეთანხმებების ფარგლებში ჩამოყალიბდა, მიზნად ისახავს, დაეხმაროს პოლიტიკოსებს, კანონმდებლებსა და საჯარო მოხელეებს ყოველდღიურ საქმიანობაში, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების ჩართულობისაკენ. ისინი ადგენენ ეფექტიან სახელმძღვანელო წესებს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვისათვის, რათა გაუმჯობესდეს პროგრამებსა და პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება, მათი დაგეგმვა და განხორციელება ყველა დონეზე. გარდა ამისა, რეკომენდაციები დაეხმარება მთავრობებს სიღარიბისა და უთანასწორობის პრობლემის გადაწყვეტის მცდელობებში, რამდენადაც ისინი ქმნიან გარანტიებს, რომ ყოველი ადამიანი, მათ შორის, საზოგადოების ყველაზე ღარიბი და პერიფერიებში მცხოვრები ნაწილი, ჩაერთოს მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში, რომლის შედეგადაც ეკონომიკური აქტივობების შედეგად მიღებული შემოსავლით სარგებლობა შეეძლება.

RIO+20 კონფერენციაზე საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა, რომ კარგი მმართველობა და ქუშმარიტად მდგრადი ეკონომიკა მოითხოვს საზოგადოების, როგორც ამომრჩევლების, მომხმარებლებისა თუ თანამონაწილეების ერთობის, ეფექტიან ჩართულობას. ამიტომაც, ღრმად მწამს, რომ ეს რეკომენდაციები ასევე ხელსაყრელი იქნება ადამიანებზე ორიენტირებული 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის.

კრისტინა ფრის ბახი

აღმასრულებელი მდივანი

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია

შეჯამება

საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებული წინამდებარე რეკომენდაციები მიზნად ისახავს საზოგადოების მონაწილეობის გაუმჯობესებას სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში (სგშ), როგორც ეს გათვალისწინებულია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციის (ესპოოს კონვენციის) გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის (ECE) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმში (სგშ-ის ოქმი). რეკომენდაციების მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეებისა და მომავალი მხარეების მიერ ოქმის დადგენილებების გამოყენებას საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით, ისევე როგორც სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის ილუსტრირება ადრეული, დროული და ეფექტიანი შესაძლებლობების მხარდასაჭერად ამ ტიპის მონაწილეობისათვის.

რეკომენდაციები მომზადებულია ევროპის ეკონომიკური კომისიის სამდივნოს მიერ, მრჩევლის დახმარებით, ესპოოს კონვენციის და მისი ოქმის ფარგლებში მომუშავე ბიუროსთან კონსულტაციით და ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სამუშაო ჯგუფის მეორე და მესამე შეხვედრებზე გაკეთებულ შენიშვნებს (ყენევა, 2013 წლის 27-30 მაისი და 11-15 ნოემბერი). რეკომენდაციები თავდაპირველად განიხილეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე (ყენევა, 2012 წლის 29-30 ოქტომბერი), რომელიც ორგანიზებული იყო გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციასთან (ორჰუსის კონვენცია) ერთად, კონვენციის მხარეების შეხვედრის გადაწყვეტილება 1/4-ის მიხედვით, რომელიც ასრულებდა ოქმის მხარეების შეხვედრის მოვალეობას (იხ. ECE/MP.EIA/SEA/2). რეკომენდაციებში თავმოყრილია შენიშვნები და ინფორმაცია, რომელიც წარადგინეს ესპოოს კონვენციის, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და ორჰუსის კონვენციის ეროვნულმა საკოორდინაციო ორგანოებმა და ექსპერტებმა შეხვედრის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას და შეხვედრის შემდგომ. გარდა ამისა, უზრუნველყოფილ იქნა, რომ წარმოდგენილი პროექტი თანხმობაში მოსულიყო ორჰუსის კონვენციის ფარგლებში მომზადებულ, გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ უფრო ზოგად რეკომენდაციებთან.

გადაწყვეტილებით II/8 (ყენევა, 2014 წლის 2-6 ივნისი) აღნიშნული რეკომენდაციები დამოწმდა კონვენციის მხარეთა შეხვედრაზე, რომელიც ასრულებდა ოქმის მხარეთა შეხვედრის მოვალეობას.

სარჩევი

I. სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობის მიმოხილვა	54
II. საზოგადოების მონაწილეობის საჭიროებები სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმში	54
III. სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობის ზოგადი პრინციპები.....	55
A. „საზოგადოება“ და „დაინტერესებული საზოგადოება“	55
ჩანართი 1. დაინტერესებული საზოგადოების იდენტიფიცირების საუკეთესო პრაქტიკა	55
ჩანართი 2. საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული გამოწვევები: ამერიკის შეერთებული შტატები	56
B. საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა	56
ჩანართი 3. საზოგადოების მონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკა და გამოწვევები: ბრიტანეთის კოლუმბია და კანადა	57
C. ვადები	57
IV. საზოგადოების მონაწილეობა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა საფეხურზე.....	59
A. წინასწარი შეფასება (სკრინინგი)	59
ჩანართი 4. მუხლი 5, პარაგრაფი 3 და პარაგრაფი 4-ით, მუხლი 6, პარაგრაფი 3-ით, მუხლი 8, პარაგრაფი 2-ითა და მუხლი 11, პარაგრაფი 2-ით გათვალისწინებული საზოგადოების ინფორმირების საუკეთესო პრაქტიკა	59
B. სკოპინგი	60
ჩანართი 5. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: სლოვაკეთი.....	61
C. გეგმის/პროგრამისა და გარემოსდაცვითი ანგარიშის პროექტის ხელმისაწვდომობა.....	61
ჩანართი 6. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: ნორვეგია	62
D. მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობები საზოგადოებისათვის	62
ჩანართი 7. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: ნიდერლანდები	63
E. გადაწყვეტილება	63
ჩანართი 8. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: ესპანეთი	64
F. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განცხადება	64
V. სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები...	64
A. არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების მონაწილეობა.....	64
B. მონაწილეობა, როდესაც გეგმის ან პროგრამის რელევანტურობა ცხადი არ არის	65
ჩანართი 9. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: იტალია	66
VI. მონაწილეობა ტრანსსასაზღვრო კონტექსტში.....	66
ჩანართი 10. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: ირლანდია და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო	68
დანართი.....	69
საზოგადოების მონაწილეობის მოთხოვნები სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმში.....	69

I. სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობის მიმოხილვა

1. საზოგადოების მონაწილეობა ეფექტიანი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ქვაკუთხედი. მას შეუძლია, ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და სანდოობას; უზრუნველყოს, რომ ყველა რელევანტური საკითხი იქნება განხილული გეგმის თუ პროგრამის შემუშავების პროცესში; და შესაძლებელი გახადოს საზოგადოების მოსაზრებების დროული განხილვა აღნიშნულ პროცესში. ამავდროულად, მას შეუძლია მოახდინოს საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზება გეგმის თუ პროგრამის განხორციელებისათვის.

2. საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებული წინამდებარე რეკომენდაციების მიზანია საზოგადოების მონაწილეობის გაუმჯობესება სგშ-ში, რომელიც გათვალისწინებულია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციის (ესპოოს კონვენცია) გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის (ECE) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმში (სგშ-ის ოქმი). რეკომენდაციები წარმოადგენს სახელმძღვანელო წესებს სგშ-ის ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისათვის, ახდენს საუკეთესო პრაქტიკის ილუსტრირებას და გვთავაზობს ახალ იდეებს ინოვაციური პრაქტიკისათვის.

3. რეკომენდაციები მომზადებულია ესპოოს კონვენციისა და მისი ოქმის ფარგლებში მომუშავე ბიუროსთან კონსულტაციების შედეგად და ისინი განიხილეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის სამუშაო შეხვედრაზე (ყენევა, 2012 წლის 29-30 ოქტომბერი), რომელიც ორგანიზებული იყო გარემოსდაცვითი საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციასთან (ორჰუსის კონვენცია) ერთად. იგი წარმოადგენს დამატებით სახელმძღვანელო დოკუმენტს მხარეების მიერ ორჰუსის კონვენციის მე-7 მუხლის შესასრულებლად და უფრო სრულყოფილს ხდის კონვენციის ფარგლებში მომზადებულ რეკომენდაციებს გარემოსდაცვითი საკითხებში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის შესახებ. მისი წაკითხვა სასურველია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის გამოყენების დამხმარე რესურსების სახელმძღვანელოსთან ერთად (რესურსების სახელმძღვანელო)¹.

4. ამ სახელმძღვანელოში სიტყვა „უნდა“ მიემართება სგშ-ის ოქმისა და ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებს, ხოლო სიტყვა „შეიძლება“ და „შესაძლოა“ გულისხმობს დამატებით საუკეთესო პრაქტიკას.

II. საზოგადოების მონაწილეობის საჭიროებები სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმში

5. სგშ-ის ოქმი მოითხოვს, რომ საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება, შეიტანოს შენიშვნები გეგმებისა და პროგრამების პროექტებსა და მათთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით ანგარიშებში. იგი ასევე გასცემს რეკომენდაციას, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მხარეებმა გაიღონ ძალისხმევა სგშ-ის წინასწარი შეფასებისა (სკრინინგის) და მასშტაბის განსაზღვრის დროს საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. საზოგადოების შენიშვნები ჯეროვნად უნდა იყოს გათვალისწინებული გეგმებსა და პროგრამებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში. მას შემდეგ, რაც გეგმა ან პროგრამა დამტკიცდება, საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული დამტკიცებული გეგმისა და სგშ-ის პროცესის შესახებ „სგშ-ის განცხადების“ მეშვეობით. (ოქმით გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობის მოთხოვნების სიისათვის იხ. დანართი.)

6. სგშ-ის ოქმის მე-3 მუხლი საზოგადოებას დამატებით ანიჭებს რამდენიმე ზოგად უფლებას, ორჰუსის კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების მსგავსად, მათ შორის:

- a. რელევანტური დახმარების მიღების უფლებას ხელისუფლების ორგანოებისა და მთავრობისაგან;
- b. რელევანტური ასოციაციების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების (მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციების) აღიარებისა და მხარდაჭერის უფლებას;
- c. ოქმით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობას დაჯარიმების, დევნის ან იძულებისა და მოქალაქეობის, ეროვნული ან საცხოვრებლის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

¹ ელექტრონული ვერსია (ECE/MP.EIA/17), ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unece.org/env/eia/pubs/sea_manual.html

III. სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობის ზოგადი პრინციპები

A. „საზოგადოება“ და „დაინტერესებული საზოგადოება“

7. სგმ-ის ოქმი „საზოგადოებას“ განმარტავს, როგორც „ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და, ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს“ (მუხლი 2, პარაგრაფი 8). არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ საზოგადოების ნაწილს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს არ გააჩნიათ ლეგალური სამართალსუბიექტურობა, რასაც ეროვნულ დონეზე არსებული საკანონმდებლო ჩარჩო განსაზღვრავს, ისინი მაინც უნდა ჩაითვალოს საზოგადოების შემადგენელ ნაწილად².

8. სგმ-ის ოქმი არ განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს „დაინტერესებული საზოგადოება“, გარდა იმისა, რომ იგი უნდა მოიცავდეს რელევანტურ არასამთავრობო ორგანიზაციებს. აქ შეგვიძლია გამოვიყენოთ ორჰუსის კონვენციის მუხლი 2, პარაგრაფი 5-ში არსებული განსაზღვრება, კერძოდ, „საზოგადოება, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან როგორც დაინტერესებული სუბიექტები“. იგივე მიდგომა შეიძლება გავრცელდეს ორგანიზაციებზეც, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივ ჯანდაცვას.

9. მუხლი 8, პარაგრაფი 3-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ გეგმების ავტორები მოახდენენ საზოგადოების იდენტიფიცირებას, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს სგმ-ში, მხარეებმა შესაძლოა თავიანთ ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოში განსაზღვრონ, თუ რას გულისხმობენ:

- a. საზოგადოებაში, სგმ-ის ოქმთან მიმართებით;
- b. დაინტერესებულ საზოგადოებაში, ორჰუსის კონვენციასთან მიმართებით (იხ. ჩანართი 1);
- c. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში „დაინტერესების“ შემადგენელ კომპონენტებში;
- d. მოთხოვნებში, მათი არსებობის შემთხვევაში, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ გარემოს დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რათა ჩაითვალოს, რომ ისინი „დაინტერესებულნი“ არიან.

ჩანართი 1. დაინტერესებული საზოგადოების იდენტიფიცირების საუკეთესო პრაქტიკა

1. როდესაც ხდება მათი იდენტიფიცირება, ვინც უნდა ჩაითვალოს შემოთავაზებულ გეგმასთან ან პროგრამასთან დაკავშირებით დაინტერესებულ საზოგადოებად, გეგმის შექმნაზე პასუხისმგებელმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს:

2. ინტერესთა ფართო სპექტრი, საზოგადოების კარგად დაბალანსებული და ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. მრავალი გადაწყვეტილება, რომელსაც აქვს გარემოსდაცვითი განზომილება, ასევე გულისხმობს ჯანდაცვის, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს და შესაძლებელია შესაბამისი ინტერესჯგუფების სამართლიანი ჩართვა საზოგადოების მონაწილეობაში.

3. ჯგუფები, რომლებსაც რთულია მისწვდეს. საზოგადოების ზოგიერთ წევრს შესაძლოა სურვილი ჰქონდეს, თუმცა არ შეეძლოს მონაწილეობა (მაგ. პრივილეგიების არმქონე ჯგუფები, როგორებიც არიან მოხუცები და ახალგაზრდები, მიგრანტები, წერა-კითხვის უცოდინრები) (იხ. სექცია V.A. V.B ქვემოთ). სხვებს კი, შესაძლოა, შეეძლოთ მონაწილეობა, მაგრამ არ ჰქონდეთ ამის სურვილი (მაგ. ადამიანები, რომელთაც ცუდი გამოცდილება აქვთ, ცოტა დრო აქვთ ან ვერ ხედავენ, რა სარგებლის მიღება შეუძლიათ მონაწილეობისაგან). საჭიროა ძალისხმევის გაღება, რათა, სულ მცირე, ასეთი ჯგუფების წარმომადგენელი ორგანიზაციების ჩართვა მაინც მოხდეს იმ ჯგუფებთან ერთად, რომლებსაც მონაწილეობის სურვილიც აქვთ და შესაძლებლობაც;

4. ჯგუფებს, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მაგალითად, ძლიერი ლობისტური ჯგუფები ანდა ისინი, ვისაც გადაწყვეტილებების მიმღებებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. აღნიშნული ჯგუფები მაინც გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და შესაძლოა უფრო ქმედითი და ეფექტიანი იყოს მათი დისკუსიაში ჩართვა ადრეულ ეტაპზე, მათი საწუხარის გაგება, გათვალისწინება და შესაძლო კომპრომისების პოვნა.

² ელექტრონული ვერსია (ECE/MP.EIA/17), ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unep.org/env/eia/pubs/sea_manual.html

ჩანართი 2. საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული გამოწვევები: ამერიკის შეერთებული შტატები³

თანამშრომლობა ხშირად გულისხმობს მხოლოდ ადგილობრივების შერჩევას, ვისაც რეგულარულად შეუძლია სგმ შეხვედრებზე დასწრება ან/და ინდუსტრიის წარმომადგენელ პროფესიონალებს, არამოგებიან ორგანიზაციებს, ან მთავრობას, რომელთა ხარჯებსა და დროსაც ითვალისწინებს მათი დასაქმების ადგილი. ეს არის უმთავრესი კრიტიკა აშშ-ის კონსერვაციის ჯგუფებისა და ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანიების თანამშრომლობის, პარტნიორობა ბივერჰედ-დიერლოჯისადმი (BDP), რომელიც მიზნად ისახავდა ტყის მართვის გეგმის შექმნას ბივერჰედ-დიერლოჯის ეროვნული ტყისათვის მონტანაში. პროცესი, რომელსაც BDP იყენებდა, გააკრიტიკეს, რადგან იგი „პრიორიტეტს და პრივილეგიას ანიჭებდა თვითდინებით დაინტერესებულ ჯგუფებს ეროვნული ტყეების მართვაში, დაინტერესებულ მხარეთა მოლაპარაკებების ზოგადად ექსკლუზიური ბუნების გამო“.

B. საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა

10. სგმ-ის ოქმის მუხლი 8, პარაგრაფი 1 მოითხოვს, რომ საზოგადოების მონაწილეობა სგმ-ში იყოს „ეფექტიანი“. ეფექტიანი მონაწილეობა გულისხმობს ეფექტიანობას ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ორივე გადმოსახედიდან:

a. მონაწილეების: მონაწილეები უნდა ჩაერთონ ადრინადად და ჩართულნი უნდა იყვნენ დაგეგმვის მთელი პროცესის მიმდინარეობისას, უნდა ჰქონდეთ აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება და მათი მოსაზრებები განხილული უნდა იყოს პატივისცემით, სერიოზულად და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მზაობით გეგმის ავტორთა მხრიდან.

b. გეგმის ავტორების: საზოგადოების მონაწილეობა მიზნად უნდა ისახავდეს სასარგებლო წინადადებების მიწოდებას, რომელიც ხელს შეუწყობს ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებას და გააუმჯობესებს გეგმას თუ პროგრამას.

11. საზოგადოების მონაწილეობისათვის ეფექტიანი შესაძლებლობა შესაძლოა იყოს⁴:

a. კარგად დაგეგმილი და ფოკუსირებული გეგმის ან პროგრამისათვის რელევანტურ განსახილველ საკითხებზე. საზოგადოებამ უნდა იცოდეს სგმ-ის პროცესის მიზნები, პროცედურები და მოსალოდნელი შედეგები;

b. მიმართული გეგმის ავტორებისა და მონაწილეების ორმხრივ სარგებლიანობაზე. ეს შესაძლოა მოითხოვდეს მზადყოფნას უფრო ფართო მასშტაბისათვის, ვიდრე ამას გეგმის მიზნები გულისხმობს და იგი შესაძლოა მოიცავდეს კოოპერაციისა და კონსენსუსის ხელშეწყობას, ნაცვლად კონფრონტაციისა;

c. მონაწილეთა მხარდამჭერი ინფორმაციის ადეკვატური გავრცელებით გეგმის ან პროგრამის ან დაგეგმვის პროცესის შესახებ. შესაძლოა უზრუნველყოფილი იყოს ქმედუნარიანობის განვითარება, დახმარება და ხელშეწყობა განსაკუთრებით იმ ჯგუფებისათვის, რომლებსაც ამის გარეშე არ ექნებოდათ მონაწილეობის საშუალება და იმ რეგიონებში, სადაც არ არსებობს გეგმების ჩამოყალიბების კულტურა;

d. ეფექტიანი. ვინაიდან სგმ საკმაოდ დიდ რესურსს (ადამიანურს, ფინანსურს, დროის თვალსაზრისით) მოითხოვს საზოგადოებისაგან, ეფექტიანი სგმ უზრუნველყოფს მონაწილეობის უფრო დიდ სურვილს;

e. ღია და გამჭვირვალე. ხალხს, რომელზეც ზეგავლენას ახდენს გეგმა ან პროგრამა და დაინტერესებულია მონაწილეობით, უნდა ჰქონდეს სრული წვდომა საჭირო ინფორმაციაზე და უნდა შეეძლოს მონაწილეობა გსმ პროცესებთან დაკავშირებულ შეხვედრებსა და მოსმენებში. ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ასეთი ტიპის მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია და ხელშეწყობი ღონისძიებები;

f. კონტექსტზე ორიენტირებული. ვინაიდან ბევრ თემს აქვს საკუთარი ფორმალური და არაფორმალური წესები საზოგადოების რესურსებთან ხელმისაწვდომობის, კონფლიქტების მოგვარებისა და მართვისთვის, გეგმების მომზადება შესაძლოა ადაპტირდეს ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემების კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განზომილებებთან;

g. საიმედო და მწყობრი, და დადგენილი ეთიკის, პროფესიონალური ქცევისა და მორალური ვალდებულებების ერთგული. საზოგადოების მონაწილეობისათვის ხელშეწყობა ნეიტრალური ფასილიტატორის მხრიდან – რომელიც არჩეულია საზოგადოებასთან შეთანხმებით ან ისე, რომ საზოგადოებას ჰქონდეს კონკრეტულ ფასილიტატორზე უარის თქმის უფლება – გააუმჯობესებს პროცესის

³ Hourdequin et al., „დემოკრატიის თეორიის ეთიკური შედეგები გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში ამერიკული საზოგადოების მონაწილეობისთვის“, Environmental Impact Assessment Review, No. 35 (2012), pp. 37–44.

⁴ ამ პარაგრაფში განხილული კრიტერიუმები ეფუძნება P. André et al-ს, „საზოგადოების მონაწილეობა: საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის პრინციპები“, Special Publication Series No. 4 (Fargo, United States, International Association for Impact Assessment, 2006) და K. Arbter et al-ს, საზოგადოების მონაწილეობის სახელმძღვანელო: მომავლის ერთად შექმნა (Vienna, Austrian Ministry of Environment and the Austrian Society for Environment and Technology, 2007).

მიუკერძოებლობის ხარისხს, შეამცირებს დაძაბულობას და მონაწილეთა შორის კონფლიქტების რისკს, ხელს შეუწყობს საზოგადოების თავდაჯერებულობას თავიანთი მოსაზრებების გამოხატვასა და საბოლოო გადაწყვეტილებაში და შეამცირებს კორუფციის რისკებს. შესაძლებელია ეთიკის კოდექსის მიღებაც;

h. პროპორციული. სგმ-ში საზოგადოების მონაწილეობისათვის გაწეული ძალისხმევა დამოკიდებული იქნება შემოთავაზებული გეგმის ან პროგრამის ბუნებასა და მახასიათებლებზე და მის სავარაუდო გავლენაზე გარემოზე, მათ შორის, ჯანდაცვის საკითხებზე.

ჩანართი 3. საზოგადოების მონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკა და გამოწვევები: ბრიტანეთის კოლუმბია და კანადა⁵

[გარემოსდაცვითი შეფასების (გშ)] ერთ-ერთი მაგალითის შესწავლიდან, რომელიც „პირველი ერების“ მიერ ფართოდ შეფასდა წარმატებულად, პროექტზე მომუშავეებისა და კონსულტანტების მხრიდან, ცხადი გახდა, რომ გშ-ის წარმატების მთავარი მიზეზი იყო მტკიცე, დადებითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები. და პირიქით, ყველა მონაწილემ ურთიერთობებში მარცხი აღიარა, როგორც გშ პროცესის მარცხის მთავარი მიზეზი, თუნდაც გშ-მ მთავრობის მხრიდან საბოლოოდ მხარდაჭერა ჰპოვოს.

12. სგმ-ში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის ტექნიკები შესაძლოა გულისხმობდეს:

- a. ქმედუნარიანობის განვითარებას: დაგეგმვისა და სგმ-ის პროცესების ახსნა არატექნიკურად, ისე, რომ მონაწილეებმა გაიაზრონ პროცესის მთავარი საფეხურები და მათში წვლილის შეტანის გზები;
- b. გეგმის ან პროგრამის რელევანტურობისა და მისი შედეგების დაზუსტებას, მაგალითად, საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე მის გავლენაზე ფოკუსირებით;
- c. არატექნიკური მიმოხილვების გამოქვეყნებას სგმ-სთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და სხვადასხვა ფორმატით;
- d. არაფორმალური შეხვედრების, სამუშაო ჯგუფებისა და ჯგუფური დისკუსიების გამოყენებას, ოფიციალური სამთავრობო შეხვედრების ადგილებში ან ყრილობების დარბაზში, ფორმალური შეხვედრების ნაცვლად (ან დამატებით);
- e. ფასილიტატორთა ფრთხილ შერჩევას შეხვედრებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაწილეთა სრული პატივისცემა, არ დააჩქარონ ისინი და ჰქონდეთ საკმარისი დრო სიტყვით გამოსვლისთვის, ხოლო საზოგადოების ჩუმ წევრებს – მოსაზრებების დასაფიქსირებლად.

C. ვადები

13. სგმ-ში საზოგადოების ადრეული და სტაბილური ჩართულობა ხელს უწყობს ნდობის გაჩენას მონაწილეთა შორის, აუმჯობესებს სგმ-ის წინასწარი შეფასებისა (სკრინინგის) და მასშტაბის დადგენის პროცესს, ზრდის საზოგადოების შენიშვნებისა და მოსაზრებების პასუხად გეგმის/პროგრამის მოდიფიცირების საშუალებებს, ამცირებს ქორების გავრცელების რისკებს და გეგმის ავტორებს მეტად თავდაჯერებულს ხდის თავიანთ გადაწყვეტილებებში. სგმ-ის ოქმი მოითხოვს „ადრეულ და ეფექტიან შესაძლებლობებს საზოგადოების მონაწილეობისათვის, როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი ღიაა“ (მუხლი 8, პარაგრაფი 1), „დროულ საჯარო ხელმისაწვდომობას გეგმის ან პროგრამის პროექტსა და გარემოსდაცვით ანგარიშზე“ (მუხლი 8, პარაგრაფი 2) და საზოგადოებისათვის შესაძლებლობის მიცემას, გამოხატოს თავისი მოსაზრება გეგმისა თუ პროგრამის პროექტსა და გარემოსდაცვით ანგარიშზე „გონივრულ ვადებში“ (მუხლი 8, პარაგრაფი 4). სავარაუდოა, რომ საზოგადოების ჩართვა გეგმის/პროგრამის ვარიანტების იდენტიფიცირებასა და სასურველი ვარიანტის შერჩევაში ეფექტიანი იქნება, ვინაიდან იგი ხელს უწყობს აღნიშნული პირობების დაკმაყოფილებას და აჩვენებს გეგმების ავტორების ფართო თვალსაწიერს.

14. სიტყვები „ადრეული“ და „დროული“ აქ იგულისხმება საზოგადოების გადმოსახედიდან, რომელიც მიისწრაფვის სგმ-ის პროცესებში ეფექტიანი მონაწილეობისაკენ. ეს მოთხოვნები ასევე ითვალისწინებს შემოთავაზებული გეგმის ან პროგრამის მახასიათებლებს და მის სავარაუდო გავლენას გარემოზე, მათ შორის, ადამიანების ჯანმრთელობაზე.

15. ოქმი არ აკონკრეტებს სგმ-ის პროცესების სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოების მონაწილეობის ვადებს. ეროვნულმა საკანონმდებლო ჩარჩომ შესაძლოა დააწესოს ფიქსირებული ვადები თითოეული ფაზისათვის ან აირჩიოს მოქნილი

⁵ Annie Booth and Norman Skelton, „გარემოსდაცვითი შეფასებების პროცესებში პირველი ერების მონაწილეობის გაუმჯობესება: პრაქტიკული რეკომენდაციები სფეროდან“, Impact Assessment and Project Appraisal, vol. 29, No. 1 (March 2011), გვ. 49-58.

მიდგომა იქ, სადაც დამგეგმავი ორგანოები პასუხისმგებლები არიან ვადების განსაზღვრაზე, კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით⁶. მოქნილი მიდგომა დამგეგმავ ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს, გაითვალისწინონ შემოთავაზებული გეგმის/პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლები. თუმცა, ამან შესაძლოა გამოიწვიოს გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა ხელისუფლების ორგანოებს შორის. ამიტომ, თუკი მოქნილი მიდგომა უნდა გამოიყენონ, ეროვნულმა საკანონმდებლო ჩარჩომ უნდა დააზუსტოს:

- a. მინიმალური ვადა საზოგადოებისათვის აზრის გამოსახატად გეგმის/პროგრამის პროექტსა და გარემოსდაცვით ანგარიშზე (მუხლი 8);
- b. მაქსიმალური ვადა გეგმის/პროგრამის და სგმ-ის განცხადების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის, მას შემდეგ, რაც გეგმა/პროგრამა დამტკიცდება (მუხლი 11, პარაგრაფი 2);
- c. მინიმალური ვადა საზოგადოების ნებისმიერი სახის მონაწილეობისათვის წინასწარ შეფასებასა (სკრინინგში) (მუხლი 5, პარაგრაფი 3) და მასშტაბის დადგენაში (მუხლი 6, პარაგრაფი 3)⁷. მინიმალური ვადა დამოკიდებული იქნება გეგმისა და გარემოსდაცვითი ანგარიშის კომპლექსურობაზე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, იგი უნდა ითვალისწინებდეს რელევანტური დოკუმენტაციის საფუძვლიანი შესწავლისა და მათ შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად საკმარის დროს.

16. როდესაც აღნიშნული ვადები განისაზღვრება, უნდა მოხდეს შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- a. კომპლექსური ანდა ეროვნული დონის გეგმა მოითხოვს უფრო მეტ დროს, ვიდრე მარტივი ან ლოკალური დონის პროგრამა. ვადაზე გავლენას მოახდენს ასევე საზოგადოების თავისებურებები და ის, თუ როგორ არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი ანგარიში. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ 4 კვირაზე ნაკლები პერიოდი „გონივრული ვადა“ იყოს რომელიმე გეგმის ან პროგრამისათვის;
- b. შეიძლება ასეთივე ვადები დაწესდეს გარემოსდაცვით ანგარიშსა და გეგმის/პროგრამის პროექტზე შენიშვნების გასაკეთებლად. ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, რომელ დღესაც გეგმა ან პროგრამა და გარემოსდაცვითი ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება და საზოგადოება სათანადოდ და ეფექტიანად იქნება ინფორმირებული. თუკი, მაგალითად, გარემოსდაცვითი ანგარიში გეგმის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ გასაჯაროვდება, მაშინ საზოგადოების მონაწილეობის პერიოდი დაიწყება გარემოსდაცვითი ანგარიში გამოქვეყნებისთანავე.

17. არც სგმ-ის ოქმი და არც რესურსების სახელმძღვანელო არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს მუხლი 8, პარაგრაფი 1-ის მოთხოვნა, საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ, „როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი ღიაა განსახილველად“. ყველა ვარიანტი ღია აღარაა, როდესაც, მაგალითად, რომელიმე ვარიანტის ერთი კომპონენტისათვის გამოიყოფა თანხა, მაგრამ არაა გამოყოფილი დანარჩენებისთვის (მაგ. გზისთვის, რომელიც ხელს უწყობს რომელიმე კონკრეტული ტერიტორიის განვითარებას); როდესაც ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ საჯაროდ გაცხადდა უპირატესი ვარიანტის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გეგმა ან პროგრამა ჯერ არ დამტკიცებულა; ან როდესაც პროექტის განხორციელებაზე თანხმობა გაცემულია საჯარო ადმინისტრაციის მხრიდან, რომლის შესრულებაც, სხვა შემთხვევაში, დამოკიდებული იქნებოდა გეგმაზე ან პროგრამაზე.

18. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოების მონაწილეობის განმეორებად შესაძლებლობებს ან ვადების გახანგრძლივების საშუალებას, მაგალითად:

- a. როდესაც არსებობს ეჭვი, რომ დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება არ მოხდა ეფექტიანად;
- b. როდესაც მნიშვნელოვანი ახალი ინფორმაცია ხდება ცნობილი ან გარემოებები იცვლება იმდენად მნიშვნელოვნად, რომ აუცილებელია საზოგადოებისათვის მონაწილეობის დამატებითი შესაძლებლობების მიცემა.

⁶ იხ. საქმე C-474/10, გარემოს დაცვის დეპარტამენტი v. შპს Seaport (NI) და სხვები, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, 20 ოქტომბერი 2011.

⁷ იხ. გზმ-ისა და სგმ-ის რეგულაციებისა და პრაქტიკის საუკეთესო მაგალითები 5 ქვეყანაში (ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა, სამართალი და გარემო, 2008), ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.justiceandenvironment.org/files/file/2009/06/eia-sea_good_examples.pdf

IV. საზოგადოების მონაწილეობა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა საფეხურზე

19. III სექციის ზემოთ მოყვანილი ზოგადი პრინციპები ასევე ვრცელდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების თითოეულ სხვადასხვა ეტაპზე, რომლებზეც საუბარია ქვემოთ.

A. წინასწარი შეფასება (სკრინინგი)

20. წინასწარი შეფასების ეტაპზე, საჭიროების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა გასწიოს ძალისხმევა დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის. „საჭიროების მიხედვით“ შესაძლოა გულისხმობდეს იმ შემთხვევას, როდესაც გეგმა ან პროგრამა უშუალოდ საზოგადოებაზე მოახდენს ზეგავლენას, როდესაც სხვადასხვა ჯგუფზე განსხვავებულად იმოქმედებს, როდესაც სავარაუდოდ დიდხანს გასტანს, ან როდესაც ხდება ინოვაციური გზების ძიება. თუკი გეგმა ან პროგრამა სავარაუდოდ არ საჭიროებს სგმ-ს, მაშინ საზოგადოების ჩართვამ წინასწარი შეფასების ეტაპზე შესაძლოა თავიდან აგვარიდოს მომავალში გამოთქმული უკმაყოფილება, რომ გეგმა ან პროგრამა მომზადდა საჭირო ინფორმაციის სრული სპექტრის უგულებელყოფით.

21. სგმ-ის ოქმის დანართი III აწესებს კრიტერიუმებს გეგმის ან პროგრამის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი, მათ შორის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზეგავლენის განსასაზღვრად. შესაძლებელია მომზადდეს წინასწარი შეფასების დოკუმენტი დანართი III-ში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. დანართი III-თან დაკავშირებულ წინასწარი შეფასების კითხვებს შეუძლია საზოგადოებისაგან ისეთი ინფორმაციის მიღება, რაც სხვა შემთხვევაში ხელმისაწვდომი არ იქნებოდა. ეს შესაძლოა გულისხმობდეს:

- გეგმის/პროგრამის შედეგად განხორციელებულ პროექტებს ექნებათ თუ არა მნიშვნელოვანი გავლენა გარემოზე, მათ შორის, ჯანმრთელობის საკითხებზე? (დანართი III, პარაგრაფი 2);
- არსებობს თუ არა გარემოსთან, მათ შორის, ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები ამა თუ იმ ადგილას, რაზეც შესაძლოა გეგმამ/პროგრამამ ზეგავლენა მოახდინოს? (დანართი III, პარაგრაფი 4); შესაძლოა თუ არა, რომ გეგმას/პროგრამას ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა გარემოზე, მათ შორის, ჯანმრთელობის საკითხებზე? (დანართი III, პარაგრაფი 5);
- შესაძლოა თუ არა, რომ გეგმას/პროგრამას ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა გარემოზე, მათ შორის, ჯანმრთელობის საკითხებზე, სხვა ქვეყნის მცხოვრებელთათვის? (დანართი III, პარაგრაფი 7);
- შესაძლოა თუ არა, რომ გეგმამ/პროგრამამ გავლენა იქონიოს მნიშვნელოვან ან მოწყვლად ტერიტორიებზე? (დანართი III, პარაგრაფი 8).

22. თუკი მხარეები საჭიროდ თვლიან წინასწარი შეფასების ეტაპზე საზოგადოებისათვის მონაწილეობის შესაძლებლობების შექმნას, მაშინ საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს ამ შესაძლებლობების შესახებ, რაზეც საუბარია ჩანართ 4-ში, ქვემოთ.

ჩანართი 4. მუხლი 5, პარაგრაფი 3 და პარაგრაფი 4-ით, მუხლი 6, პარაგრაფი 3-ით, მუხლი 8, პარაგრაფი 2-ითა და მუხლი 11, პარაგრაფი 2-ით გათვალისწინებული საზოგადოების ინფორმირების საუკეთესო პრაქტიკა

- მუხლი 8, პარაგრაფი 1-ის თანახმად, შეტყობინება უნდა იყოს „ადრეული, დროული და ეფექტიანი“ (იხ. III პუნქტი, ზემოთ).
- საზოგადოებისათვის განკუთვნილი შეტყობინება შესაძლოა განთავსდეს ვებგვერდზე ან/და გადაწყვეტილების მიმღები ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს განცხადებების დაფაზე, რომელიც საჯაროაა ხელმისაწვდომი. ამას გარდა, დამატებით, შესაძლოა მოხდეს საზოგადოების აქტიური ინფორმირება ისეთი ღონისძიებებით, როგორებიცაა:
 - საზოგადოების ინფორმირება მასმედიის (რადიო, ტელევიზია, გაზეთები) მეშვეობით, რომლებიც ფარავან შემოთავაზებული აქტივობის (საერთაშორისოდან ადგილობრივამდე) გავრცელების არეალს. შესაძლოა უფრო ეფექტიანი იყოს შეტყობინების გამოქვეყნება ადგილობრივ ყოველდღიურ გაზეთში, ნაცვლად ოფიციალური ყოველკვირული ჟურნალისა ანდა ისეთ მედიებში, რომელთა ტირაჟიც დიდია;
 - საჯარო განცხადებების გავრა საინფორმაციო დაფებზე იმ ადგილებში, რომელთაც დაინტერესებული საზოგადოება ხშირად სტუმრობს და რეგულარულად გამოიყენება სხვადასხვა მიზეზით (მაგ. სათემო დარბაზები, სკოლები, ფოსტის ოფისები და ა.შ.);
 - საგაზეთო სტატიის გამოქვეყნება გეგმის ავტორთა მიერ;
 - საფოსტო შეტყობინებები/ინდივიდუალური შეტყობინებები.

3. საზოგადოებისათვის განკუთვნილი შეტყობინება შესაძლოა შეეხებოდეს:

- a. მონაწილეობის შესაძლებლობებს საზოგადოებისათვის, სადაც რეალისტურადაა აღწერილი საზოგადოების მხრიდან შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის დაშვებული ზღვარი, რათა არ შეიქმნას გადაჭარბებული მოლოდინი;
- b. საზოგადოების მონაწილეობის პროცესის მიმოხილვას, ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეჯამებითურთ;
- c. კონკრეტულ დეტალებს იმასთან დაკავშირებით, თუ სად შეიძლება შენიშვნების ან შეკითხვების წარდგენა?
- d. შენიშვნებისა და შეკითხვების გადაგზავნის ვალებს, იმის გათვალისწინებით, რომ შეტყობინების გადაცემის საშუალებებმა შესაძლოა გავლენა იქონიონ დაინტერესებული საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირების ვალებზე;
- e. შენიშვნების ან შეკითხვების წარდგენის საშუალებებს (ზეპირად ან წერილობით, ელექტრონულად და ა.შ.);
- f. რა გავლენა აქვს გეგმას/პროგრამას სხვა გეგმებსა/პროგრამებსა და პროექტებზე და პირიქით, რა გავლენას ახდენენ ისინი მასზე?

4. ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ შეტყობინება და მისი თანმხლები სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის საზოგადოების მონაწილეობის პროცესის მიმდინარეობისას, რათა მის წევრებს, რომლებიც მოგვიანებით შეიტყობენ დაგეგმვისა და სგმ-ის პროცესების შესახებ, კვლავაც ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც მათ სჭირდებათ ეფექტიანი მონაწილეობისათვის.

23. იმის მიუხედავად, გეგმა ან პროგრამა მოითხოვს თუ არა სგმ-ს, მუხლი 5, პარაგრაფი 4 მოითხოვს, რომ ინფორმაცია წინასწარი შეფასების შედეგებზე საზოგადოებისათვის დროულად იყოს ხელმისაწვდომი. ჩანართი 4-ში მოყვანილი რეკომენდაციები საზოგადოების ინფორმირებასთან დაკავშირებით, შესაძლოა გავრცელდეს ამ საკითხზეც.

B. სკოპინგი

24. გარემოსდაცვით ანგარიშში რელევანტური ინფორმაციის შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება – მასშტაბის განსაზღვრა – „უნდა მოხდეს „საზოგადოების ინტერესის“ გათვალისწინებით (მუხლი 7, პარაგრაფი 2, ქვეპუნქტი c) და „საჭიროების შემთხვევაში“ თითოეულმა მხარემ უნდა გასწიოს ძალისხმევა დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობისათვის შესაძლებლობების შესაქმნელად მასშტაბის განსაზღვრისას (მუხლი 6, პარაგრაფი 3). მასშტაბის განსაზღვრის ეტაპზე ასევე შეიძლება ხელსაყრელი იყოს ზეგავლენის ქვეშ მოქცეული სხვა მხარეების იდენტიფიცირება და ინფორმირება, რათა მათ შეძლონ საკუთარ საზოგადოებებთან კონსულტაციების გამართვა სგმ-ის მასშტაბის განსაზღვრად, თუკი ამის საჭიროება დგას. თუ მხარეები საჭიროდ ჩათვლიან მასშტაბის განსაზღვრაში საზოგადოების მონაწილეობისათვის შესაძლებლობების შექმნას, მაშინ საზოგადოების ინფორმირება ამ შესაძლებლობების შესახებ უნდა მოხდეს ჩანართ 4-ში მოყვანილი რეკომენდაციების თანახმად.

25. შესაძლოა შეიქმნას მასშტაბის განსაზღვრის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სგმ-ის ოქმის დანართი IV-ის რელევანტურ ასპექტებს – მაგალითად, მთავარ მიზნებსა და გეგმის შინაარსის პროექტს, გარემოს ამჟამად არსებული მდგომარეობის რელევანტურ ასპექტებს, რელევანტურ გარემოსდაცვით პრობლემებსა და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს. დანართ IV-ში შესულ მასშტაბის განსაზღვრის შეკითხვებს, რომლებიც ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს (მუხლი 7, პარაგრაფი 2), შეუძლია საზოგადოებისაგან ისეთი ინფორმაციის მიღება, რაც სხვა შემთხვევაში ხელმისაწვდომი არ იქნებოდა. ეს შესაძლოა გულისხმობდეს:

- a. თანამედროვე გარემოსდაცვითი, მათ შორის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებიდან და პრობლემებიდან, რომელია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი? რომელი არ არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი? (დანართი IV, პარაგრაფები 2 და 4);
- b. სავარაუდოდ, რომელ ადგილებზე ექნება გეგმას/პროგრამას განსაკუთრებული ზეგავლენა? გარემოს დაცვასთან, მათ შორის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ამჟამინდელი საკითხების რომელი ასპექტის იდენტიფიცირება და აღწერა უნდა მოხდეს ამ ადგილებისთვის? სავარაუდოდ, რომელ ადგილებზე არ ექნება გეგმას/პროგრამას მნიშვნელოვანი ზეგავლენა? (დანართი IV, პარაგრაფი 3);
- c. გარემოს, მათ შორის, ჯანმრთელობის, დაცვასთან დაკავშირებული – განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე დასახული – რომელი მიზნებია გეგმისთვის/პროგრამისთვის რელევანტური? (დანართი IV, პარაგრაფი 5);
- d. რა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება მოჰყვეს გეგმას/პროგრამას გარემოს, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვაზე? რა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება არ მოჰყვეს მას? (დანართი IV, პარაგრაფი 6);

- e. გეგმის/პროგრამის განხორციელების შედეგად, რა ზომების გატარება შეიძლება განიხილებოდეს გარემოზე, მათ შორის, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე რაიმე ტიპის განსაკუთრებულად მავნე ზეგავლენის აღსაკვეთად, შესამცირებლად ან შესარბილებლად? (დანართი IV, პარაგრაფი 7);
- f. გეგმის/პროგრამის რომელი გონივრული ალტერნატივის განხილვა არის შესაძლებელი? (დანართი IV, პარაგრაფი 8 და მუხლი 7, პარაგრაფი 2);
- g. რა ტიპის მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო შედეგები შეიძლება მოჰყვეს გეგმის/პროგრამის გარემოს, მათ შორის, ჯანმრთელობის, დაცვის თვალსაზრისით? რა ტიპის შედეგები შეიძლება განვიხილოთ უმნიშვნელოდ? (დანართი IV, პარაგრაფი 10).

26. სგმ-ში საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა საკითხის გარანტირებულად შეტანისთვის, უმჯობესია, განხილული იყოს ზედმეტი თემები, ნაცვლად იმისა, რომ განხილული თემები არასაკმარისი აღმოჩნდეს.

ჩანართი 5. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: სლოვაკეთი⁸

სლოვაკეთის 2020 წლის ენერგეტიკული პოლიტიკის სგმ პოლიტიკაზე მუშაობის პირველივე ფაზის დროს დაიწყო. ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა ენერგეტიკის პოლიტიკის მონახაზი, არასამთავრობო ორგანიზაციების კომენტარების მისაღებად, შემდგომ კი, დისკუსიის დოკუმენტი საპარლამენტო შეხვედრებისათვის. როგორც კი ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტი გაშუალდა, მასზე ხელმისაწვდომობის შესახებ ეცნობა გამოცემა the Economic News-ს (Hospodárske noviny), ხოლო ტექსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტსა და სამთავრობო უწყებებში. საზოგადოებას ჰქონდა 2 თვე, რათა გაცნობოდა და შენიშვნები წარედგინა სგმ-ის მასშტაბთან დაკავშირებით. საერთო ჯამში, 400-ზე მეტი შენიშვნა იქნა წარდგენილი.

C. გეგმის/პროგრამისა და გარემოსდაცვითი ანგარიშის პროექტის ხელმისაწვდომობა

27. დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობა გულისხმობს:

- a. შეტყობინებას, რომ დოკუმენტები ხელმისაწვდომია როგორც ყოველთვის, ჩანართ 4-ში მოყვანილი რეკომენდაციების მიხედვით;
- b. დოკუმენტების ხელმისაწვდომობას ბარიერების გარეშე.

28. დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ბარიერების გარეშე შესაძლოა გულისხმობდეს:

- a. ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა ფორმატით, მათ შორის, სულ მცირე, ელექტრონული და ბეჭდური ფორმატით;
- b. ინფორმაციის ცხადად, მოკლედ და ისეთი ფორმით მიწოდებას, რომ არ შეიცავდეს განმეორებად ცნობებს, არატექნიკურ მიმოხილვასთან ერთად;
- c. მოწოდებული ინფორმაციის და კომუნიკაციის ფორმების მორგებას სამიზნე ჯგუფებზე;
- d. ინფორმაციის მარტივად და გასაგებად მიწოდებას, მათ შორის, იმ ენაზე, რომელიც საზოგადოებას – მათ შორის, რელევანტურ ეთნიკურ უმცირესობებსა და მიგრანტებს – ესმის. იქ, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი განსხვავებულ ენას იყენებს მთავარ ენად ანდა კომუნიკაციის ერთადერთ ფორმად, დოკუმენტის e. რელევანტური ნაწილები შესაძლოა ითარგმნოს ამ ენაზე;
- f. მაღალი ხარისხით ანუ ადვილად წასაკითხ და მოსასმენ ინფორმაციას;
- g. ზუსტი, სანდო და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც შეიცავს თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს და არ მანიპულირებს;
- h. გარემოსდაცვითი ანგარიშის ხელსაყრელ ადგილებში მიწოდებას, მაგალითად, ბიბლიოთეკებში, სკოლებში, ფოსტის ოფისებსა თუ სამთავრობო უწყებებში. კარგი იქნება, თუკი ამ ადგილების სამუშაო საათები მოსახერხებელი და ცხადად მითითებული იქნება და, ამასთან, შეიქმნება კომფორტული ადგილები დოკუმენტების წყნარ გარემოში გასაცნობად, რათა მკითხველებმა შეძლონ კონცენტრირება და საჭიროების შემთხვევაში ჩანაწერების გაკეთება;
- i. სგმ-სთან დაკავშირებული ინფორმაციის უფასოდ გაცნობის შესაძლებლობას საზოგადოებისათვის. საზოგადოებას უნდა შეეძლოს, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, ინფორმაციის ასლები მიიღოს გონივრულ ფასად ან უფასოდ. რეკომენდებულია, რომ როდესაც ხელისუფლების ორგანოები განიზრახავენ

⁸ Barry Dalal-Clayton and Barry Sadler, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება: წყაროების სახელმძღვანელო საერთაშორისო გამოცდილებისათვის (London and Sterlin, Virginia, Earthscan. 2005).

ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის საფასურის დაწესებას, ფასების შესახებ ინფორმაცია წინასწარ და თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს. საზოგადოებას უნდა შეეძლოს, რომ ასლები ადგილზე დაამზადოს საკუთარი ტექნიკური აღჭურვილობით, უფასოდ, მათ შორის, უნდა შეეძლოს რელევანტური დოკუმენტებისათვის ციფრული ფოტოების გადაღება;

გ. 41-ე პარაგრაფში არაპრივილეგირებულ ხალხთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულებას;

ჩანართი 6. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: ნორვეგია

კლიმატთან დაკავშირებით ნურლანის საგრაფოს საკრებულოს 2010 წლის რეგიონული გეგმის განვითარებაში საზოგადოების მონაწილეობის გასაზრდელად ავტორებმა მოამზადეს გეგმის შემოკლებული ვერსია, გამოაქვეყნეს წერილები ადგილობრივ გაზეთებში, სადაც საზოგადოებას მოუწოდებდნენ მონაწილეობისაკენ და გამოიყენეს Facebook-ი, Twitter-ი და ინტერნეტბლოგები. გარდა ამისა, გეგმის ავტორებმა მოაწყვეს ერთთვიანი ტურნე ნურლანის საგრაფოში ელექტრომობილით. ყოველდღიური საგნების, მაგალითად, რეზინის საწვიმარი ფეხსაცმელების და სალექი მარმელადების გამოყენებით ცდილობდნენ დისკუსიების წამოწყებას; განიხილავდნენ კლიმატსა და ენერგეტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს და მათ ადგილობრივ კონტექსტებს; იზიდავდნენ ადამიანებს ვაფლებისა და გამაგრებელი სასმელების დარიგებით. შედეგად, ამაღლდა გეგმასთან დაკავშირებით ზოგადი ცნობიერება, მეგროვდა გეგმასთან დაკავშირებით მრავალი შენიშვნა და ხალხი კეთილად განეწყობა საბჭოს ოფიცრებთან შეხვედრებზე. შედეგად კი, ნურლანის საგრაფოს საკრებულო ახლა კლიმატისა და ენერგეტიკის საკითხებთან ასოცირდება.

D. მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობები საზოგადოებისათვის

29. სგმ-ის ოქმის მუხლი 8, პარაგრაფი 4 მხარეებს სთხოვს, უზრუნველყონ, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას ჰქონდეს მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობები გეგმის ან პროგრამის პროექტის და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ, გონივრულ ვადებში. საზოგადოებას ასევე უნდა ჰქონდეს საშუალება, მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია, განიხილოს ის და დასვას შეკითხვები გეგმის ან პროგრამის და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ. ეს შესაძლოა გულისხმობდეს ჩვენებებსა და გამოფენებს (პერსონალით ან მათ გარეშე), საინფორმაციო ცხელ ხაზებს (სატელეფონო ან ონლაინ), საჯარო მოსმენებსა და სამუშაო შეხვედრებს. რესურსების სახელმძღვანელოში განხილულია აღნიშნული მიდგომების უპირატესობები და ნაკლოვანებები. დაგეგმვის ოფიცრებს ან/და მათ დაქირავებულ კონსულტანტებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ საზოგადოებას სგმ-ის დოკუმენტაციის შესწავლაში, მაგალითად, ინფორმაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი რელევანტურობის განმარტებით. მათ შეუძლიათ ფოკუსირდნენ კომპლექსურ და უჩვეულო ცნებებზე და წინასწარ განჭვრიტონ საზოგადოებისაგან დასმული მოსალოდნელი შეკითხვები.

30. საზოგადოებას უფლება აქვს, რომ გეგმის/პროგრამის პროექტის და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ წარადგინოს შენიშვნები, რომელსაც რელევანტურად ჩათვლის, უფასოდ და არასათანადო ფორმალობების გარეშე. საზოგადოებას არ მოეთხოვება, რომ წარმოადგინოს რაიმე ტიპის მტკიცებულება მათ მიერ გამოყენებული ინფორმაციის წყაროებთან დაკავშირებით ან რაიმე ტიპის დასაბუთება თუ ახსნა-განმარტება გამოთქმული მოსაზრებების გამო. თუმცა, ასეთი წყაროების წარმოდგენამ შესაძლოა გაამყაროს გარემოსდაცვითი ანგარიშში არსებული არგუმენტები და, შედეგად, ხელი შეუწყოს ცოდნაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას.

31. წერილობითი შენიშვნები საზოგადოებამ შესაძლოა წარუდგინოს გეგმის ავტორ ორგანოს ან შესაბამის დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც ხელისუფლების ნებით მოქმედებს. თუკი ამათგან უკანასკნელი მიდგომაა გამოყენებული, ორგანოს შეუძლია, თავი მოუყაროს ყველა მიღებულ შენიშვნას და სრული სახით – და არა შემოკლებული ფორმით – მიაწოდოს ხელისუფლების პასუხისმგებელ ორგანოს. მხარეებს შეუძლიათ, შექმნან ცხადი პროცედურები წერილობითი მოსაზრებების მისაღებად საზოგადოების მხრიდან საზოგადოების მონაწილეობისათვის გათვალისწინებული მთელი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის, ნებისმიერი ტიპის საჯარო მოსმენის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას ან დასრულების შემდგომ.

32. საჯარო მოსმენები თუ გამოკითხვები, სადაც შეიძლება საზოგადოებამ ზეპირსიტყვიერად წარადგინოს მოსაზრებები, შესაძლოა წარმოადგენდეს საზოგადოების მონაწილეობის ეფექტიან ფორმას. შესაძლოა გაიმართოს ერთი ან ერთზე მეტი ასეთი მოსმენა, როდესაც ამას მოითხოვს:

- a. გეგმის ან პროგრამის ზომა და გეოგრაფიული მასშტაბი ან მისი გავლენა;
- b. გეგმის ან პროგრამის წინააღმდეგობრივი ან რეზონანსული ბუნება;
- c. საზოგადოების მონაწილეობის შედეგად წარმომობილი საკითხები ან მოსაზრებები;
- d. დაინტერესებული საზოგადოების რანგი ან ადგილმდებარეობა;

- e. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს საჭიროება, დასვას პირდაპირი შეკითხვები მოწმებთან, რათა გაფანტოს გაუგებრობა, უფრო ცხადად გაიგოს საზოგადოების შეხედულებები ან როცა უშვებს დაპირისპირებული მოსაზრებების ჯვარედინ გამოკვლევას;
- f. როდესაც საზოგადოებას მოსაზრებების უფრო ზეპირად დაფიქსირება სჭირდება, ვიდრე წერილობითი ფორმით.

33. ნებისმიერი მოსმენა ან გამოკითხვა უნდა:

- a. იყოს ორგანიზებული დაინტერესებული საზოგადოებისათვის მოსახერხებელ ადგილას და მიზნების შესაფერის გარემოში;
- b. უნდა გაიმართოს ხელსაყრელ დროს, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ფართო დიაპაზონის მონაწილეობა;
- c. გამოყოფდეს საკმარის დროს და უზრუნველყოფდეს სამართლიან და პროპორციულ შესაძლებლობებს, რათა ყველა მნიშვნელოვანი ინტერესი დაფიქსირდეს;
- d. უზრუნველყოფდეს სათანადო ბალანსს საწყისი ინფორმაციის შესწორებისათვის და კითხვებისა და დისკუსიისათვის გამოყოფილ დროს შორის;
- e. აძლევდეს საზოგადოებას აზრის დაფიქსირების საშუალებას – ზეპირსიტყვიერად თუკი მათ სურთ – იურიდიული წარმომადგენლის თან ყოლის გარეშე;
- f. აძლევდეს საზოგადოებას საშუალებას, რომ გაავრცელოს წერილობითი განცხადებები და დამადასტურებელი საბუთი და წარმოადგინოს მტკიცებულებები მოწმეთა ჩვენებების მეშვეობით.

34. შესაძლოა განხილულ იქნას სხვა დამატებითი გზები, რათა საზოგადოებას ჰქონდეს მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება, მათ შორის, ბექდური მასალებით შენიშვნების მოზიდვა, ონლაინკონსულტაციები, კითხვა-პასუხის ფურცლები, გამოკითხვები, სამუშაო შეხვედრები და საკონსულტაციო კომიტეტები. რესურსების სახელმძღვანელოში განხილულია ამ მიდგომების უპირატესობები და ნაკლოვანებები.

ჩანართი 7. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: ნიდერლანდები⁹

სგმ-მ ნიდერლანდების ზაუდერზე რკინიგზის ხაზის შემთხვევაში: წვლილი შეიტანა კონსულტაციების ფართო პროცესში, რამაც ჩართულ მხარეებს ინკლუზიურობის განცდა გაუჩინა და აგრძნობინა, რომ მათ მოსაზრებებს სერიოზულად აღიქვამდნენ. ამ ყოველივემ მისცა მათ სტიმული, რომ გადაესინჯათ საკუთარი შეხედულებები და სხვადასხვა ვარიანტისადმი უპირატესობის მინიჭებისას სხვების ინტერესებიც გაეთვალისწინებინათ. საჯარო დისკუსიები რკინიგზის შესაძლო მარშრუტთან დაკავშირებით არაერთ მოსმენაზე გაგრძელდა, სადაც დაინტერესებული მხარეები და ექსპერტები სვდებოდნენ ერთმანეთს. პროექტის ბიურო შეცადა, რომ აქტიურად წახალისებინა ამ ჯგუფებს შორის დიალოგი სხვადასხვა ვარიანტთან დაკავშირებით. თავად იმ ფაქტს, რომ მრავალი შესაძლო მარშრუტი არსებობდა, შესაძლოა დადებითი გავლენა მოეხდინა ადგილობრივების დარწმუნებაზე, რომ ალტერნატივა, რომელიც მათ უკანა ეზოებთან ყველაზე ახლოს გადიოდა, იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი მრავალ სხვა ვარიანტს შორის.

E. გადაწყვეტილება

35. გადაწყვეტილებების მიმღებმა სუბიექტებმა „ჯეროვნად უნდა გაითვალისწინონ“ საზოგადოების შენიშვნები, როდესაც გეგმა ან პროგრამა მტკიცდება. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა რჩევა უნდა გაითვალისწინონ, თუმცა შენიშვნების განხილვა უნდა მოხდეს სათანადო პატივისცემით, სერიოზულობითა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარების მზაობით.

36. საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს, რომ გეგმებზე მომუშავე ორგანოებმა უნდა მოახდინონ დოკუმენტირება, თუ როგორ მოხდა საზოგადოების შენიშვნების გათვალისწინება, რა ცვლილებები შევიდა გეგმასა თუ პროგრამაში, ან, თუკი ცვლილებები არ მოხდა, უნდა ახსნან, რატომ. გადაწყვეტილებების მიმღებმა სუბიექტებმა თავი უნდა შეიკავონ უბრალოდ იმის თქმისგან, რომ კომენტარები „დაფიქსირებულია“ (ან რაიმე ამის მსგავსი), ვინაიდან ეს არ მიუთითებს, რომ მათ ჯეროვნად გაითვალისწინეს შენიშვნები.

⁹ A. van Buuren and S. Nooteboom „სგმ-ის წარმატება დაგეგმვის პოლანდიურ პრაქტიკაში: როგორ შეუძლია ფორმალურ შეფასებას კოლაბორაციულ მმართველობაში წვლილის შეტანა“, Environmental Impact Assessment Review vol. 30, No. 2 (2005), გვ. 127-135.

ჩანართი 8. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: ესპანეთი

ესპანეთის მდგრადი სოფლის განვითარების პროგრამაში ჩართულობის შედეგად 700-მდე შენიშვნა დაგროვდა, რაც მოიცავდა 1200-მდე რჩევას პროგრამის გასაუმჯობესებლად. ამათგან 46% შეეხებოდა პროგრამის აქტივობებს, სგმ-სა და სოფლის სტრატეგიას, საიდანაც 85% გაზიარებულ იქნა. ისინი მოიცავდა ყველა დაცული ტერიტორიის გარანტირებულად წყლით უზრუნველყოფას, გარემოსდაცვითი საკითხების გაძლიერებასა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას ადგილობრივი და რეგიონული დონის გადაწყვეტილებების მიღებაში.

F. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განცხადება

37. როგორც კი გეგმა ან პროგრამა დამტკიცდება, გადაწყვეტილების მიმღებმა სუბიექტებმა საზოგადოებას – არა მხოლოდ დაინტერესებულ საზოგადოებას და განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ ტრანსსასაზღვრო საზოგადოება – უნდა მიაწოდონ ინფორმაცია დამტკიცებული გეგმის ან პროგრამის შესახებ და იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა სგმ-ის პროცესებმა ინფორმაციული თვალსაზრისით და როგორ იმოქმედა მასზე (სგმ-ის განცხადება). სგმ-ის განცხადება უნდა მოიცავდეს, მათ შორის, ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ გაითვალისწინეს საზოგადოების შენიშვნები: ამისთვის შესაძლებელია, რომ გამოყენებული იყოს 36-ე პარაგრაფში აღწერილი მიდგომა.

38. საზოგადოება ამ დოკუმენტების ხელმისაწვდომობაზე შესაძლოა ინფორმირებული იყოს, როგორც ეს ჩანართ 4-შია აღწერილი. დოკუმენტების „ხელმისაწვდომობა“ შესაძლოა ინტერპრეტირებული იყოს 27-ე და 28-ე პარაგრაფების მიხედვით. საზოგადოებას ასევე შეიძლება მიეწოდოს ინფორმაცია გეგმის ან პროგრამის დამტკიცების შედეგების შესახებ და სამართლებრივ საშუალებებზე გეგმის ან პროგრამის წინააღმდეგ, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული საკანონმდებლო სისტემა.

39. სგმ-ის ოქმი არ აკონკრეტებს, გეგმის ან პროგრამის დამტკიცებიდან რამდენად მალე უნდა გახდეს რელევანტური ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი. თუმცა, საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, გონივრულ ვადად უნდა ჩაითვალოს გეგმის დამტკიცებიდან ერთი თვის ფარგლები.

V. სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები

A. არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების მონაწილეობა

40. ადამიანებში, რომლებიც სგმ-სთან დაკავშირებით არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, იგულისხმებიან მოხუცები, ახალგაზრდები, მუზღულული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, ღარიბები, უმცირესობები და ადამიანები, რომლებიც მოშორებულ ადგილებში ცხოვრობენ. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს შესაძლოა განსაკუთრებით უჭირდეთ ინტერნეტზე წვდომა ან მისი გამოყენება, დიდი და ტექნიკური დოკუმენტების კითხვა ან ფორმალურ და პროფესიონალურ სიტუაციებში ჩართვა. როგორც წესი, მათი შეხედულებები შეიძლება არ იყოს სერიოზულად აღქმული. შედეგად, შესაძლოა მათ აღარ ჰქონდეთ სურვილი ან არ შეეძლოთ მოსაზრებების დაფიქსირება სტანდარტულ ფორუმებში.

41. მთელ დაინტერესებულ საზოგადოებას, მათ შორის, არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჰქონდეთ წინასწარ შეფასებასა და მასშტაბის განსაზღვრაში მონაწილეობის ეფექტიანი შესაძლებლობები და იმის საშუალება, რომ მოსაზრებები გამოხატონ გეგმის ან პროგრამის და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ. სგმ-ის ოქმი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა დაფიქსირდეს მოსაზრება, თუმცა მასში ხაზგასმულია, რომ შესაძლებლობები უნდა იყოს „ეფექტიანი“. მე-11 და მე-12 პარაგრაფებში განხილულ მიდგომებთან ერთად, ეს შესაძლოა მოითხოვდეს გეგმების შემუშავებისა და სგმ-სათვის დამახასიათებელი საზოგადოების მონაწილეობის ტიპური ტექნიკებისგან განსხვავებული ტექნიკების გამოყენებას. ცალკეული ჯგუფებიდან გამომდინარე, ამაში შესაძლოა იგულისხმებოდეს:

- არატექნიკური მიმოხილვებისა და გარემოსდაცვითი ანგარიშის რელევანტური ნაწილების გამოყენება, მრავალი სხვადასხვა ფორმატით, მაგალითად, უმცირესობათა ენებზე, ბრაილის შრიფტით, და სოციალურ მედიაში;
- შეხვედრების გამართვა ლოკალურ, რთულად მისასვლელ ადგილებსა და სოფლებში, ისევე როგორც უფრო დიდ, ცენტრალურ, ქალაქის ტიპის დასახლებებში;

c. არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების წახალისება, მონაწილეობა მიიღონ სგმ-ის პროცესებში, მაგალითად, განცხადებების გაკვრით სპეციფიკურ თემებში, ჯიხურების ჩადგმით ან სპეციფიკური ჯგუფების ორგანიზებულ ღონისძიებებზე სიტყვით გამოსვლით ანდა მათი თემების ლიდერებისთვის მათ მაგივრად მონაწილეობის მოთხოვნით;

d. ძირძველი მოსახლეობის ჯგუფებისა და არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის წარმომადგენელთა ჩართვა. აღნიშნულ ჯგუფებსა და მათ წარმომადგენლებს შესაძლოა უკვე ჰქონდეთ წარმოდგენა დაგეგმვისა და სგმ-ის პროცესებთან დაკავშირებით და შეეძლოთ მონაწილეობა უფრო ტრადიციული გაგებით; მათ უკეთ ეცოდინებათ, თუ როგორ იკონტაქტონ არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებთან; შესაძლოა ჰქონდეთ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეიძლება ჩაერთოს მონაწილეობასთან დაკავშირებულ პროცესებში; და შესაძლოა იცოდნენ ინფორმაციის გავრცელების არატრადიციული მეთოდები;

e. ფინანსური რესურსების გამოყოფა, სადაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების მონაწილეობა შეფერხდება რესურსების ნაკლებობის გამო. ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ევროკავშირის სახსრების გამოყენება არასამთავრობო ორგანიზაციათა ქმედუნარიანობის ასამაღლებლად სგმ-სთან დაკავშირებით იმ გეგმებსა და პროგრამებზე, სადაც ევროკავშირის თანადაფინანსებაა გამოყენებული, მაგალითად, ერთიანობის პოლიტიკის სამუშაო პროგრამებში (the Operational Programmes for Cohesion Policy).

B. მონაწილეობა, როდესაც გეგმის ან პროგრამის რელევანტურობა ცხადი არ არის

42. მეჩხრად დასახლებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული გეგმებისა და პროგრამების შემთხვევაში, მაგალითად, საზღვაო ტერიტორიებზე ან ახლად ამენებულ ქალაქებზე გათვლილი გეგმების შემთხვევაში, შესაძლოა, დაინტერესებული საზოგადოების ცნება ძალზე შეზღუდული ან გაურკვეველი იყოს. პროექტების ასეთ ადგილებში განხორციელება მართლაც შეიძლება რომ საზოგადოების მხრიდან აღქმული იყოს, როგორც პროექტის მათ საცხოვრებელ ადგილებთან უფრო ახლოს განხორციელების თავიდან არიდების საშუალება. ასეთ შემთხვევაში, ალტერნატივების შედარება, მათ შორის, „ჩვეულებრივ“ სცენართან, შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს. ამან შესაძლოა აჩვენოს, რომ პროექტების განხორციელებას უფრო მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე, მიუხედავად იმისა, რომ მეტი საზოგადოებრივი წინაღობა შეხვდება, მაინც უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი გავლენა ექნება გარემოზე, მათ შორის, ჯანმრთელობის საკითხებზე, ვიდრე პროექტის განხორციელებას მეჩხრად დასახლებულ ტერიტორიებზე.

43. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ვარიანტებთან დაკავშირებით რჩევა მიიღონ მეჩხრად დასახლებული ტერიტორიების ინტერესების წარმომადგენელი ორგანიზაციებისგან, მათ შორის, გარემოსდაცვით და ჯანდაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, ანდა ორგანიზაციებისგან, რომლებიც კარგად იცნობენ და იცავენ აღნიშნული ტერიტორიების უნიკალურ ასპექტებს (მაგ. ჯგუფებისგან, რომლებიც წარმომადგენენ სოფლის ინტერესებს). შესაძლებელია შეხედულებათა ფართო სპექტრის მოძიება.

44. საზოგადოების წევრებს შესაძლოა ასევე გაუჭირდეთ ზოგიერთი გეგმის/პროგრამის, განსაკუთრებით, სტრატეგიული მნიშვნელობის ეროვნული გეგმების რელევანტურობის დაკავშირება თავიანთ ცხოვრებასთან, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა გეგმებმა საბოლოოდ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მათზე. მაგალითად, შესაძლოა ახალმა ეროვნულმა სატრანსპორტო გეგმამ გამოიწვიოს ახალი გზის ან აეროპორტის მშენებლობა ვინმეს სახლის სიახლოვეში, თუმცა გეგმის შინაარსის სათანადო ცოდნის გარეშე, აღნიშნული სახლის მფლობელმა შესაძლოა არ იცოდეს, თუ რატომ შეეხება ეს ყველაფერი მასაც. ამ საფეხურზე საზოგადოების მონაწილეობის ნაკლებობა შესაძლოა მიანიშნებდეს არა გეგმის შედეგებით ნაკლებად დაინტერესებაზე, არამედ გეგმის რელევანტურობის გააზრების პრობლემაზე. თუკი ეს საკითხი წინასწარ არ იქნება განხილული, მას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ის, რომ ეს თემა მედიაში ან პოლიტიკოსების მხრიდან სენსაციურ ჩრილში გახმაურდება; ანდა საზოგადოებას, რომელიც მოგვიანებით შეიტყობს აღნიშნული საკითხის შესახებ, გაუჩნდება განცდა, რომ უღალატეს და შესაძლოა გეგმის განხორციელება დაგვიანდეს პროტესტის თუ სამართლებრივი დავების შედეგად წარმოქმნილი წინააღმდეგობების გამო.

45. თუკი არსებობს იმის შანსი, რომ გეგმამ ან პროგრამამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე, თუმცა ეს ცხადი არ არის, მხარეებმა ადგილზე უნდა გაატარონ ზომები, რათა ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება

სავარაუდო შედეგებთან დაკავშირებით. პროაქტიული ზომები ასეთი საკითხების გადასაჭრელად შესაძლოა მოიცავდეს:

- a. გარემოსდაცვითი ანგარიშის გამოყენებას გეგმის ან პროგრამის ქვეზონებისათვის, ისევე როგორც მთლიანი გეგმის ან პროგრამისათვის;
- b. ადგილობრივი დონის სამთავრობო ორგანიზაციებისათვის თხოვნა, რომ მოახდინონ გეგმასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, რამაც შესაძლოა განსაკუთრებული გავლენა მოახდინოს იმ ხალხზე, ვისაც ისინი წარმოადგენენ და აცნობონ ამ ადამიანებს აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით კონსულტაციების ადრეულ ეტაპზე;
- გეგმის ან პროგრამის ქვეზონების მოსახლეობაზე მორგებულ შეტყობინებებს, რომელიც საზოგადოებას გააცნობს გეგმის/პროგრამის იმ ასპექტებს, რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მათზე მოახდინოს გავლენა.

46. ბევრი გეგმა თუ პროგრამა გავლენას იქონიებს მომავალ თაობებზე. ცხადია, მომავალ თაობებს არ შეეძლება, რომ პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა სგმ-ის პროცესებში, თუმცა მათი ინტერესები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს, მაგალითად:

- a. ახალგაზრდების ან იმ ადამიანების ჩართულობით, რომლებიც ახალგაზრდების ინტერესებს წარმოადგენენ¹⁰;
- b. იმ ადამიანთა ჩართულობით, რომელთაც სპეციფიკური პასუხისმგებლობა აკისრიათ მომავალი თაობების ინტერესების დასაცავად;
- c. სგმ-ის პროცესების გრძელვადიან შედეგებზე, მაგალითად, ამოწურვად რესურსებზე, გენოფონდზე, გარემოსდაცვით ლიმიტებსა და სტანდარტებზე და მედეგობაზე ფოკუსირებით;
- d. მონაწილეობაზე ორიენტირებული ტექნიკების გამოყენებით, გეგმის ან პროგრამის გრძელვადიანი შედეგების იდენტიფიცირებისათვის და ამგვარი შედეგების შემსუბუქების ან აღმოფხვრის შესაძლებლობების განხილვისათვის.

ჩანართი 9. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: იტალია¹¹

იტალიური პროგრამა “La città dei bambini” (ბავშვთა ქალაქი) გთავაზობს მნიშვნელოვან გარდევას აზროვნებაში: ბავშვის როგორც რიგითი, ზრდასრული დასაქმებული მოქალაქის აღქმას. ეს ნიშნავს არა მინცადადამინც უფრო მეტი ბავშვთა სერვისის განვითარებას, არამედ იმას, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა თავი უნდა ჩაიყენონ ბავშვების მდგომარეობაში, რათა შემდგომ ყველა გაითვალისწინონ. ბავშვთა არსებობა საჯარო სივრცეებში, განსაკუთრებით კი ზრდასრულთა ზედამხედველობის გარეშე, „გარემოსდაცვითი ინდიკატორის“ ფუნქციას ასრულებს. ერთ-ერთი მიდგომის მიხედვით, 6-11 წლის მოზარდებს რთავენ ბავშვთა საბჭოში, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს ქალაქის მერებს. ქალაქ ფანოში, ბავშვების მიერ წარდგენილი მოთხოვნები მოიცავდა მაგალითად ცალკეული ქუჩების გადაკეტვას მანქანებისთვის, სპორტული აღჭურვილობების დამონტაჟებას, სკვერების სათამაშოდ გამოყენებასა და ახალი სათამაშო მოედნების გაკეთებას.

VI. მონაწილეობა ტრანსსასაზღვრო კონტექსტში

47. სგმ-ის ოქმის მუხლი 10, პარაგრაფი 3 მოითხოვს ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებს, როდესაც პროექტის „ავტორი ქვეყანა“, რომელიც ზეგავლენის წყაროა, ითვალისწინებს გეგმის ან პროგრამის განხორციელებისას მის სავარაუდო მნიშვნელოვან ტრანსსასაზღვრო შედეგებს¹²; ან როდესაც მხარე, რომელზეც სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გეგმას ან პროგრამას („ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მხარე“), ამას მოითხოვს. ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მხარის საზოგადოებას (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებს) ისეთივე პატივისცემით უნდა მოეპყრან, როგორც ავტორი ქვეყნის საზოგადოებას და III-V თავებში ასახული რეკომენდაციები ისევე სათანადოდ უნდა გავრცელდეს ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მხარის საზოგადოებაზე. სგმ-ის ოქმი ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებს მხოლოდ და მხოლოდ გარემოსდაცვითი ანგარიშის საფეხურის შემდგომ მოითხოვს, თუმცა, საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა, თუკი ტრანსსასაზღვრო საზოგადოება ადრეული ეტაპებიდან ჩაერთვება.

¹⁰ ბავშვები და ახალგაზრდები გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი პროგრამის დაინტერესებულ მხარედ მიჩნეული 9 ჯგუფიდან ერთ-ერთს წარმოადგენენ.

¹¹ იხ. ბმულები: <http://www.childfriendlycities.org/> და <http://www.lacittadeibambini.org/pubblicazioni/Citta-bambini.pdf>

¹² შესაძლოა ხელსაყრელი იყოს სგმ-ის ოქმის დანართ III-ში ჩამოთვლილი კრიტერიუმების გამოყენება.

48. ესპოს კონვენცია როგორც ავტორი, ისე ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყანას აკისრებს პასუხისმგებლობას გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებამდე მიტანასა და საზოგადოებისაგან შენიშვნების მიღებაზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ტრანსსასაზღვრო პროექტებში. ანალოგიური მიდგომა შეირჩა სგმ-სთვისაც, სგმ-ის ოქმის მუხლი 10, პარაგრაფი 4-ის თანახმად. ქვეყნების უმეტესობას უკვე ჰყავს გამოყოფილი საკონტაქტო პირი ტრანსსასაზღვრო საზოგადოებრივი კონსულტაციებისათვის გზმ-ზე და იმავე კონტაქტის გამოყენება შეიძლება სგმ-სთვისაც, კონვენციის მხარეთა შეხვედრის გადაწყვეტილება 1/2-ის თანახმად, რომელიც ასრულებდა ოქმის მხარეთა შეხვედრის მოვალეობას (იხ. ECE/MP.EIA/SEA/2). მისაღებ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ავტორი ქვეყანა გეგმის ან პროგრამის სამუშაო პროექტსა და გარემოსდაცვით ანგარიშს წარუდგენს ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყანას, რათა მან ინფორმაცია მიაწოდოს საკუთარ საზოგადოებას; საზოგადოების შენიშვნები კი შესაძლოა წარედგინოს ან პირდაპირ ავტორი ქვეყნის ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს, ან აღნიშნული შენიშვნები შესაძლოა შეაგროვოს ზეგავლენის ქვეშ მოქცეულმა მხარემ და შემდეგ მან გაუგზავნოს ავტორ ქვეყანას.

49. საკითხები, რომელთა ერთად განხილვა და განხორციელებაც შეუძლიათ პროექტის ავტორ ქვეყანასა და ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მხარეს, როდესაც ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები სპეციალურად სგმ-სათვის იგეგმება, შესაძლოა მოიცავდეს:

- a. ვინ შედის დაინტერესებულ საზოგადოებაში, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან;
- b. როგორ უნდა ჩატარდეს კონსულტაციები, მათ შორის, ვადები და შეტყობინების დეტალები;
- c. სგმ-ის ხელმძღვანელი კომიტეტისა და მათი სახელით მოსაუბრე საბჭოს ჩამოყალიბებას, რომლებიც დაკომპლექტებულია ორივე მხარის წარმომადგენლებით;
- d. რა მასალები გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი ავტორი ქვეყნის მხრიდან და როდის;
- e. დოკუმენტების თარგმნას, შეხვედრების დროს სინქრონულ თარგმნას ან/და შეხვედრების გაძღოლას ოფიციალური პირების მიერ, რომლებიც თავისუფლად საუბრობენ ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნის მთავარ ენაზე;
- f. როგორ შეიძლება კულტურასთან ან პრივილეგიების არმქონე ჯგუფებთან და ა.შ. დაკავშირებული საკითხების მოგვარება;
- g. ვადები საზოგადოების გამომხატურების მისაღებად, ისე, რომ რეალისტური იყოს როგორც მონაწილეთა, ასევე გეგმის ავტორთა გადმოსახედიდან და ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა განსხვავებული დასვენების დღეები სხვადასხვა ქვეყანაში;
- h. როგორ ხდება მხარეთა ინფორმირება კონსულტაციების შედეგებისა და მათი გამოყენების შესახებ.

50. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმებების გაფორმება სხვა ქვეყნებთან ან რეგიონებთან, განსაკუთრებით კი მეზობლად არსებულ ან საზიარო მდინარის ქვედაწელზე მდებარე ქვეყნებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ ქვეყნებში სგმ-ში საზოგადოების ორმხრივი მონაწილეობა. ამისათვის, შესაძლოა გამოყენებული იყოს ან არ იყოს ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების უკვე არსებული სისტემები; ანდა შექმნილი იყოს ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის ან ჩამოყალიბდეს მუდმივმოქმედი ჯგუფების სახით. ამგვარი შეთანხმების საგანი შესაძლოა იყოს:

- a. საზოგადოების მონაწილეობის დროის შერჩევა. ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მხარეების იდენტიფიცირება და მათი ინფორმირება შესაძლოა მოხდეს სგმ-ის სკრინინგის ან სკოპინგის ეტაპზე, ვინაიდან ოქმის მე-10 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინება შესაძლოა ძალიან დაგვიანდეს საიმისოდ, რომ გავლენა მოახდინოს გარემოსდაცვითი ანგარიშის მთავარ ასპექტებზე;
- b. საზოგადოების მონაწილეობის ვადები. საზოგადოების მონაწილეობისათვის, რომელიც მოიცავს ტრანსსასაზღვრო ელემენტს, ვადები უნდა იყოს, სულ მცირე, იმ ტიპის მონაწილეობის ვადის ხანგრძლივობის, სადაც კულტურული და კომუნიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები არ დგას. გზმ პროექტისათვის, შეტყობინების პერიოდი ზოგადად მერყეობს 2 კვირიდან 3 თვემდე, საშუალოდ კი 1 თვეა; შენიშვნების მიღების პერიოდი კი მერყეობს 3 კვირიდან 3 თვემდე და საშუალოდ გრძელდება 2 თვეს¹³. შესაძლოა, სგმ-საც იგივე ვადები ჰქონდეს. დროის ათვლა საზოგადოების მონაწილეობისათვის იწყება მაშინ, როდესაც რელევანტური დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახდება დაინტერესებული საზოგადოებისათვის და საზოგადოება ინფორმირებული იქნება ამის შესახებ ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყანაში, და არა როდესაც

¹³ იხ. ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციის მიმოხილვა (2006-2009) (ECE/MP.EIA/16).

აღნიშნულ დოკუმენტებს ავტორი ქვეყანა ხელმისაწვდომს გახდის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნისათვის;

c. საზოგადოების ინფორმირების მექანიზმები გეგმების ჩამოყალიბების პროცესის დაწყებასთან, მათში მონაწილეობის შესაძლებლობებთან და, საჭირო დროს, გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით;

დოკუმენტების თარგმნა და შეხვედრების სინქრონული თარგმნა. ესპოოს კონვენციის ფარგლებში მომუშავე იმპლემენტაციის კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნის საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შენიშვნების შეტანის ისეთივე შესაძლებლობები, როგორც ავტორი ქვეყნის მოსახლეობას აქვს. შესაბამისად, გარემოსდაცვითი ანგარიშის რელევანტური ნაწილები უნდა ითარგმნოს ენაზე, რომელიც ესმის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნის მოსახლეობას¹⁴. ამაში იგულისხმება, სულ მცირე, არატექნიკური მიმოხილვები და გარემოსდაცვითი ანგარიშის რელევანტური ნაწილები. კომიტეტი ასევე გასცემს რეკომენდაციას, რომ გარემოსდაცვითი ანგარიში შეიცავდეს ცალკე თავს ტრანსსასაზღვრო ზეგავლენაზე, რაც ხელს შეუწყობს თარგმანების გაკეთებას; და თუკი მეორე მხრიდან არ მოხდა ამის უზრუნველყოფა, თარგმნის ვალდებულება დაეკისრება ავტორ ქვეყანას. იმავე მიდგომის გამოყენება შეიძლება სგმ-ის შემთხვევაშიც;

d. რას მოიძიებდნენ პროექტის ავტორი ქვეყანა, თუკი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მხარე არ მიაწოდებს საზოგადოების მოსაზრებებს შეთანხმებულ ვადებში¹⁵. საზოგადოების მონაწილეობა ვერ ჩაითვლება ეფექტიანად და დროულად, რასაც სგმ-ის ოქმის მუხლი 8, პარაგრაფი 1 მოითხოვს, თუკი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მხარე დროულად არ გადაუგზავნის საზოგადოების მოსაზრებებს ავტორ ქვეყანას.

ჩანართი 10. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: ირლანდია და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

ირლანდიური ტბის სააგენტო წარმოადგენს ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის საზღვარზე არსებულ სააგენტოს, რომელიც მიზნად ისახავს ლოხ-ფოილისა და ლოხ-კარლინგფორდის (წყლის მასივები) განვითარების ხელშეწყობას კომერციული და რეკრეაციული მიზნებისათვის საზღვაო, სათევზაო და აკვაკულტურის საკითხებში. იგი იყენებს საჯარო კონსულტაციების ერთობლივ პროცესებს ტბასთან დაკავშირებით რეგულაციების მისაღებად, რომლებიც თანხმობაშია ორივე ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანაბრად ითვალისწინებს ორივე ქვეყნის საზოგადოებას.

¹⁴ ECE, იმპლემენტაციის კომიტეტის მოსაზრებები (2001-2010) (ოქტომბერი 2011). ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unece.org/env/eia/pubs/ic_opinions_2010.html

¹⁵ აღნიშნულ პრობლემაზე მხარეთა საპასუხო ქმედებებზე ზოგადი მიმოხილვისათვის (იხ. ECE/MP.EIA/16).

დანართი

საზოგადოების მონაწილეობის მოთხოვნები სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმში

სკრინინგი

მუხლი 5, პარაგრაფი 3: ამ მუხლის თანახმად, საჭიროების მიხედვით, თითოეული მხარე უნდა შეეცადოს, უზრუნველყოს დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები გეგმებისა და პროგრამების წინასწარ შეფასებაში (სკრინინგში).

მუხლი 5, პარაგრაფი 4: თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ პარაგრაფი 1-ის მიხედვით გაკეთებული დასკვნები, მათ შორის, სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაზე უარის თქმის მიზეზები, დროულად გახადოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, საზოგადოებისთვის შეტყობინებების გაგზავნის თუ სხვა სათანადო ხერხებით, როგორცაა ელექტრონული მედია.

სკოპინგი

მუხლი 6, პარაგრაფი 3: საჭიროების მიხედვით, თითოეული მხარე უნდა შეეცადოს, უზრუნველყოს დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები, როდესაც მიიღება გარემოსდაცვით ანგარიშში რელევანტური ინფორმაციის შეტანის გადაწყვეტილება.

გარემოსდაცვითი ანგარიში

მუხლი 7, პარაგრაფი 2: გარემოსდაცვითმა ანგარიშმა, მუხლი 6-ის დადგენილებებთან თანხმობაში, უნდა მოახდინოს განსახორციელებელი გეგმის გარემოსთან, მათ შორის, ადამიანების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, მოსალოდნელი მნიშვნელოვანი შედეგებისა და მათი გონივრული ალტერნატივების იდენტიფიცირება, აღწერა და შეფასება. ანგარიში უნდა შეიცავდეს ამგვარ ინფორმაციას, რაც დანართ IV-შია დაკონკრეტებული, რომელიც გონივრულობის ფარგლებში უნდა ითვალისწინებდეს ... საზოგადოების ინტერესებს.

საზოგადოების მონაწილეობა

მუხლი 8, პარაგრაფი 1: თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ადრეული, დროული და ეფექტიანი შესაძლებლობები გეგმებისა და პროგრამების სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობისათვის, როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი ღიაა განსახილველად.

მუხლი 8, პარაგრაფი 2: თითოეულმა მხარემ, ელექტრონული მედიისა თუ სხვა სათანადო საშუალებების გამოყენებით, უნდა უზრუნველყოს საზოგადოების დროული ხელმისაწვდომობა გეგმის ან პროგრამის პროექტსა და გარემოსდაცვით ანგარიშზე.

მუხლი 8, პარაგრაფი 3: თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული საზოგადოების, მათ შორის, რელევანტური არასამთავრობო ორგანიზაციების იდენტიფიცირება პარაგრაფი 1 და პარაგრაფი 4-ის მიზნებიდან გამომდინარე.

მუხლი 8, პარაგრაფი 4: თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მე-3 პარაგრაფში ნახსენებ საზოგადოებას ჰქონდეს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობები გეგმის ან პროგრამის ან გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ, გონივრულ ვადებში.

მუხლი 8, პარაგრაფი 5: თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს კონკრეტული ზომების მიღება და მათი გამოქვეყნება საზოგადოების ინფორმირებისა და დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვისათვის. ამ მიზნით, თითოეულმა მხარემ, საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინოს დანართ V-ში ჩამოთვლილი საკითხები.

ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები

მუხლი 10, პარაგრაფი 4: როდესაც [ტრანსსასაზღვრო] კონსულტაციები მიმდინარეობს, დაინტერესებული მხარეები უნდა შეთანხმდნენ დეტალურ ზომებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ქვეყანაში დაინტერესებული საზოგადოებისა და მუხლი 9, პარაგრაფი 1-ში ნახსენები ხელისუფლების ორგანოების ინფორმირება და გეგმის ან პროგრამის პროექტისა და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ შენიშვნების გონივრულ ვადებში მოწოდება.

გადაწყვეტილება

მუხლი 11, პარაგრაფი 1: თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ გეგმის ან პროგრამის დამტკიცებისას, საზოგადოების მხრიდან მიღებული შენიშვნები ჯეროვნად იქნება გათვალისწინებული მუხლი 8 და მუხლი 10-ის თანახმად.

მუხლი 11, პარაგრაფი 2: თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ გეგმის ან პროგრამის დამტკიცებისას, საზოგადოება, მუხლი 9, პარაგრაფი 1-ში ნახსენები ხელისუფლების ორგანოები და მხარეები, რომლებთანაც მე-10 მუხლის თანახმად მიმდინარეობდა კონსულტაციები, ინფორმირებულები არიან და გეგმა ან პროგრამა ხელმისაწვდომია მათთვის, შემაჯამებელ განცხადებასთან ერთად, სადაც განმარტებული იქნება, გარემოსთან, მათ შორის, ადამიანების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რომელი მოსაზრებები ინტეგრირდა მათში, როგორ იქნა შენიშვნები გათვალისწინებული, მუხლი 8 და მუხლი 10-ის თანახმად, და რატომ გადაწყდა უშუალოდ ამა თუ იმ გეგმის ან პროგრამის დამტკიცება, სხვა გონივრული ალტერნატივების ფონზე.